ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 232 (2343) | სამშაბათი, 19 ნოემბერი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

## „ევროკავშირმა გაცილებით მეტი როლი უნდა შეასრულოს ევროპის უშიშროების უზრუნველსაყოფად, რისი საფუძველიც კონტინენტის ყველა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა იქნება“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 18 ნოემბრის რადიოინტერვიუ

– როგორც ყოველთვის, ჩვენს ინტერვიუს ტრადიციული ეკონომიკური თემით დავიწყებთ და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენმა ქვეყანამ კარგა ხნის წინათ გაიარა, ასე ვთქვათ, „საბავშვილო სენი“, როცა გვეგონა, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცნებები იყო. ეს თემა განვლილი კვირის ყურადღების ცენტრში იდგა, ამის შესახებ იყო საუბარი ყირგიზეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას, ამაზე იყო საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილში, თუმცა, ამ წერილს კიდევ დავუბრუნდებით... – ჟურნალისტ ნატო ონიანის მიერ წამოჭრილ თემებზე საუბრით დაიწყო თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

– რეფორმების, გარკვეული პროგრესის, წარმატებული მიმდინარეობის შედეგად საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის ერთ-ერთი პრაქტიკული გამოხატულებაა შესაბამისი საერთაშორისო სტრუქტურების მისწრაფება, უფრო გააღრმაონ და გააძლიერონ ჩვენს ქვეყანასთან ჩამოყალიბებული ურთიერთობა.

ქართული კომერციული ბანკებისათვის საკრედიტო ხაზების გახსნის მეშვეობით საშუალო და მცირე ბიზნესის ხელშესაწყობად მზადყოფნა გამოხატა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ჯერ კიდევ სექტემბერში, როცა შავი ზღვის კომერციული ბანკი „საქართველო“ დაფუძნდა. თქვენ გახსოვთ, ეს სპეციალურად აღინიშნა ჩვენთან. მაშინვე გამოითქვა მოსაზრება საინვესტიციო კავკასიური ფონდის შექმნის თაობაზეც.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით თანამშრომლობის გაფართოებით დაინტერესება კვლავ დადასტურდა განვლილ კვირაში ევრობანკის ვიცე-პრეზიდენტის მანფრედ აბელაინის საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს. აღინიშნა აგრეთვე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანისა და შავი ზღვის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის რეკონსტრუქციას, რადგან ევრაზიური დერეფნის ან ერთ-ერთი ძირითადი რგოლის ამოქმედება ევრობანკის ინტერესებსაც შეესაბამება და ეს ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში ტრადიციული პარტნიორული ურთიერთობის განახლებისა და განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ყირგიზეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში, რომლის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით და ვიზიტის მოსამზადებლად საქართველოს ეწვია ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ქალბატონი როზა ოთუმბაევა. სათანადო სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება – სამთავრობო ხელშეკრულებათა შემუშავებასა და დარგობრივ უწყებათა შორის კავშირის აღდგენასთან ერთად, ორი ქვეყნის მრავალმხრივ ურთიერთობაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ ადგილს დაიკავებს ევრაზიური დერეფნის ფუნქციონირებაში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობაც. ყოფილი საბჭოთა კავშირის ასეთ ქვეყნებთან – დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ყოველდღიურად ვითარდება ამგვარი თანამშრომლობა. როგორც ვიცი, დღეს თბილისს უნდა ეწვიოს სომხეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი და ეს ჩამოსვლაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს მორიგ სხდომაზე სჯა-ბა-

2

### მსოფლიო ორბიტაზე

## რომ არ შიოდეს და არც ეშინოდეს მოსალოდნელი შიმშილისა

18 ნოემბერს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის – ფაოს რომის სამიტზე დასკვნით პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

მისი გამოსვლა, რომელიც დიდი ყურადღებით მოისმინეს, ერთსულოვანი შეფასებით, აღიარებული იქნა როგორც საქმიანი და კონკრეტიკით დატვირთული მოხსენება იმ ქვეყნის წარმომადგენლისა, რომელიც სრულიად არ აპირებს გამუდმებით ხელგაწვდილად სიარულს და ამთავითვე ემზადება, რომ ახლო მომავალში თვად გადაიქცეს დონორ ქვეყნად.

2

### აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი



## არავინ აპირებს გალის რაიონის დაკავებას

მიმდინარე წლის 15 ნოემბერს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ტელევიზიით გადაიცა ეგრეთ წოდებული თავდაცვის მინისტრის ვ. მიქანბას განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართული სამართალდამცავი ორგანოები აპირებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლას და გალის რაიონის დაკავებას. მიქანბას თქმით, აღნიშნულ ოპერაციას, რომლის მიზანია აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნების ჩაშლა, ხელმძღვანელობს ბატონი შოთა კვირაია, რომელიც იმყოფება ზუგდიდში. ამასთან დაკავშირებით, მიქანბამ გასცა ბრძანება სეპარატისტების შეიარაღებული ძალების განსაკუთრებულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის შესახებ.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ბატონი შოთა კვირაია იმყოფება თბილისში და ჩვეულებრივი სამუშაო წესით შეხვედრები აქვს უცხოეთის დიპლომატიურ და ოფიციალურ დელეგაციებთან, ხოლო ბატონ მიქანბას განცხადება სეპარატისტული რეჟიმის კიდევ ერთი პოლიტიკური ფარსია ქართული სამართალდამცავი ორგანოების ვითომდა აქტიურ მოქმედებაზე აქცენტის გადატანისათვის, რაც უნდა შეფასდეს აფხაზეთის მოსახლეობაზე მორიგ ზემოქმედებად, მისი დაშინების პროვოკაციულ მცდელობად აფხაზეთში 23 ნოემბრის უკანონო საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების კონტექსტში.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრესცენტრი.

### პლებისციტი

## რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართა მთელი რიგი ქალაქების ადმინისტრაციათა მეთაურებს საქართველოს მხარეს დაეხმარონ პლებისციტის მოწყობაში

როგორც ცნობილია, 1996 წლის 23 ნოემბერს ამომრჩეველთა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილთა და ლტოლვილთა პლებისციტის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ – რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და თურქეთის მთელ რიგ ქალაქებში იქმნება საარჩევნო უბნები. როგორც საქინფორმს აცნობეს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოდან, ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგსა და სოჭში პლებისციტის მოწყობის შესახებ საქართველოს მხარის მიმართვასთან დაკავშირებით ამ ქალაქების ადმინისტრაციათა მეთაურებს დაუგზავნა შესაბამისი წერილები თხოვნით, რათა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი.

საქინფორმი.

## შიდა ქართლში დაიწყო წინასწარი ხმის მიცემა

– განაცხადა შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა ირაკლი ბოჭორიძემ ჩვენს კორესპონდენტთან სატელეფონო საუბარში.

– მთლიანად მხარეში 1700-მდე ლტოლვილი იღებს მონაწილეობას პლებისციტში. 3 საარჩევნო უბანია გახსნილი გორში, თითო-თითო – კასპში და ქარელში, 2 – ხაშურში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი და ლტოლვილი ამომრჩევლების სრულიად-სახალხო გამოკითხვის – პლებისციტის დანიშვნისა და ჩატარების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება სრულდება. მუშაობს საარჩევნო კომისიები, გამოკრულია პლაკატები და მზად არის საარჩევნო ყუთები.

6

### ბლიც-ინტერვიუ

## ორი პრინციპი, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება საუბრის გაგრძელება

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძეს შეხვდნენ ჩეჩნეთის წარმომადგენლები და საქართველო-ჩეჩნეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხებზე ესაუბრნენ.

2

## კონსტანტინე ოზგანი – თბილისში

სოხუმი, 18 ნოემბერი (ინტერფაქსი). აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კონსტანტინე ოზგანმა კვირას თბილისში მოლაპარაკება გამართა საქართველოს ხელმძღვანელობასთან, აცნობა ორშაბათს „ინტერფაქსს“ აფხაზეთის მთავრობის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა.

მისი თქმით, მოლაპარაკებაზე განიხილეს ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის სრულმასშტაბოვანი მოწესრიგების პრობლემა, აგრეთვე, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და აფხაზეთის ხელმძღვანელის ვლადისლავ არძინბას შეხვედრის მომზადებასთან.

წყაროს მონაცემებით, კონსტანტინე ოზგანი თბილისში შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს.

აფხაზეთის დელეგაციაში შედიოდა აგრეთვე აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი ბარგანჯია.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ დაადასტურა ეს ფაქტი ზოგიერთი კორექტივით. მან განაცხადა, რომ ასეთი შეხვედრა მართლაც შედგა თბილისში ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, რომელიც აფხაზთა მხარის თხოვნით, კონფიდენციურ ხასიათს ატარებდა და ინფორმაცია ამის შესახებ არ გავრცელებულა.

შეხვედრაზე, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, განიხილეს აფხაზეთში კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები. ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის პრინციპული პოზიციები და მიდგომები, რომლებიც არაერთგზის იყო განცხადებული ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

## ევროკომისია ახალსახლობას იზეიმებს

18 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი ჩვენს ქვეყანაში, ელჩი დენის კორბოი.

ედუარდ შევარდნაძემ სტუმარს გააცნო ხელისუფლების გადაწყვეტილება ევროკომისიისათვის დედაქალაქის ცენტრში ახალი შენობის გამოყოფის შესახებ და მის რეკონსტრუქცია-რესტავრაციაში ქართველი სპეციალისტების დახმარება აღუთქვა, ამასთან, პრეზიდენტმა კვლავ გამოხატა მადლიერება ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციისადმი მის მიერ საქართველოსათვის გაწეული უანგარო, ფასდაუდებელი დახმარებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოსა და, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტეგრირების პროცესი ევროპულ სივრცესთან მომავალში მრავალმხრივად განვითარდება და მეტ მასშტაბს შეიძენს.

## ოფიციალურ ვიზიტად

18 ნოემბერს საღამოს თბილისში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე არზუმანიანი. იმავე დღეს იგი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს.

## გაიმართა ბალყარი ხალხის ყრილობა

17 ნოემბერს ჩატარდა ბალყარი ხალხის ყრილობა, რომელზეც მიიღეს დეკლარაცია ბალყარეთის სუვერენული რესპუბლიკის შექმნის შესახებ რუსეთის შემადგენლობაში. ბალყარები არ მონაწილეობდნენ აფხაზეთის ომში. უახლოეს მომავალში ჩატარდება ბალყარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. მთავარი კანდიდატი ამ პოსტზე არის გენერალი სუფიან ბეპაევი, რომელიც 1991-1994 წლებში მსახურობდა თბილისში, ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების მთავარსარდლის მოადგილის თანამდებობაზე.

## კოდორის ხეობის მოსახლეობის უზრუნველსაყოფად

გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობის სურსათ-სანოვაგითა და სხვა პირველი მოხმარების საქონლით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოუყოს აფხაზეთის ავ-



ტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 241 ათასი ლარი.

## 12,5 მილიონი ლარი – ბიუჯეტს

სააგენტო „იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს საგადასახადო ინსპექციიდან აცნობეს, რომ ნოემბრის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადების სახით აკრეფილია 12,5 მილიონი ლარი, რაც 2,5-ჯერ აღემატება შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელს.

## პლუს ერთი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შოთა ბესარიონის ძე ბერეჟიანი, დაბადებული 1909 წელს ქ. ქუთაისში, მცხოვრები საფრანგეთში, ეროვნებით ქართველი, მიღებულია საქართველოს მოქალაქედ პირადი განცხადების საფუძველზე.

## შეიქმნა სპეციალური კომისია

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე მოხალისე სამხედრო მოსამსახურეთა და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდათა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი სპეციალური კომისია საქართველოს სამხედრო კომისრის ნოდარ თათარაშვილის ხელმძღვანელობით.

## „ნეზავისიმაია გაზეტას“ ცნობით

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართველ კოლეგებს ნოტა გაუგზავნა იმის გამო, რომ ისინი შეშფოთებული არიან რუსეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის 23 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო უბნების გახსნით. დოკუმენტში, კერძოდ ნათქვამია: „რუსეთის სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ არ არის რეგისტრაციაში გატარებული და არ არის აკრედიტებული აფხაზეთის წარმომადგენლობა რუსეთის ფედერაციაში. ამდენად, რუსეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის არჩევნების საარჩევნო უბნების გახსნა შეუძლებელია“. ნოტაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აფხაზეთის მხარეს რუსეთისათვის არც კი მიუმართავს.

როგორც რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფელიქს სტანევსკიმ განაცხადა, „რუსეთს სურს საქართველო ტერიტორიულად მთლიან სახელმწიფოდ იხილოს“.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა – საქინფორმმა, იბერიამ, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

### გვწერენ

## ვის აძლევთ პრემიას?!

ჩვენ გვეგონა, პრემიებს ერის საუკეთესო შვილებს აძლევდნენ. იმათ, ვინც საკაცობრიო იდეალებს პირადზე მაღლა აყენებს, იმათ, ვინც ერის შეკავშირებისათვის ზრუნავს და მისი ჭირი საკუთარ დარდად მიაჩნია, იმათ, ვისთვისაც სამეგრელო ისევე ძვირფასია, როგორც ნებისმიერი კუთხე ჩვენი სამშობლოსი. თუმცა, ვინა თქვა ან რამ გაყო იგი!

განა შეეძლო ჯაბა იოსელიანს დაეწერა ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ნებისმიერ პრემიაზე პრეტენზია ჰქონდა? კაცს, რომელსაც თვალისდაუხამხამებლად, გაყინული სახით, შეეძლო დათანხმებულიყო ორსული ცოლის წინ მოეკლათ მეუღლე, ეწამებინათ სულით ავადმყოფი, მხოლოდ თითი აექნია და ეს გამხდარიყო საბაბი, ცეცხლს შთაენთქა წლობით ნაშრომ-ნაამაგარი და ამ, ისედაც დუხჭირ ცხოვრებაში მრავალი ოჯახი დარჩენილიყო ღია ცის ქვეშ, მიუსაფარი და კერაჩამქრალი.

ცხადია, იმ წიგნსაც ეყოლება თავისი მკითხველი, დაე, იკითხონ. ჩვენ კი არ გვინდა მასზე გაიზარდოს შთამომავლობა. ნუ ვიგუებთ და ნუ გავცემთ პრემიებს ასე უაზროდ მათზე, ვინც ცდილობს და ვისაც ლომის წილი უდევს იმაში, რომ „კახელების ალმა ხნული, ქართლელებმა დალმა ფარცხეს“.

წალენჯიხის მშრომელთა სახელით გ. შანავა, მ. ციმინტია, თ. მაიჟაია და სხვები. (ხელს აწერს 15 კაცი).

### უკანასკნელ საათს

## რუსეთში გლოვა გამოცხადდა

რუსეთის ფედერაციის ქალაქ კასპიისკში (დაღესტანი) მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით მთელ ქვეყანაში გლოვა გამოცხადდა.

როგორც ცნობილია, აქ ტერორისტული აქტის შედეგად აფეთქდა 9-სართულიანი სახლი. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ პირველი რამდენიმე სართული, საერთოდ, მტვრად არის ქცეული. ნანგრევებიდან ამოყვანილია 88 კაცი, მათგან 49 დაღუპული. ვარაუდობენ, რომ ტერორისტები ეკუთვნიან ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ „მესამე ძალას“, რომელსაც სურს ჩაშალოს დაწყებული სამშვიდობო პროცესი.

## აფეთქება შახტში

ჩელიაბინსკის ქვანახშირის გაერთიანების „ბატურინსკის“ შახტში მეთანის გაზის აფეთქების შედეგად დაიღუპა ცხრა და დაშავდა ექვსი მაღაროელი. აფეთქების დროს მიწისქვეშ იმყოფებოდა დაახლოებით 80 კაცი.

## უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია მინსკში

გუშინ მინსკში გაიმართა უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელიც განიხილავს უკანასკნელ დღეებში გამწვავებულ ვითარებას რესპუბლიკაში. კვირას კონსტიტუციის დარღვევით გადაყენებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვიქტორ გონჩარის მხარდასაჭერად გამოსულ დემონსტრანტებს დაერივნენ, სპეცდანიშნულების და მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების („სპეცნაზის“ და „ომონის“) რაზმები. არიან დაშავებულნი.

პრეზიდენტის არაკონსტიტუციური მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად პრემიერ-მინისტრმა მიხეილ ჩიგირმა განაცხადა, რომ გადადგა. ალექსანდრე ლუკაშენკო ხელისუფლების წარმომადგენლებს, უწინარესად კი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს სიმონ შარეცკის აბრალებს პირშეკვრას და შეთქმულებას პრეზიდენტის დასამხობად.

## პრეზიდენტთა არჩევნები

მოლდავეთში პირველი ტურის შემდეგ წინასწარი შედეგებით, სახელმწიფოს მეთაურის არჩევნებში დაწინაურდა პრეზიდენტი მირჩა სნეგური, რომელმაც 38,7 პროცენტი დააგროვა; 28 პროცენტით მეორე ადგილზეა სპიკერი პეტრე ლუჩინსკი.

* * *

რუმინეთში პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვა კონსტანტინესკუმ, რომელმაც ახლანდელ პრეზიდენტ ილიესკუსთან შედარებით, მეორე ტურში 8 პროცენტით მეტი ამომრჩევლის ხმა მიიღო.

## აჭარის უზენაესი საბჭოს სესია

16 ნოემბერს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მეორე სხდომა.

განიხილეს დეპუტატ მაყვალა მარდალეიშვილის უფლებამოსილებათა შესახებ საკითხი, რომელმაც გაიმარჯვა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურში.

სესიამ ცნო დეპუტატ მაყვალა მარდალეიშვილის უფლებამოსილებანი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ავთანდილ ჰაიდარის ძე გორგილაძე.

დამტკიცდა კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ და მისი სტრუქტურა.

განიხილეს კანონპროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ“. აირჩიეს უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა წევრები, დაამტკიცეს მუდმივ კომისიათა ქვეკომისიები და მათი თავმჯდომარეები.

სესიამ განიხილა აჭარის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი.

განიხილეს აგრეთვე საკითხი ქედისა და ხულოს რაიონების სოფლის თემებისა და საკრებულოების შესახებ.

## იცნობდეთ, გენერალი ბაბენკოვი

სააგენტო „იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრის იგორ როდიონოვის ბრძანებით, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდლად დაინიშნა გენერალი ბაბენკოვი.

დეკემბრის დასაწყისში მოსკოვში სამხედრო ექსპერტთა დონეზე განახლდება მოლაპარაკება სამშვიდობო ძალთა მანდატის გაფართოების თაობაზე.

## რკინიგზელის დღის შესახებ

1997 წლის ოქტომბერში სრულდება 125 წელი ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე მოძრაობის გახსნიდან. ამის გათვალისწინებით დაკმაყოფილდა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის კოლეგიის თხოვნა რკინიგზელის დღის გადატანის შესახებ და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს რკინიგზელის დღე ყოველწლიურად აღინიშნება ოქტომბრის პირველ კვირადღეს.

საქართველოს რესპუბლიკა №232 სამშაბათი, 19 ნოემბერი, 1996 წელი

# „ევროკავშირმა გაცილებით მეტი როლი უნდა შეასრულოს ევროპის უშიშროების უზრუნველსაყოფად, რისი საფუძველიც კონტინენტის ყველა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა იქნება“

(დასასრული)

ასი გვქონდა ქვეყანაში პრივატიზებულ სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. ეს ერთ-ერთი მწვავე საკითხია.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზაცია საქართველოში ინტენსიურად წარიმართა და განხორციელდა ეროვნული მეურნეობის მეტწილ დარგებში, რამაც სხვა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტთან ერთად სტიმული მისცა ქვეყანაში მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას. მრავალი პრივატიზებული ობიექტი წარმატებით ფუნქციონირებს, მათ შორის გაერთიანებები „კოკა-კოლა-კავკასიონი“ და „ბახტრიონი“, სააქციო საზოგადოება „ელექტროაპარატი“, დიდუბის რძის ქარხანა, ფირმა „მეგატასტანდარტი“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები „აია“, „პოლიგრაფისტი“, „სამება“ და მრავალი სხვა. საბედნიეროდ, ათობით და ასობით ასეთი საწარმო გვაქვს.

ამასთანავე, სახელმწიფო სექტორთან შედარებით, კერძო კაპიტალის უპირატესობათა რეალიზებას აფერხებს და პრივატიზებულ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის კრიზისს იწვევს ისეთი უარყოფითი ფაქტორების ზეგავლენა, როგორიც არის მენეჯმენტის დაბალი დონე, მოძველებული საწარმოო სიმძლავრეები, საბრუნავი სახსრების ქრონიკული ნაკლებობა, არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ტრადიციულ კავშირურთიერთობათა გაწყვეტა, გასაღების ბაზრების უქონლობა და მრავალი სხვა. შესაბამისად, დაისახა სათანადო ღონისძიებანი.

ამის გამო პრივატიზებულ საწარმოთა მესამედზე მეტი უმოქმედოა, ბევრმა მათგანმა ან საერთოდ ვერ გაყიდა, ანდა გაყიდა უმნიშვნელო რაოდენობის აქციები. აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუშავდება პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულების პროექტი, რომელიც სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს ეროვნული ეკონომიკის სრული რესტრუქტურიზაციის სახელმწიფო პროგრამის შედგენას. პროგრამამ უნდა მოიცვას ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრული ამოქმედების რადიკალური ღონისძიებანი. უნდა განხორციელდეს საწარმოთა სრული ინვენტარიზაცია (ამ სხდომაზე გვქონდა საუბარი ამის თაობაზე) მათი დღევანდელი მდგომარეობის რეალური შეფასების შესაბამისად. უნდა გამოიყოს პერსპექტიული საწარმოები, განისაზღვროს მომავალი მსხვილი სამეურნეო ობიექტების ფუნქციონირების პირობები. აუცილებელია გასაღების ბაზრების ძიებაც. ეს უპირველესად თანამეგობრობის ქვეყნების სივრცესა და რუსეთს შეეხება. მიზანშეწონილია აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა სანაციისათვის პრივატიზების შემოსულობათა გამოყენების მექანიზმის სრულყოფა, კონტროლის, აღრიცხვისა და აუდიტური მომსახურების დარეგულირების ღონისძიებათა განხორციელება. შეიძლება ვიფიქროთ პრივატიზებულ საწარმოებთან, ან მუშაობის ცენტრების შექმნის თაობაზეც. მე ზემოთ ვთქვი, რომ საჭიროა აღდგეს კავშირურთიერთობა რუსეთთან, ესე იგი, საჭიროა, უფრო გაბედულად შესვლა რუსეთის ბაზარზე. უნდა გითხრათ, რომ ბატონ ზურაბ ჟვანიას ვიზიტის ერთ-ერთი ცენტრალური თემა სწორედ ეს იყო და მისი შეხვედრების პროცესში ძალიან კონკრეტულად და საგნობრივად იქნა განხილული ეს საკითხები. მე მინდა ვთქვა, რომ ამ ვიზიტმა ძალიან კარგი შედეგებითა და დიდი წარმატებით ჩაიარა.

შემდეგ: სოციკონომინფორმმა შეაჯამა ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ათი თვის შედეგები, რომელთა მიხედვითაც არის გარკვეული წინსვლა ცხრა თვესთან შედარებით. კერძოდ, სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა ათ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, თითქმის 32 მილიონი ლარით ანუ 6,9 პროცენტით გაიზარდა, რაც 1,7 პროცენტული პუნქტით აღემატება 9 თვეში მიღწეულ ანალოგიურ მაჩვენებელს. სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდება სათბობის, ფერადი მეტალურგიის, ქიმიური და ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, სამშენი მასალების და სხვა დარგები.

კარგი ტემპია აღებული ნოემბრის დასაწყისიდანაც, რასაც ეკონომიკის ცალკეული სექტორებიდან და რეგიონებიდან მიღებული ოპერატიული მონაცემები ცხადყოფს. კერძოდ, თვის პირველ დეკადაში მრეწველობის დეპარტამენტის სისტემაში წარმოებულია 1,5 მილიონი ლარის პროდუქცია, რაც თითქმის 10 პროცენტით სჭარბობს ოქტომბრის ბოლო დეკადის მაჩვენებელს.

ამავე პერიოდში ქვეყნის ენერგოსისტემის მიერ წარმოებულია 18 პროცენტით მეტი ელექტროენერგია შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. და ამის საშუალებას გვაძლევს სწორედ იმ რესურსების დაგროვება, რომელთა შესახებაც ამ გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში ვლაპარაკობდით. საშუალოზე მაღალია ნავთობის მოპოვების მაჩვენებელი. ნოემბრის დასაწყისიდან განახლდა ქვანახშირის მოპოვება ტყიბულის შახტებში.

მნიშვნელოვანი ზრდის ტემპია მიღწეული ნოემბრის დამდეგიდან იმერეთის, შიდა ქართლის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეებში.

შენარჩუნებულია ბიუჯეტის შემოსავლის მობილიზების საკმაოდ მაღალი ტემპიც. საგადასახადო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, ნოემბრის დამდეგიდან მიღებულია 12,5 მილიონი ლარი საბიუჯეტო შემოსავალი, რაც თვის გეგმის შესრულების საფუძველს ქმნის. წლის დასაწყისიდან ჩარიცხული სახსრების მოცულობა 233 მილიონ ლარს აღემატება. ეს 135 მილიონი ლარით ანუ 2,5-ჯერ სჭარბობს შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს, ესე იგი, ორნახევარჯერ გაიზარდა.

საბაჟო დეპარტამენტის სისტემიდან 1-15 ნოემბრის ჩათვლით ბიუჯეტში გადაირიცხა 4 მილიონი ლარი, რაც აგრეთვე მეტად სერიოზული განაცხადია თვიური გეგმის შესასრულებლად. აქედან თითქმის მილიონი ლარი თამბაქოს ნაწარმის ახალი ექსპერიმენტული წესით დაბეგვრის შედეგად მიღებული სახსრებია.

მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის შემოსავლის, აგრეთვე მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურების პრობლემა ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანათა შორის (მხედველობაში მაქვს შემოსავლის მობილიზაცია, აგრეთვე, მოხმარებული ელექტროენერგიის პრობლემა) უმთავრესი და, მე ვიტყოდი, გადამწყვეტია. სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნება მთავრობის საგანგებო ღონისძიებანი. ამიერიდან ეს მიიღებს მუდმივ ხასიათს — თვეში 2-3-ჯერ. ამ დღეებში დამუშავდება და გამოქვეყნდება ამ მექანიზმის მოქმედების პროგრამა. ესე იგი, ფაქტობრივად, მთავრობის ყველა სხდომა სპეციალურად, მისი საგანგებო ნაწილი მიეძღვნება სწორედ ბიუჯეტში თანხების მობილიზაციისა და დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის პრობლემებს. მინდა ისიც ვთქვა, რომ დასავლეთის ქვეყნებთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები ჩვენ საკმაოდ დეტალურად განვიხილეთ ბატონ კოლინზის — სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენლის სტუმრობის დროს. ეს მეტად ავტორიტეტული დელეგაცია იყო და შეხვედრისას ბევრი რამ საიმედო და საყურადღებო ითქვა.

**— 23 ნოემბერს აფხაზეთში უკანონო არჩევნები იმართება. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, საერთაშორისო სტრუქტურათა წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, თავიანთ პოზიციას გამოხატავენ. ამის გამო თავისი უარყოფითი პოზიცია გამოხატა თავის დროზე გაეროს უშიშროების საბჭომ რეზოლუციაში. გასულ კვირას პრესაში გამოქვეყნდა ევროპარლამენტის მიერ სესიაზე მიღებული რეზოლუცია, სადაც აფხაზეთის მოვლენებს ეთნიკური წმენდის შეფასება მიეცა. ჩვენ გვახსოვს, რომ ორი წლის წინათ, დეკემბრის დამდეგს ანალოგიური შეფასება მიეცა აფხაზეთის მოვლენებს ბუდაპეშტის ცნობილ სამიტზე...**

— აფხაზეთში გამოცხადებული არჩევნების მიმართ საქართველოს პოზიცია ერთაზროვანი და აბსოლუტურად გარკვეულია. საგულისხმოა, რომ ამ პოზიციის იდენტურია საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციების, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ჩვენი მეზობლების — აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვა ქვეყნების დამოკიდებულებაც. აქ, საქართველოში აკრედიტებულმა თითქმის ყველა ელჩმა, მათ შორის რუსეთის ელჩმაც, სავსებით გამოკვეთილად და ნათლად ჩამოაყალიბეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება ამ ეგრეთ წოდებული არჩევნების მიმართ. ახლა ძალზე მნიშვნელოვანია ორგანიზებულად ჩაიაროს ჩემი ბრძანებულებით დანიშნულმა პლებისციტმა და მთელმა მსოფლიომ დაინახოს, როგორ მასკარადს აწყობენ სეპარატისტები „დემოკრატიული არჩევნების“ ნიღბით.

**— განვლილ კვირაში გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილი თქვენდამი, რომელიც გადმოგცათ სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაციამ. ამ ბარათში საქართველოს აყვავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და მთავარ პირობად სწორედ ეკონომიკური განვითარება დასახელებული. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული საქართველოს როლზე საერთოდ კავკასიაში...**

— როგორც მოგეხსენებათ, პრეზიდენტ კლინტონს ჩვენი ხალხის სახელით გულწრფელად მივულოცე პრეზიდენტის არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება, მადლობა მოვახსენე თანადგომისა და დახმარებისათვის, რომელსაც საქართველო თავისი განვითარების ამ ურთულეს ეტაპზე იღებს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. პრეზიდენტის წერილი უაღრესად საყურადღებოა, რადგან იქ კარგად ჩანს ამ დიდი ქვეყნის მიერ კავკასიური მოვლენების ხედვა და იგრძნობა შეერთებული შტატების განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესი ამ რეგიონის მიმართ. რეგიონის განვითარების პერსპექტივებისა და მომავლის ერთგვარი გააზრება, რომელიც წერილშია მოცემული. პრეზიდენტმა კლინტონმა პრინციპულად დაუჭირა მხარი მოწოდებას „მშვიდობიანი კავკასიისათვის“, რეგიონში კონფლიქტების მოგვარებისა და ეკონომიკის გარდაქმნისათვის. სასიამოვნოა მისი მიერ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მშენებლობისა და რეფორმატორული გარდაქმნების პროცესის მაღალი შეფასება.

**— ამ თვალსაზრისით, რასაც რეგიონულ ურთიერთობას ჰქვია და, ალბათ, კონფლიქტებიც, ძალიან საინტერესო იყო (თქვენ მიაქცევდით ყურადღებას) რომან ჰერცოგის აზრი თქვენს იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ უნდა მოხდეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის დაჩქარება ევროკავშირში...**

— მე მართლაც მივაქციე ყურადღება — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი რომან ჰერცოგი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდა და ამ შეხვედრაზე ევროპული ინტეგრაციის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას დაუჭირა მხარი. ევროკავშირმა, ჩემი აზრითაც, გაცილებით მეტი როლი უნდა შეასრულოს ევროპის უშიშროების უზრუნველსაყოფად, რისი საფუძველიც კონტინენტის ყველა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა იქნება. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ინტეგრაციას აქტიურად დაუჭერს მხარს ევროპის ყველა ქვეყანა, რუსეთის ჩათვლით, რადგანაც რუსეთი ისევე დაინტერესებულია ეკონომიკურ სივრცეში ევროკავშირის სტრუქტურებთან ინტეგრაციით, როგორც სხვა ქვეყნები. ინტეგრაციის აქტიური პროცესი სულაც არ ნიშნავს ევროკავშირის მიერ ახალი დემოკრატიული ქვეყნების თავის კმაყოფაზე აყვანას. ამ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, მნიშვნელოვანი მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი აქვთ, ლაპარაკი უნდა იყოს დახმარებაზე ამ შესაძლებლობათა ევროპული სტანდარტების დონეზე აყვანისათვის. უზარმაზარი ხარჯები, რომლებიც სამხედრო პოტენციალის სხვადასხვა სახით ზრდას უნდა მოხმარდეს, სავსებით საკმარისი იქნება ეკონომიკური და ინტელექტუალური ინტეგრაციის ზრდის დასაჩქარებლად, ხოლო ეს პროცესი გაცილებით უფრო საიმედოა უშიშროების თვალსაზრისით, ვიდრე სამხედრო ფარი, როგორც უნდა იყოს იგი.

**— ის, რაც ამ ბოლო ხანს ხდება ჩვენს ქვეყანაში, ბუნებრივია, ჩვენთვის სიახლეა, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც ბოლო რამდენიმე წელიწადმა მოუტანა საქართველოს, ის არის, რომ გვაქვს თავისუფალი პრესა, რომელიც აქამდე არ გვქონია ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებსაც. თქვენ საკმაოდ ხშირად საუბრობთ ხოლმე ინტერვიუებში ამის შესახებ განსხვავებული პოზიციებით. ხომ არ დადგა დრო, რომ პრეზიდენტს განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდეს პრესის წარმომადგენლებთან. ამის პრაქტიკა არის სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყანაში...**

— პრესა საქართველოში, ჩემი აზრით, საინტერესოდ ვითარდება. ტოტალიტარიზმის სისტემაში აღზრდილ მოქალაქეთა ერთ ნაწილს უჭირს შეეგუოს სიტყვის, პრესის თავისუფლების დამკვიდრების სიღრმისეულ პროცესებს (ეს პროცესი ნამდვილად მიმდინარეობს). ბევრი რამ, რაც დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, ხშირად გვაღიზიანებს, გვანერვიულებს კიდეც და უჩვეულოდაც გვეჩვენება, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ თავისუფალი პრესა, მხედველობაში მაქვს საერთოდ პრესა (ჩვენთან გამოჯანა შეიძლება ცოტა პირობითი იყოს!), რომელსაც ახლა თავისუფალ პრესას ვუწოდებთ, დაწერს და ამხილებს იმას, რასაც ხელისუფლების ვერც ერთი სტრუქტურა ვერ შეძლებს ან არ გააკეთებს. სწორედ ეს არის მეოთხე ხელისუფლების უნიკალური როლი ახალ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იწერება ისეთი, რაც ყურმოკრულია, ხშირად ცილისმწამებლურიც არის, ადამიანის ღირსების შემლახველია, მაგრამ მთავარი მაინც ტენდენციაა, ის პოტენციალია, რომელსაც სიტყვისა და პრესის თავისუფლება გულისხმობს. ვფიქრობ, პრესის კანონზე საკმაოდ ხანგრძლივი და ბეჯითი მუშაობა, რომელიც პრესის წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარეობს, სასურველ შედეგს მოიტანს. ამასთან, ისიც კიდევ მეჩვენება (თქვენს შეკითხვაში ერთგვარი კრიტიკაც იგრძნობოდა), რომ საკმარისი არ არის ხელისუფლების კონტაქტები საინფორმაციო საშუალებებთან. ეს ეხება ჟურნალისტებთან პრეზიდენტის ურთიერთობასაც. განზრახული მაქვს, არა მარტო საჭიროების შესაბამისად და აუცილებლობის შემთხვევაში, არამედ სისტემატიურადაც, ვთქვათ, თვეში ერთხელ, ან სხვა საზომი ავილოთ, შევხვდე მასმედიის წარმომადგენლებს და ამით ჩემი წვლილი შევიტანო მათთვის სრული და რაც შეიძლება ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაში.

**— მასმედიის ყურადღების ცენტრში, ეს ბოლო ხანია, ტრიალებს ერთი თემა — სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი პუნქტის — სიკვდილით დასჯის შესახებ, განსხვავებული ინტერპრეტაციით. ზოგისთვის, ძალიან ბევრი ადამიანისათვის, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგნი არიან, ზოგისთვის კი ეს არის პოლიტიკური სპეკულაციის თემა. მით უმეტეს, ამ თემამ წინ წამოიწია იმის გამო, რომ ევროსაბჭოში მიღების ერთ-ერთ პირობად სწორედ იმას აყენებენ (როგორც ჩვენთვის ცნობილია), რომ ქვეყანაში უნდა გაუქმდეს სიკვდილით დასჯის კანონი.**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი კომენტარი ცოტა გრძელი იქნება. დღეს მართლაც აქტიურად განიხილება სიკვდილით დასჯის პრობლემა. ხშირად გაიგონებთ კიდეც მწარე შენიშვნას — საქართველოში ათობით სიკვდილმისჯილია, სხვა დიდ ქვეყნებში კი ნაკლებიო, და ასე შემდეგ. საერთოდ, როცა კანონის ისეთი ნორმის გამოყენებაზეა ლაპარაკი, როგორიც არის სასჯელის უმაღლესი ზომა, ციფრებით მანიპულირება, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია. ლაპარაკია ადამიანის სიცოცხლეზე. რა მინდა გქონდეთ მხედველობაში: ჯერ ერთი, საქართველოს ორჯერ გადაუარა სამოქალაქო ომის ქარტეხილმა, კონფლიქტებმა თავისი უმძიმესი შედეგებით, მაგრამ სამოქალაქო ომზე მეტი ტკივილები კრიმინალმა, მძევლეთა და ტერორისტთა შეიარაღებული ბანდების თარეშმა მოგვაყენა. ახლა ყველა ვხედავთ, რომ, მე ასე ვიტყოდი, ეს უკუღმართ წარსულს ჩაბარდა და სავსებით ნორმალურია მსჯელობა სახელმწიფოს სადამსჯელო პოლიტიკის შესახებ. როგორც იცით, საქართველოს კონსტიტუციამ მოგვცა სწორი და შეუმცდარი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა. მეორე: საქართველოში ორი წელია სიკვდილით არ მოუყვათ სასჯელის უმაღლესი ზომა. ამიტომაც, ასეთი ადამიანების რიცხვმა გარკვეული ციფრი შეადგინა. საქმე გვაქვს ფაქტობრივ მორატორიუმთან. პრეზიდენტის განკარგულებაშია (მინდა ამასაც გავუსვა ხაზი) კონსტიტუციით მინიჭებული შეწყალების უფლებაც, მაგრამ აჩქარება ამ ურთულეს საკითხში მე დაუშვებლად მიმაჩნია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეორე მხარეს არის ათობით და ასობით ამოწყვეტილი ოჯახები, წამებით მოკლული ადამიანები, ტერორისტული აქტების მსხვერპლთა ერთად დარბეული და დანგრეული სახლები, ხიდები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა მრავალი. ის გაკვეთილიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეწყალებისა და შერიგების შესახებ რესპუბლიკის მოედანზე გამოცხადებულმა მანიფესტმა ფაქტობრივად სამოქალაქო ომის მეორე ტალღას მისცა ბიძგი. ხშირად გაიგონებთ, ადამიანს სიკვდილი მიუსაჯეს, სად არის პრეზიდენტი? რატომ არ აღკვეთს სასამართლოს მიერ უმკაცრესი სასჯელის გამოტანას? ღმერთმა ნუ ქნას, რომ პრეზიდენტი განაჩენის გამომტანი ეროვდეს. ეს იქნებოდა იმ დემოკრატიულ ღირებულებათა ფეხქვეშ გათელვა, რომელთა დამკვიდრებისთვისაც ჩვენმა ხალხმა ამდენი რამ გადაიტანა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი და ანგარიშგასაწევია ძველ დროიდან გადმოყოლილი „ჩქოლვისა“ და სისხლის აღების წესი. მე ვიცი, რომ ამ პრობლემაზე ბევრს ფიქრობს ქვეყნის პარლამენტი, რა თქმა უნდა, როგორც მოგეხსენებათ, ბევრს ვფიქრობ მეც, ვფიქრობ იმაზეც, რომ ბევრი უსასტიკესი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის უმაღლესი ზომა დაინიშნა, განუკითხაობისა და საყოველთაო ქაოსის პირობებში იყო ჩადენილი. ესეც ანგარიშგასაწევია. ყოველ შემთხვევაში, შეწყალების შესახებ თხოვნათა განხილვის პროცესში, პრეზიდენტს შეუძლია ეს გაითვალისწინოს. ამიტომ ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტაში დაგვიანება შეუწყნარებელია, ხოლო აჩქარება დანაშაულის ტოლფასი შეიძლება გახდეს. წლის ბოლომდე (მე ასე ვვარაუდობ) ქვეყნის პრეზიდენტს ექნება საშუალება თავისი, შედარებით მწყობრი შეხედულებანი ჩამოაყალიბოს და საქართველოს მოქალაქეებს გაუზიაროს ამ ერთ-ერთ მწვავე პრობლემასთან დაკავშირებით.

საქინფორმი.

## მსოფლიო ორბიტაზე

(დასასრული)

რომში ფაოს მსოფლიო სამიტზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა. საქართველოს მთავრობის სახელით მან ულრმესი მადლიერება გამოთქვა იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, ტექნიკური და მორალური დახმარებისათვის, რომელიც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ აღმოუჩინა საქართველოს ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სალამი და საუკეთესო სურვილი გადასცა მან სამიტის ორგანიზატორებს.

მიუხედავად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მძიმე შედეგებისა, და გადატანილი სამოქალაქო ომებისა, — განაცხადა ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა, — უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე საქართველომ შეძლო განვითარების თვისებრივად ახალ გზას დადგომოდა. მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, ჩატარდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომლებიც ულებლია ყველა საერთაშორისო ექსპერტის შეფასებით თავისუფალი და სამართლიანი იყო, ეკონომიკა ნაბიჯნაბიჯ სტაბილური აღმავლობის გზას ადგას. საერთაშორისო და ევროპული საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობით ხორციელდება ძირეული ეკონომიკური რეფორმები, რომელთა პირველი შედეგია ეროვნული ვალუტის კურსის პრაქტიკულად უცვლელობა ერთი წლის მანძილზე, ანუ მისი შემოღების დღიდან. მოხდა ფასების სრული ლიბერალიზაცია, რის საფუძველზეც საბოლოოდ გაუქმდა ფასების სახელმწიფო რეგულირების სისტემა, მათ შორის უმნიშვნელოვანეს საკვებ პროდუქტზე — პურზე. გაუქმდა სახელმწიფოს მონოპოლიაც საგარეო ვაჭრობაზე, იქმნება სახარბიელო პირობები უცხოური ინვესტიციებისთვის.

საქართველოს შესანიშნავი ურთიერთობა დაუმყარდა ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაჯანსაღებასთან ერთად აძლევს მას საშუალებას სატრანზიტო ქვეყნისა და სტაბილიზაციის ფაქტორის როლი შეასრულოს ისეთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში, როგორიც კავკასიაა. ამ თვალსაზრისით უდიდესი როლი ეკისრება ევროპა-აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის საუკუნის პროექტს, რომლის განხორციელება უკვე დაწყებულია. წელს საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას. საქართველოს მიენიჭა სპეციალური სტუმრის სტატუსი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის, პიროვნების თავისუფლების, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ჩვენ სწორ გზას ვადგავართ.

სამართლებრივი საფუძვლების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით ქვეყანაში მოკლე პერიოდში მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც არეგულირებენ მეწარმეობის, უცხოური ინვესტიციების, საბანკო საქმისა და საგადასახადო სისტემის რეფორმებს.

მნიშვნელოვანი გარდაქმნები მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სფეროში. ქართული მიწათმოქმედების კულტურა ერთ-ერთი უძველესია მთელ მსოფლიოში, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, რომ არა FAO-ს, დონორი ქვეყნების, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეალური დახმარება, რომელმაც იხსნა საქართველო კატასტროფისაგან ჩვენი ქვეყნისათვის ძნელბედობის ჟამს. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ფორუმი ახალ ასპარეზს წარმოაჩენს საქართველოსა და სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის საკვების ნაკლებობის თავიდან აცილებისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფის საქმეში.

მიუხედავად აშკარა პოზიტიური ცვლილებებისა, რომლებზეც ზევით მოგახსენეთ, ამჟამად საქართველოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი ჯერ კიდევ სავალალო მდგომარეობაშია — 800 ათასი ადამიანი შიმშილის ზღვარზე იმყოფება. მდგომარეობას უფრო ამძიმებს აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად 300 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი, რომლებიც უსახლკაროდ, ელემენტარული პირობების გარეშე ცხოვრობენ. იმასაც დავუმატებ, რომ გასაგები მიზეზების გამო 1995 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1990 წელთან შედარებით 75 პროცენტი შემცირდა.

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმ იძულებითი ნაბიჯისა, რომელიც აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტად საკვებით თვითუზრუნველყოფა აღიარებს და ეს პროცესი საქართველოში შიდა რესურსებზე დაყრდნობით ხორციელდება.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. მას უკავია 69,7 ათასი კვ.კმ. და ტერიტორიის მხოლოდ 44 პროცენტი ( 3 მლნ. ჰა) გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. ერთ სულ მოსახლეზე მოდის მხოლოდ 0,6 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, აქედან სახნავი — 0,16 ჰა. საქართველოში გვხვდება მსოფლიოში გავრცელებული ყველა ტიპის ნიადაგი და კლიმატი. აქ შეიძლება წარმოებულ იქნას მრავალი სახის, როგორც საშინაო მოხმარების, ასევე საექსპორტო დანიშნულების პროდუქცია. სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური და კვების მრეწველობის საწარმოთა არსებული სიმძლავრეები დღეს სავსებით საკმარისია წარმოებული ნედლეულის გადასამუშავებლად.

## რომ არ შიოდეს და არც ეშინოდეს მოსალოდნელი შიმშილისა

ქვეყანაში წლების განმავლობაში, გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად სამრეწველო საწარმოები ძირითადად საბოლოო პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტირებული. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის საქართველო ჩაის, ციტრუსების, ღვინის, ხილის, ბოსტნეულის და სხვა სამხრეთული პროდუქციის ძირითადი ექსპორტიორი იყო.

საქართველოში არ იწარმოება სოფლის მეურნეობის არც ერთი ისეთი პროდუქტი, რომელზეც ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის სტრატეგია აგება შეიძლებოდა. ესეც ქვეყნის აგრარულ-საწარმოო სფეროს თავისებურებაა. მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა განსაზღვრავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის აუცილებლობას, საგარეო ვაჭრობაში აქტიურ ჩართვას.

დაწყებულმა რეფორმებმა დაამკვიდრა სოფლად საკუთრების და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბება, გადამამუშავებელი საწარმოების განსახელმწიფოებრიობის პროცესი. მეწარმეები თვითონ განსაზღვრავენ წარმოების მიმართულებას, სტრუქტურას, მოცულობას, განკარგავენ წარმოებულ პროდუქციას. საქართველოში რეფორმა მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, მიღებულია კანონები „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“; „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ და სხვა.

1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობას საკუთრებაში უფასოდ გადაეცა 678 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ მათი საერთო რაოდენობის 23 პროცენტი. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება 1997 წლის მარტამდე და მისი დასრულების მომენტისათვის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემულ იქნება 870 ათასი ჰექტარი, რაც მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 29,5 პროცენტი შეადგენს.

აღიარებულია მიწის კერძო საკუთრება გაყიდვის უფლებით, რითაც შეიქმნა ინვესტიციების მოზიდვის, ფერმერული, ინდივიდუალური, კოოპერაციული სხვა ფორმის მეურნეობების ... ების, სამართლებრივი პირო... ბები. მიმდინარეობს მათი ნ... ბაყოფლობითი გაერთიანე... პროცესი ფერმერულ კავში... ბში, ფერმერულ ასოციაციე... და კოოპერატივებში. საკ... დიტო რესურსების მაქსიმა... რად მობილიზების მიზნით ... ფლად იქნება საკრედიტო ... ვშირები, რაც ხელს შეუწყ... ეკონომიკის განვითარე... ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ... რიბუტის — საკრედიტო ბაზ... ფორმირებას.

საქართველოს აგროსამრ... წველო კომპლექსის განვი... რების ქვაკუთხედს კერძო ... ქტორი წარმოადგენს, მაგ... მის მიერ წარმოებული იყო ... რცვლის 60 პროცენტი, მზ... მზირის 65 პროცენტი, ბოსტ... ულის 79 პროცენტი, კარტო... ლის 78 პროცენტი, ციტრუს... 50 პროცენტი, ხორცის 82 პრ... ცენტი, რძის 90 პროცენტი ... კვერცხის 80 პროცენტი. ს... კანონმდებლო ბაზაზე დაყრ... ბით დამამთავრებელ ფაზაში ... დის გადამამუშავებელი მრე... ლობის პრივატიზაციის პროც...

დიდ პრობლემად რჩება ირ... გაცია და დრენაჟი. თუ ქვეყ... დასავლეთ ნაწილისათვის ... ნასავლეთებით მნიშვნელო... ნია ჭარბი წყლების მოცი... ბა და სადრენაჟო ღონისძ... ებები, აღმოსავლეთ ნაწილ... სადაც მშრალი კონტინენტ... რი ჰავაა, აუცილებელია მ... რწყვა. ირიგაციისა და დრ... ნაჟის სისტემების აღდგ... დიდ კაპიტალდაბანდებებს ... ითხოვს, რისი განხორციელ... ბაც საერთაშორისო დახმარ... ბის გარეშე შეუძლებელია. ... აღდგენას მოსავლიანობის ... ზრდის გარდა, მოჰყვება ... მახლის დასაქმება.

ქვეყანაში შექმნილი სოც... ალურ-ეკონომიკური სიტუაცი... ანალიზი და პროგნოზებ... ანგარიშებმა გვიჩვენეს, რო... მიუხედავად გარკვეული ძვრ... ბისა, კომპლექსის გამოცო... ხლებისათვის აუცილებელია ... სპეციფიური ღონისძიებების ... ხორციელება, წინააღმდეგ ... მთვლებში ქვეყანა თავის ... დაალწევს განვითარებაზე ... ყენებისაგან სასურსათო დამ... კიდებულებას.

მინდა მადლიერებით აღ... ნიშნო FAO-ს მიერ შარშან ... ქართველოში განხორციე... ბული სამშენებლო ხორბ... ელიტური თესლით მომარ... გების პროექტი. ანალოგიუ... პროექტი მიმდინარეობს ... ლსაც. დაშუშავების სტად... შია კალიების წინააღმდეგ ... ძოლის პროექტი, მაგრამ ... სამწუხაროდ, ეს არ არის ... კმარისი. საჭიროა უფრო ... სშტაბური პროექტების გა... ხორციელება, რომლებიც ... გვიჩენ საშუალებას აღვ... გინოთ ირიგაციისა და დრ... ნაჟის სისტემები, კრიზის... გამოვიყვანოთ მეთესლეო... დარგი, ვებრძოლოთ მავნე... ლებსა და დაავადებებს.

დღევანდელ მსოფლიოში ად... მიანს არა თუ არ უნდა შიო... დეს, არამედ არ უნდა ეშინო... დეს, რომ მოშივდება მას ... მის შვილებს. ამგვარი მიდგო... მშვიდობის ერთ-ერთი გარ... ნტი იქნება მთელს პლანეტ... ზე. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვ... ნი შეხვედრა, მიღწეული შ... დეგები, კიდევ ერთი წინ გ... დადგმული ნაბიჯი გახდება ... მიმართულებით. გვწამს, გა... როს, დონორების, სხვა საე... თაშორისო ორგანიზაციების ... ლისხმიერების, რომლებიც ... მიატოვებენ დემოკრატიული ... მართლებრივი საზოგადოებ... მშენებლობის გზაზე დამდგ... საქართველოს.

## ორი პრინციპი, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება საუბრის გაგრძელება

(დასასრული)

**— პირდაპირ მოვიდნენ, ბატონო ვაჟა, თუ „სიტუაციის რეკოგნოსცირების“ შემდეგ?**

— თვითონ დამირეკეს. მითხრეს, რომ მიცნობენ, იციან, რომ ვარ საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, რომ კონფლიქტების მოგვარების საკითხები აფხაზეთში მე მაქვს დავალებული, ვარ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში და ჩემი მეშვეობით სურთ საქართველოს სახელმწიფოსთან დაიწყონ ოფიციალური და გულახდილი საუბარი.

მე მგონი, მისამართი სწორია...

**— რა თქმა უნდა.**

— მოვიდნენ კიდეც ამ მისამართზე.

მელაპარაკა, როგორც თავად წარმოიდგა, ჩეჩნეთის კოალიციური მთავრობის ვიცეპრემიერი კუტაევი, რომელსაც საერთაშორისო და, მათ შორის, დსთ ქვეყნებთან ურთიერთობა აბარია.

მითხრა, რომ არიან მასხადოვისა და იანდარბიევის უფლებამოსილი წარმომადგენლები და მოქმედებენ მათი დავალებით.

თქვეს, რომ მათ ძალიან აწუხებთ საქართველოსთან ჩეჩნეთის ურთიერთობის პრობლემა. საქართველოსა და ჩეჩნეთს კეთილმეზობლობის საუკეთესო ტრადიციები აქვთ და დღევანდელ ვითარებაშიც და კავკასიაში მომავლის განსასაზღვრავად ამ ურთიერთობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მათ სურთ ჩვენთან დაამყარონ ახალი კონტაქტები.

ვუპასუხე, რომ საქართველოსთან ურთიერთობის დამყარების შესახებ საუბარი შეიძლება მხოლოდ ორი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით.

პირველი პრინციპი გამომდინარეობს ჩვენთვის უმთავრესი და უმწვავესი პრობლემიდან — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი აღდგენა.

რა თქმა უნდა, ორ ხალხს შორის ურთიერთობა ყველა წყენაზე მაღლა უნდა იდგეს. აქედან გამომდინარე, ჩეჩნეთთან ურთიერთობა მომავალში ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, მაგრამ საამისო საფუძველი უნდა არსებობდეს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ის პრინციპია, რომელზეც შეიძლება აიგოს სამომავლო ურთიერთობა. რა პოზიციას დაიკავებს ამ საკითხში ჩეჩნეთი, როგორ შეაფასებს იგი თავის აქტიურ მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტში, ჩვენთვის მთავარი და განმსაზღვრელი იქნება. მით უფრო, ჩვენ არ მოვითხოვთ საკითხის ისეთ გადაწყვეტას, რომელიც უსამართლო იქნება აფხაზი ხალხის მიმართ.

ჩვენი მოდელი ერთიანი საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის პოლიტიკური მომავლისა და ბედის გადაწყვეტისათვის ისტორიული თუ დღევანდელი სამართლიანობის პრინციპებზეა აგებული.

ასეთი მიდგომა მათ გაიზიარეს. ვიცეპრემიერმა განმიცხადა, რომ გამსახურდიასდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამო ჩაება ჩეჩნეთი ამ კონფლიქტში, თუმცა პირადად მას მაშინაც მიაჩნდა, რომ აფხაზების გულისთვის საქართველოს არ უნდა დაპირისპირებოდნენ. დღეს ჩეჩნეთში უმეტესობა ასე ფიქრობს. არიან ისეთებიც, რომლებიც საპირისპირო აზრზე დგანან, მაგრამ მათი რაოდენობა აშკარად მცირეა. საქართველო ის ქვეყანაა, თქვა ჩეჩნეთის წარმომადგენელმა, რომელთანაც უწინარეს ყოვლისა უნდა დავამყაროთ ნორმალური ურთიერთობა.

პირდაპირ და დაუფარავად ვუთხარი, რომ ისინი შეცდნენ მაშინაც, როდესაც საქართველოს წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა, და, საერთოდ, აფხაზეთში მათი პოლიტიკა თავიდან ბოლომდე დიდი შეცდომა იყო, რომელმაც ასეთი ტრაგიკული შედეგები მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

კუტაევმა განმიცხადა, რომ მათ სავსებით გათვითცნობიერებული აქვთ, საქართველოსთან ურთიერთობის დიდი მნიშვნელობა, ისიც, თუ რას ნიშნავს შევარდნაძის ფაქტორი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ჩეჩნეთისთვისაც, და რომ კავკასიის პრობლემები კავკასიაშივე უნდა მოვაგვაროთ, აქ კი საქართველოს პოზიცია გადამწყვეტია.

კუტაევმა დიდი მადლიერებით გაიხსენა საქართველოს დახმარება დეპორტირებული ჩეჩნების დაბრუნების პერიოდში და მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის დროს. განსაკუთრებით გამოყო ჩვენი დამსახურება მათი მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ამაზე ვუპასუხე, რომ სჯობდა ყოველივე ეს აქტიურად გაეხსენებინათ იმ წლებში, როდესაც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ.

მეორე პრინციპი, რომელიც მათ წავუყენე შემდეგია.

რუსეთი საქართველოსთვის სტრატეგიული პარტნიორია, და მასთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება ჩვენთვის მეორეხარისხოვანი ს... არ არის.

ამას გაგებით შეხვდა ჩეჩ... წარმომადგენელი და მითხრა, ... ეს სამართლიანი მიდგომაა და ... არც გთხოვენ ჩეჩნეთთან ურ... რთობა ავაგოთ რუსეთთან და... სპირების ხარჯზე.

შევთანხმდით, რომ ამ კვ... ასეთ შეხვედრებს გავაგრძე...

* * *

პირველი შთაბეჭდილება: არ... რუსეთი, როგორც მოკავშირე, ... ეცალა. ახლა ჩეჩნეთმა უგანა... უწონობის მდგომარეობაში ... ჩნდნენ სეპარატიზმის იდეოლ... და ორგანიზატორებიც.

რა შედეგი მოჰყვება ამას, ს... ლე უნდა გავიგოთ.

ესაუ...

**არმაზ სანებლი...**
„სრ“ სპეც. კ...
მოსა...

# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ ამოქმედდეს 1997 წლის 1 თებერვლიდან.

2. ეთხოვოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე შეიმუშაოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს:

ა) „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი“;

ბ) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის დებულება და სტრუქტურა;

გ) სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა;

დ) იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება;

ე) იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელნიც უფლებამოსილი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე**
**ზურაბ ჟვანია.**

თბილისი, 1996 წლის 29 ოქტომბერი.

---

# საქართველოს კანონი

# სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ

**საქართველოს საინფორმაციო სუვერენიტეტიდან და ინფორმაციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, ეს კანონი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, მის დასაიდუმლოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.**

## თავი I

## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. კანონში გამოყენებული ცნებები**

1. „სახელმწიფო საიდუმლოება“ — ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებამ ან დაკარგვამ შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.

2. „საიდუმლოობის ხარისხი“ — კატეგორია, რომელიც გამოხატავს ინფორმაციის მნიშვნელობას, მისი გამჟღავნებით ან დაკარგვით გამოწვეულ შესაძლო ზიანს, ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ხარისხს და სახელმწიფოს მიერ მისი დაცვის დონეს.

3. „სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სისტემა“ — სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ორგანოების მიერ გამოყენებული საიდუმლოების დაცვის საშუალებები და მეთოდები, აგრეთვე ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

4. „დასაიდუმლოება“ — ამ კანონით დადგენილ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებთან დაშვებისა და მათი გავრცელების შეზღუდვები.

5. „განსაიდუმლოება“ — ამ კანონით დადგენილ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობებთან დაშვებისა და მათი გავრცელების შეზღუდვის მოხსნა.

6. „სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მქონე“ — დოკუმენტი ან სხვა სახის მატერიალური საგანი, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებად აღიარებულ ინფორმაციას.

7. „სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება“ — სახელმწიფო ორგანოსათვის, ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მიცემული ნებართვა, შეასრულოს სამუშაო სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოყენებით.

8. „სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობის უფლება“ — თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მქონე პირისათვის მიცემული შესაძლებლობა გაეცნოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალას.

9. „საიდუმლოობის გრიფი“ — რეკვიზიტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხს.

10. „ინფორმაციის დაცვის საშუალებები“ — სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის ტექნიკური, კრიპტოგრაფიული, პროგრამული და სხვა საშუალებები.

**მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ**

1. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ შედგება ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

2. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება არ ვრცელდება კომერციული ან საბანკო საიდუმლოების, საფინანსო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საგამომგონებლო და სხვა სახის საიდუმლო ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, თუ ეს ინფორმაცია ამასთანავე სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

**მუხლი 3. სახელმწიფო პოლიტიკა სახელმწიფო საიდუმლოების მიმართ**

1. სახელმწიფო პოლიტიკას სახელმწიფო საიდუმლოების მიმართ, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, შეიმუშავებს საქართველოს პარლამენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ამ პოლიტიკის შესრულებას კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

3. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებებს, არის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

4. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

**მუხლი 4. ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და საიდუმლოების დაცვისათვის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებანი**

**1. საქართველოს პარლამენტი:**

ა) უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგებას;

ბ) საპარლამენტო კონტროლს უწევს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებას;

გ) განსაზღვრავს პარლამენტის აპარატის იმ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას პარლამენტში;

დ) გადაწყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის სხვა საკითხებს.

**2. საქართველოს პრეზიდენტი:**

ა) ამტკიცებს „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესს“;

ბ) ამტკიცებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის დებულებასა და სტრუქტურას, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს;

გ) ამტკიცებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას;

დ) ამტკიცებს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება;

ე) ამტკიცებს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელნიც უფლებამოსილი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა;

ვ) განსაზღვრავს სახელმწიფო კანცელარიის იმ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას სახელმწიფო კანცელარიაში;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობების მიკუთვნებისა და დაცვის სხვა საკითხებს.

**3. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო:**

ა) შეიმუშავებს და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს:

„სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესს“;

სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მისაკუთვნებელ ცნობათა ნუსხას;

იმ თანამდებობის პირთა სიას, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კონკრეტული ცნობების მიკუთვნების უფლებამოსილება;

იმ თანამდებობის პირთა სიას, რომელნიც უფლებამოსილი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა;

ბ) ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და შესრულების ორგანიზაციას.

**4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და მათი ხელმძღვანელები:**

ა) უზრუნველყოფენ მათთვის გადაცემული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარუდგენენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სისტემის სრულყოფის წინადადებებს.

**5. სასამართლო ხელისუფლება:**

ა) განიხილავს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში;

ბ) უზრუნველყოფს საქმეთა განხილვისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას.

გ) განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გავრცელებით ან დაკარგვით მიყენებული ზარალის ოდენობას, ასევე იმ ზარალის ოდენობას, რომელიც ამ ცნობების გაცემით განიცადა ინფორმაციის მფლობელმა;

დ) განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 5. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეულ ინფორმაციასა და მის შემცველებზე საკუთრების უფლების განხორციელება**

1. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ან მისი მატერიალური შემცველის მესაკუთრე თავის საკუთრების უფლებას ახორციელებს ამ კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესი და პირობები, სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა და მისი შემცველის გამოყენებისა და განკარგვის სპეციალური რეჟიმის დადგენის ჩათვლით, განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით ინფორმაციის ან მისი შემცველის მფლობელსა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას შორის.

3. თუ ხელშეკრულებაში აღნიშნული საკუთრების უფლებათა შეზღუდვები სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეულ ინფორმაციაზე და მის შემცველებზე ზარალს აყენებენ მათ მესაკუთრეს, ამ ზარალის სრული კომპენსაცია ხდება სახელმწიფოს ხარჯზე, იმ შემოსავლის ჩათვლით, რომელიც მესაკუთრემ ვერ მიიღო.

4. თუ სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ან მისი შემცველის მესაკუთრე უარს ამბობს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არღვევს მას, სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ინფორმაცია ან მისი შემცველი შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს და გადავიდეს სახელმწიფო საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში კომპენსაციის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო.

**მუხლი 6. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, მისი დასაიდუმლოებისა და დაცვის ღონისძიებათა დაფინანსება**

1. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, მისი დასაიდუმლოებისა და დაცვის ღონისძიებები სახელმწიფო ორგანოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და სახაზინო საწარმოებში ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

2. კერძო საკუთრებაში არსებული სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დაცვის ღონისძიებები ხორციელდება ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი დასაიდუმლოებისა და დაცვის ღონისძიებები არასახაზინო საწარმოში ფინანსდება საწარმოსა და სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

## თავი II

## ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა

**მუხლი 7. ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია სახელმწიფო საიდუმლოებად იქნეს მიჩნეული**

**სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ შემდეგი ინფორმაცია:**

**1. თავდაცვის სფეროში:**

ა) რომელიც შეიცავს სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებს, სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების ამსახველ დოკუმენტებს, ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნისა და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების საკითხებს;

ბ) შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესახებ, რომლებიც შეეხება ახალი სახეობის სამხედრო იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებას;

გ) განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეჟიმის, სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ.

**2. ეკონომიკის სფეროში:**

ა) სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმებისა და სიმძლავრეების, სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგისა და მიწოდების მოცულობათა, აგრეთვე სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების განლაგებისა და მოცულობის შესახებ;

ბ) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემისა და რეჟიმის შესახებ, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

გ) ოქროს საერთო მარაგში შემავალი მონეტარული ჯგუფის — ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და სხვა ფასეულობათა — სახელმწიფო მარაგების კონკრეტულ სახეობათა შესახებ, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების, შენახვის, დაცვისა და ყალბისმქმნელობის თავიდან აცილებასთან, მიმოქცევასთან, გაცვლასთან ან მიმოქცევიდან ამოღებასთან დაკავშირებული ოპერაციების თაობაზე.

**3. საგარეო ურთიერთობათა სფეროში:**

ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, რომელთა წინასწარმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს;

ბ) უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხების შესახებ, თუ ცნობების გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს.

**4. სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში:**

ა) სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ; იმ პირთა თაობაზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან;

ბ) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა დაცვისა და ადმინისტრაციული შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის რეჟიმის შესახებ;

გ) სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემის შესახებ;

დ) სახელმწიფო შიფრების დამუშავებისა და გამოყენების, კრიპტოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

**მუხლი 8. ინფორმაცია, რომელიც არ მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად**

1. აკრძალულია სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნებისმიერი ცნობა, რომლითაც შეიძლება შეილახოს ან შეიზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ზიანი მიადგეს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

2. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნორმატიული აქტები, გარდა თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტებისა, რომლებიც აწესრიგებს მათ შიდა საქმიანობას უშუალოდ სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

3. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს რუკები, გარდა სამხედრო დანიშნულების სპეციალური რუკებისა.

4. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სტიქიური უბედურებების, კატასტროფებისა და სხვა განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომლებიც უკვე მოხდა ან შეიძლება მოხდეს და ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას.

ბ) გარემოს მდგომარეობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის, მისი ცხოვრების დონის შესახებ, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით, აგრეთვე სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის შესახებ;

დ) კორუფციის, თანამდებობის პირთა უკანონო ქმედობებისა და კრიმინოგენული სიტუაციის შესახებ;

ე) პრივილეგიების, კომპენსაციებისა და შეღავათების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეებს, თანამდებობის პირებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ვ) სახელმწიფო სავალუტო ფონდისა და ოქროს საერთო მარაგის შესახებ;

ზ) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა ჯანმრთელობის შესახებ.

**მუხლი 9. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის წესი**

1. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების აუცილებლობის დასაბუთება, ამ ცნობების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევალება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, აგრეთვე, საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელმაც ეს ცნობები შეიმუშავა ან მიიღო განსახილველად და, ან შესანახად.

2. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების საკითხს წყვეტს სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი პირი, რომელსაც ეს უფლებამოსილება აქვს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით.

**მუხლი 10. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა**

1. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას გამოსაქვეყნებლად ამზადებს და ოფიციალურ სახელმწიფო გამოცემებში აქვეყნებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

2. ცვლილებები და დამატებები სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში ქვეყნდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

3. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია სულ ცოტა 5 წელიწადში ერთხელ ოფიციალურად აქვეყნებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას.

4. თუ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში შეტანილია ინფორმაცია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არღვევს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილ წესს, დაინტერესებული პირები უფლებამოსილი არიან კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

**მუხლი 11. საიდუმლოების ხარისხის დადაბლება და სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება**

საიდუმლოების ხარისხის დადაბლება და მისი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება ხდება სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებით ან შეცვლით, ამ გადაწყვეტილების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში და ფორმდება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის მიერ საიდუმლო ცნობათა ნუსხაში სათანადო ცვლილებების შეტანით.

## თავი III

## ინფორმაციის დასაიდუმლოება

**მუხლი 12. ინფორმაციის დასაიდუმლოების პრინციპები**

1. ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება კანონიერების, დასაბუთებულობის და დროულობის პრინციპების შესაბამისად.

2. ინფორმაციის დასაიდუმლოების კანონიერება განისაზღვრება ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ინფორმაციის დასაიდუმლოების დასაბუთებულობა განისაზღვრება კონკრეტული მასალის საექსპერტო შეფასების საფუძველზე სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების გათვალისწინებით.

4. ინფორმაციის დასაიდუმლოების დროულობის პრინციპი განისაზღვრება ამ ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვით მისი მიღების (შემუშავების) მომენტიდან.

**მუხლი 13. ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხი და გრიფი**

1. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტისათვის, ნაკეთობისათვის ან ინფორმაციის სხვა მატერიალური შემცველისათვის საიდუმლოობის გრიფის მინიჭებით.

2. საიდუმლოობის გრიფი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ყოველი მატერიალური შემცველის აუცილებელი რეკვიზიტია. იგი უნდა აღნიშნავდეს ამ ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხს („განსაკუთრებული მნიშვნელობის“, „სრულიად საიდუმლო“, „საიდუმლო“), ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადასა და თანამდებობის პირს, რომელმაც აღნიშნა ეს გრიფი.

3. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ საიდუმლოობის ხარისხი, მიეკუთვნება მონაცემები, რომელთა გავრცელება ან დაკარგვა არსებითად იმოქმედებდა საქართველოს ინტერესებზე თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, გამოიწვევდა განსაკუთრებით მძიმე შედეგებს.

4. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება საიდუმლოობის ხარისხი „სრულიად საიდუმლო“, მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გავრცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის, აგრეთვე ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა ინტერესებისათვის.

5. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება საიდუმლოობის ხარისხი „საიდუმლო“, მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გავრცელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თავდაცვაზე, სახელმწიფო უშიშროებაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე.

6. თუ გრიფის აღნიშვნა უშუალოდ ინფორმაციის მატერიალურ შემცველზე შეუძლებელია, იგი უნდა მიეთითოს თანდართულ დოკუმენტებში.

7. აკრძალულია ამ კანონით გათვალისწინებული საიდუმლოობის გრიფის აღნიშვნა ინფორმაციის შემცველებზე, რომლებშიც დაცული სხვა სახის საიდუმლო ან კონფიდენციალური ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

8. თანამდებობის პირთა სიას, რომლებსაც უფლება აქვთ ინფორმაციის შემცველზე აღნიშნონ საიდუმლოობის გრიფი, ამტკიცებს იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ეწევა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

9. ინფორმაციის დასაიდუმლოების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ და ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხის დადაბლების ან მისი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში ინფორმაციის დასაიდუმლოების განმხორციელებელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ საიდუმლოობის გრიფის შეცვლა ან ინფორმაციის განსაიდუმლოება.

**მუხლი 14. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა**

1. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა დამოკიდებულია მისი საიდუმლოობის ხარისხზე. „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ ინფორმაციისათვის იგი შეადგენს არა უმეტეს 20 წელს, „სრულიად საიდუმლო“ ინფორმაციისათვის — არა უმეტეს 10 წელს, „საიდუმლო“ ინფორმაციისათვის — არა უმეტეს 5 წელს.

2. დასაიდუმლოების ვადის ათვლა იწყება ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოობის გრიფის აღნიშვნის თარიღიდან.

3. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლება აქვს გააგრძელოს დასაიდუმლოების ვადა.

**მუხლი 15. საიდუმლოების შემცველი ცნობების დასაიდუმლოების წესი**

1. ცნობების დასაიდუმლოების, ე. ი. დოკუმენტებზე და სხვა მატერიალურ ობიექტებზე საიდუმლოობის გრიფის დასმის საფუძველია მათი შესაბამისობა იმ ცნობების ნუსხასთან, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.

2. თუ შეუძლებელია მიღებული (შემუშავებული) ცნობების მოქმედ ნუსხაში შეტანილ ცნობებთან იდენტიფიკაცია, სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულების, უწყებისა და საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული ცნობების წინასწარი დასაიდუმლოება, საიდუმლოობის მოსალოდნელი ხარისხის გათვალისწინებით, და ერთი კვირის ვადაში გადაუგზავნოს უშიშროების საბჭოს თავისი წინადადებები. უშიშროების საბჭო ერთი თვის ვადაში ჩაატარებს შემოსული წინადადების საექსპერტო შეფასებას და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს წინადადებას მოქმედ ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**მუხლი 16. ინფორმაციის დაუსაბუთებელი დასაიდუმლოების გასაჩივრება**

1. მოქალაქეები და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოობის გრიფის აღმნიშვნელ თანამდებობის პირს მიმართონ ამ ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ მოტივირებული წინადადებით, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული. აღნიშნულმა თანამდებობის პირმა მოქალაქეს ან იურიდიულ პირს ერთი თვის განმავლობაში უნდა გასცეს დასაბუთებული წერილობითი პასუხი.

2. გადაწყვეტილება ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

## თავი IV

## საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოება

**მუხლი 17. საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების საფუძველი**

1. ცნობებისათვის საიდუმლოობის გრიფის მოხსნის საფუძველია:

ა) საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულების აღება იმის თაობაზე, რომ ღიად იქნეს გაცვლილი ის ცნობები, რომლებიც ადრე სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდნენ;

ბ) ობიექტური გარემოების შეცვლა, რომლის შედეგადაც აღარ არის საჭირო დაცულ იქნეს ის ცნობები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა;

გ) დადგენილი ვადის გასვლა.

2. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახდენენ დასაიდუმლოებას, ვალდებული არიან ყოველწლიურად გადასინჯონ მონაცემები ცნობების დასაიდუმლოების შესახებ, რათა კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით შეფასდეს ცნობების საიდუმლოობის აუცილებლობა.

**მუხლი 18. სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების წესი**

1. სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოება ხდება არა უგვიანეს იმ ვადისა, რა ვადითაც დასაიდუმლოებულ იქნა ცნობები. საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოებას ახორციელებს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტი, თუ ასეთი უფლებამოსილება ამ უკანასკნელს მინიჭებული აქვს სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელი ორგანიზაციის ან მისი სამართალმემკვიდრის მიერ. თუ ასეთი უფლებამოსილება სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტს მინიჭებული არა აქვს ან ეს ორგანიზაცია გაუქმდა, განსაიდუმლოების საკითხს წყვეტს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

2. ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოების უფლება აქვს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას.

3. ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოების წინადადებას ეროვნული უშიშროების საბჭოს წარუდგენს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების უფლების მქონე შესაბამისი ორგანო. ეროვნული უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს წინადადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 19. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ფიზიკური და იურიდიული პირების შეკითხვით მიმართვის უფლება ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ**

1. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან შეკითხვით მიმართონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს (მათ შორის სახელმწიფო არქივებს) სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციის განსაიდუმლოების თაობაზე.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები (მათ შორის სახელმწიფო არქივები), რომლებმაც ასეთი შეკითხვა მიიღეს, ვალდებული არიან ერთი თვის ვადაში განიხილონ და მოტივირებული პასუხი გასცენ შეკითხვის არსებით მხარეს. თუ მათ არა აქვთ ამ ცნობების განსაიდუმლოების უფლებამოსილება, შეკითხვის შემოსვლიდან ერთ კვირაში ის გადაეცემა სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელსაც აქვს ასეთი უფლება, ან — სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას. შეკითხვას მოტივირებული პასუხი უნდა გაეცეს ერთი თვის ვადაში.

3. თანამდებობის პირის მიერ შეკითხვის არსებითად განხილვისაგან თავის არიდება იწვევს დისციპლინურ და — ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობის მიკუთვნების საფუძვლიანობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს მიერ ცნობის დასაიდუმლოების უსაფუძვლობის დადასტურების შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა განსაიდუმლოვდეს.

5. სასამართლოს მიერ ცნობის დასაიდუმლოების უსაფუძვლობის დადასტურების შემთხვევაში, ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის მიყენებული ზარალის სრული კომპენსაცია ხდება სახელმწიფოს ხარჯზე, იმ შემოსავლის ჩათვლით, რომელიც მესაკუთრემ ვერ მიიღო. კომპენსაციის ოდენობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს სასამართლო.

## თავი V

## სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გამგებლობა

**მუხლი 20. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვის გაცემა**

1. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლებას აძლევს საქართველოს უშიშროების სამინისტრო შესაბამისი ნებართვის გაფორმებით.

2. ასეთი ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს განსაზღვრავს „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი“.

**მუხლი 21. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გაცემა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ**

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს გასცემს სახელმწიფო ხელისუფლების ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანამდებობის პირთა სანქციით.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც მიიღებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს, მოვალეა შექმნას ყველა პირობა სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად. თანამდებობის პირები პერსონალურად აგებენ პასუხს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

3. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემისას დაცულ უნდა იქნეს ამ კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნები.

## თავი VI

## სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა

**მუხლი 22. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის არსი**

1. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა მოიცავს საორგანიზაციო-სამართლებრივ, საინჟინრო-ტექნიკურ, კრიპტოგრაფიულ და ოპერატიულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა მიზანია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება.

2. ამ ღონისძიებათა განხორციელებას თავისი კომპეტენციის შესაბამისად ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელი.

**მუხლი 23. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ძირითადი საორგანიზაციო-სამართლებრივი ღონისძიებები**

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით დგინდება:

1. ერთიანი მოთხოვნები სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის მატერიალური შემცველების დამზადების, გამოყენების, შენახვის, გადაცემის, ტრანსპორტირებისა და აღრიცხვისადმი.

(დასასრული მე-4 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკა
№232. სამშაბათი, 19 ნოემბერი, 1996 წელი.

# საქართველოს კანონი

# სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ

(დასასრული).

2. თავისი საქმიანობით სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის ნებართვის გაცემის პირობები და წესი.

3. შემოაღნიშნული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი (საიდუმლოების რეჟიმი).

4. სახელმწიფო საიდუმლოებასთან მოქალაქეთა დაშვების სპეციალური წესი.

5. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნების, სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის ან სხვა გზით გავრცელების შეზღუდვა.

6. თავისი საქმიანობით სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მიერ სასამართლო, საზედამხედველო, საკონტროლო-სარევიზიო და სხვა ფუნქციების შესრულების სპეციალური წესი.

7. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის.

**მუხლი 24. ერთიანი მოთხოვნები სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის შემცველებისა და მათი შენახვისადმი**

ერთიან მოთხოვნებს სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის შემცველების დამზადების, გამოყენების, დაცულობის უზრუნველყოფის, გადაცემის, ტრანსპორტირებისა და აღრიცხვისადმი ადგენს „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი".

**მუხლი 25. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის განსაკუთრებული რეჟიმი**

სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი (საიდუმლოობის რეჟიმი) განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესით".

**მუხლი 26. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება**

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაიშვება საქართველოს ქმედუნარიანი, 18 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა სჭირდება თავისი სამსახურებრივი ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.

2. გადაწყვეტილებას საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების თაობაზე იღებს იმ სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სადაც ხორციელდება სამუშაო ან ინახება ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობების შემცველები და რომელიც უფლებამოსილია გასცეს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება.

3. სახელმწიფო ხელისუფლების იმ უმაღლეს ორგანოებში, რომელთა დაცვას „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სამსახურის უფროსის დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების თაობაზე იღებენ ამ ორგანოთა ხელმძღვანელები.

4. საქართველოს მოქალაქისათვის საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

5. უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება მიეცემა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ან საქართველოს პრეზიდენტის წერილობითი განკარგულების საფუძველზე.

6. დაშვების გაცემა ითვალისწინებს:

ა) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დასაშვებად პირის შემოწმებას;

ბ) პირის მიერ ვალდებულების აღებას, რომ დაიცავს მისთვის განდობილ სახელმწიფო საიდუმლოებას;

გ) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გამო პირის წერილობით თანხმობას მის უფლებათა კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე;

დ) სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ნორმების პირისათვის გაცნობას.

7. პირისათვის საჭირო ინფორმაციასთან დაშვების ფორმები დგინდება მისი საიდუმლოობის ხარისხის მიხედვით („განსაკუთრებული მნიშვნელობის", „სრულიად საიდუმლო", „საიდუმლო").

8. გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოებასთან პირის დაშვების თაობაზე მიიღება მისი შემოწმების დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

**მუხლი 27. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებაზე უარის თქმა**

სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება არ გაიცემა, თუ:

1. პირი არ წარადგენს დასაბუთებას სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე სამუშაოდ;

2. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად პირის შემოწმების პროცესში გამოვლინდა მის მიერ უცხოეთის სახელმწიფოების და ორგანიზაციების მართლსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის ხელშეწყობის ან მოქალაქეთა ისეთ გაერთიანებაში მონაწილეობის ფაქტები, რომლის საქმიანობაც აკრძალულია სასამართლო წესით ან ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას, ან თუ გამოვლინდა პირისათვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტები.

3. პირი უარს ამბობს იკისროს ვალდებულება, რომ დაიცავს მისთვის განდობილ სახელმწიფო საიდუმლოებას ან არ არსებობს მისი თანხმობა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვების თაობაზე.

4. პირი ნასამართლევია კანონით დადგენილი, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

5. პირი სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე არ შეიძლება მისი დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან. ასეთ დაავადებებს განსაზღვრავს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად.

6. პირი დაშვების გაფორმების პროცესში შეგნებულად იძლევა არასწორ ცნობებს თავის შესახებ.

**მუხლი 28. პირის შემოწმება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად**

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად პირის შემოწმებას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო ერთი თვის ვადაში ამ კანონით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

2. შემოწმების დროს დგინდება ამ კანონის 27-ე მუხლის „ა", „ბ" და „დ" პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობა ან არარსებობა.

3. შემმოწმებელი ორგანოს დასკვნის გათვალისწინება სავალდებულოა თანამდებობის იმ პირთათვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის თაობაზე.

**მუხლი 29. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მიღებაზე უარის თქმის გასაჩივრება**

1. თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის თაობაზე, ვალდებულია განმცხადებელს წერილობით აცნობოს უარის მიზეზები და საფუძველი.

2. პირს უფლება აქვს უარი გაასაჩივროს სასამართლოში.

**მუხლი 30. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაუქმება**

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაუქმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა ან გამოვლინდა ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი.

2. პირის თხოვნით სახელმწიფო საიდუმლოებასთან მისი დაშვება უქმდება დაშვების გაუქმების თაობაზე მიმართვიდან სამი დღის ვადაში.

3. გადაწყვეტილებას დაშვების გაუქმების თაობაზე იღებს თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაშვების გაცემის თაობაზე. პირს უფლება აქვს უარი გაასაჩივროს სასამართლოში.

**მუხლი 31. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა**

1. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა ხდება იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, სადაც ინახება ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობების შემცველები.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაიშვებიან ამ კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე. მათ მიმართ მოქმედებს ისეთივე წესები, როგორიც საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

**მუხლი 32. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებული პირის ვალდებულებები სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად**

პირი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუშვეს, ვალდებულია:

1. არ გაახმაუროს სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს;

2. შეასრულოს ამ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი საიდუმლოობის რეჟიმის მოთხოვნები;

3. თანამდებობის პირს, რომელმაც იგი სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუშვა, აცნობოს გარემოებანი, რომლებიც ხელს უშლის დაიცვას მისთვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოება.

**მუხლი 33. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნების შეზღუდვა**

1. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოსაქვეყნებლად, გასავრცელებლად ან საზღვარგარეთ გასატანად მასალების მომზადებისას საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის მიზნით ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ამ კანონის მოთხოვნებით.

2. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების შედეგებზე მეთვალყურეობას ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

3. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების წინასწარი კონტროლი დაუშვებელია.

**მუხლი 34. სახელმწიფო საიდუმლოების სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის შეზღუდვა**

სხვა სახელმწიფოსათვის ისეთი ინფორმაციის ან ინფორმაციის შემცველის გადაცემა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას ან წინასწარ არის დასაიდუმლოებული ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მისი მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული განკარგულების საფუძველზე.

**მუხლი 35. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები**

1. ინფორმაციის ტექნიკური დაცვის მიზნით საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ვალდებულია გამოიყენოს ინფორმაციის დაცვის, დამუშავების, გადაცემისა და შენახვის დაცული საშუალებები და ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც სერტიფიცირებულია ტექნიკური დაცვის ნორმატივების შესაბამისად.

2. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას უფლება აქვს შექმნას და აწარმოოს სახელმწიფო საიდუმლოების ტექნიკური დაცვის უზრუნველმყოფი სისტემები და საშუალებები, შეასრულოს მათი მომსახურებისა და ტექნიკური დაცვის სამუშაოები, აგრეთვე შეწყვიტოს მომსახურება მხოლოდ საქართველოს უშიშროების სამინისტროს ნებართვით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სერტიფიკაციისა და ლიცენზირების წესი განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესით".

**მუხლი 36. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კრიპტოგრაფიული ღონისძიებები**

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კრიპტოგრაფიული ღონისძიებები განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესით".

**მუხლი 37. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის კონტროლი**

1. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივი კონტროლი დააწესოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

2. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომელიც ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს, უფლება აქვს გააკონტროლოს იმ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა, რომელიც მან გადასცა.

3. სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი კონკრეტული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტის უფლება, ვალდებული არიან გააკონტროლონ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, რომლებიც ასრულებენ შესაბამის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს ან ინახავენ ასეთი ინფორმაციის შემცველებს.

4. საქართველოს უშიშროების სამინისტრო ვალდებულია გააკონტროლოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოში, იმ დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და საწარმოში, რომელთაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლება.

5. ფიზიკური და არასახელმწიფო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის კონტროლის უფლება აქვს საქართველოს უშიშროების სამინისტროს, თუ არსებობს დასაბუთებული საფუძველი, რომ ადგილი აქვს ამ კანონის დარღვევის ფაქტებს. საქართველოს უშიშროების სამინისტროს ამგვარი მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

## თავი VII

### პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

**მუხლი 38. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის დარღვევისათვის**

1. პირს, რომელიც დაარღვევს ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ან არ დაიცავს სხვა სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემის შეზღუდვებს, დაეკისრება კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

2. თანამდებობის პირსა და სახელმწიფო მოხელეს, რომელიც

ა) დაასაიდუმლოებს ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას,

ბ) უსაფუძვლოდ დაასაიდუმლოებს ინფორმაციას,

გ) საიდუმლოობის გრიფს მიანიჭებს ინფორმაციის შემცველებს, რომლებიც არ ან აღარ წარმოადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას,

დ) დაარღვევს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის ამ კანონის 26-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს,

ე) დაარღვევს ამ კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნებს,

ვ) დაარღვევს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას,

ზ) არ დაიცავს ამ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულ სხვა სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემის შეზღუდვებს,

თ) არ განახორციელებს კონტროლს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაზე —

დაეკისრება კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

3. თუ პირმა გაახმაურა სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც ამ კანონის შესაბამისად არ უნდა მიკუთვნებოდა სახელმწიფო საიდუმლოებას, მისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ამ ინფორმაციის საიდუმლოების კანონიერების დადგენის შემდეგ და თუ მისი საიდუმლოება უკანონოდ იქნა მიჩნეული, პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

4. სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება იმ პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ ეს იყო სახელმწიფო საიდუმლოება, დანაშაულად არ ითვლება.

5. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გახმაურდა სახელმწიფო საიდუმლოება და ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო უშიშროებას ან საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებს, ან საფრთხე შეექმნა ადამიანების სიცოცხლეს, კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა დაეკისრება პასუხისმგებელ რედაქტორს (გამოშვებაზე პასუხისმგებელ პირს).

6. მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომლის გახმაურებასაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის ან რომელიც ადრე უკვე გამოქვეყნებული იყო, დანაშაულად არ ითვლება.

**საქართველოს პრეზიდენტი**
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 1996 წლის 29 ოქტომბერი.

ვიზიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაიმერი ჩართულია

## თითოეულ წუთს შეუქცევადი ცვლილებები მოაქვს

**სათაურში** გამოტანილი სიტყვები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას ეკუთვნის. იგი ამ სიტყვებით ამთავრებდა დიალოგს რუს კოლეგებთან, რომლებსაც, როგორც მკითხველმა უკვე იცის, 12-14 ნოემბერს მოსკოვში ვიზიტისას ხვდებოდა საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია მისი ხელმძღვანელობით. დელეგაციაში იყვნენ: პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კახა ჩიტაია, დეპუტატები: საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანი, იგორ ბოგომოლოვი, თამაზ გამყრელიძე, ზურაბ ნოღაიდელი, მიხეილ ჯიბუტი, რევაზ დიასამიძე, პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ნანა ჭყოიძე, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე ირაკლი ჭყონია და პრესსამსახურის უფროსი სულხან მეღაძე.

— **ჩვენ** რუსეთში რაღაცის სათხოვნელად ან შესახვეწად არ ჩამოვსულვართ, — გვეტყვის, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ბატონი ზურაბი და სხვა ბევრ საინტერესოსაც დასძენს. საინტერესო იმდენად, რამდენადაც ვიზიტმა, რომელიც რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის ეგორ სტროევის მიწვევით გაიმართა, რუსი პარლამენტარებისთვის ბევრი რამ გახდა ნათელი და ყურადსაღები.

შეხვედრებზე ქართველი პარლამენტარები მკაფიოდ და პრინციპულად განუმარტავდნენ მათ ჩვენი ქვეყნის პოზიციას.

შეხვედრების დასაწყისში დარბაზში მხოლოდ შვიდი წუთით ყოფნის უფლებას გვაძლევდა ოქმი. ამ შვიდ წუთს კი მასპინძლები კეთილ სალამსა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით საქართველოსადმი უდიდეს სიყვარულის გამოხატვას ანდომებდნენ. უსმენ, ერთი მხრივ, გსიამოვნებს თბილი და ტკბილი სიტყვა, თან ენაზე კბილს აჭერ, რათა ფიქრი უნებურად არ გამჟღავნო: — თქვე დალოცვილებო, თუ ჩვენი ფასი ასე იცით და გიყვარვართ, რატომ საქმით არ გამოხატავთ?

ეს ჩვენ, ჟურნალისტებს გვევალება, ოფიციალურ შეხვედრებზე დუმილი თორემ, დელეგაციის წევრებს, პირიქით, დუმილი არ ეპატიებათ, სწორედ კონკრეტული პოზიციის სათქმელად იყვნენ ჩასულები ჩვენი პარლამენტარები მოსკოვში, რათა გარკვევით ეთქვათ რუსი კოლეგებისათვის და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებისათვის, თუ რა პოზიციაზე დგას დღეს საქართველო, რა არის მისთვის უმთავრესი პრობლემა და რა მაინცდამაინც აუცილებელია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პირდაპირ აცხადებდა, რომ დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კრიზისულ ზღვარზეა, ამ ურთიერთობის გაღრმავების დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა აფხაზეთის პრობლემა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საჭირბოროტო საკითხი, რომლის გადაუჭრელობა, მოუგვარებლობა ეჭვ ქვეშ აყენებს რუსეთ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობას, სამხედრო ბაზების საკითხს, საზღვრების ერთობლივ დაცვასა და ბევრ სხვა ურთიერთობას.

რუსი და ქართველი პარლამენტარების აზრი ერთხანს იყო: საქართველოსა და რუსეთს შორის შესაძლებელია გამოინახოს საერთო ენა, შესაძლებელია გადაწყდეს ერთობლივად პრობლემა, თუ მოხერხდება მთავარი წინააღმდეგობის დაძლევა — მოგვარდება აფხაზეთის პრობლემა. ამას არც ერთი მხარე არ მალავდა.

— განსაკუთრებულად გვიგებენ კოლეგები. სხვა არის, როგორ აისახება ეს მათ მოქმედებაში — ასე მიპასუხა ერთ-ერთ ჩემს შეკითხვაზე ბატონმა ზურაბმა. იგი კვლავ და კვლავ რუს კოლეგებს უმეორებდა საქართველოს პარლამენტში გაცხადებულს: აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში, რუსეთის მხრიდან, პროგრესი არ ჩანს. პირიქით, ვითარება უფრო მეტად მწვავდება. ამის დასტურია სეპარატისტების მიერ დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები ამ ტერიტორიაზე, სადაც მოხდა ეთნიკური წმენდა. ლტოლვილები დღემდე ლტოლვილებად რჩებიან, და, რაც ყველაზე მთავარია, ისინი კარგავენ დაბრუნების რწმენას. არავითარი რეალური სინათლე, არავითარი რეალური იმედი ახლო მომავალში არ ჩანს.

როცა ორმხრივ ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება იგი იყოს ცალმხრივი, გამუდმებით ერთი მხარე დგამდეს ნაბიჯს. ახლა საქმე რუსეთზეა, საქართველო მისგან საპასუხო მოქმედებას ელის. კერძოდ, იმ ფართომასშტაბიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მოახდინა, რუსეთი კი, რატომღაც, დღემდე თავს იკავებს.

როგორც ბატონმა კახა ჩიტაიამ ჟურნალისტებს გვითხრა, რუს კოლეგებს აუხსნეს, რომ საქართველო მზად არის რუსეთთან კეთილ პარტნიორული, თანასწორუფლებიანი და სტრატეგიული ურთიერთობები ერთი მეტად მნიშვნელოვანი პირობით: საქართველო უნდა დარწმუნდეს, რომ რუსეთი მისი მართლაც სტრატეგიული მოკავშირეა, ანუ რუსეთი დაინტერესებულია და ყველა ღონეს იხმარს საქართველოს ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, თავისუფალი და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. დასარწმუნებლად კი უპირველესი ნაბიჯი იქნება — აფხაზეთის პრობლემის მოსაწესრიგებლად გარკვეული ძვრები და პერსპექტივები.

და თუ რუსეთი ამას ვერ გააცნობიერებს, არ გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს, მაშინ საქართველო იძულებული იქნება ეძებოს ალტერნატიული გზები და მოკავშირეები. ამაში კი, რუსეთის მიმართ არამეგობრული და მტრული არაფერია.

* * *

**საქართველოს** საპარლამენტო დელეგაცია შეხვდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს გენადი სელეზნიოვს, მის მოადგილეს სერგეი ბაბურინს, სათათბიროს საქართველოსთან თანამშრომლობის ჯგუფის ხელმძღვანელს ალექსანდრე ძასოხოვს, სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის — „რუსეთი ჩვენი სახლია" ლიდერს სერგეი ბელიაევს, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის მოადგილეს ვალენტინ კუპცოვს, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს ეგორ სტროევს, იყო სადილი. ბორის პასტუხოვთან, ზურაბ ჟვანია და კახა ჩიტაია შეხვდნენ რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანს ივან რიბკინს.

პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინთან დაგეგმილი შეხვედრა იმ დღის, ჩერნომირდინის გადატვირთული დღის რეჟიმის გამო, არ მოხერხდა. მართალია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შესახვედრად მზად იყო პრემიერის მოადგილე, მაგრამ დანიშნული დროისათვის უკვე ბატონმა ზურაბმა ვერ მოიცალა.

ყველა შეხვედრისას იყო უშუალო და პირდაპირი დიალოგი იმაზე, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მთლიანად დამოკიდებულია, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

— იმდენად მყარი, სამართლიანი და დასაბუთებული იყო ჩვენი პოზიცია, რომ რუს კოლეგებს გაუძნელდათ რაიმეს თქმა — თქვა კახა ჩიტაიამ.

— რაც შეეხება 2 ოქტომბერს პარლამენტში ჩემს მიერ გაკეთებულ მწვავე განცხადებას, სახელმწიფოს მეთაურის, სხვა მაღალი თანამდებობის პირთა და ოპოზიციის გამოსვლებს — თქვა ზურაბ ჟვანიამ, — მოულოდნელი გამოდგა რუსეთისათვის, ასეთ სიმწვავეს არ მოელოდნენ. ამიტომ დაიბნენ, შეიქმნა აზრი, თითქოს საქართველო თავისი მხრიდან ძაბავდა და ამწვავებდა რუსეთთან ურთიერთობას. ახლა, როცა ვუხსნიდით, რომ ეს სიმწვავე ჩვენგან კი არ მომდინარეობდა, არამედ მათი უმოქმედობა გვაიძულებდა, შეწინააღმდეგება არც უცდიათ. რადიკალებსაც კი.

შეხვედრაზე გენადი სელეზნიოვმა თქვა, მოხარული ვარ, რომ არსებობს საპარლამენტთაშორისო კონტაქტები, თუმცა ეს არ არის მუდმივი და ქმედითიო. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ თავის მხრივ აღნიშნა, ყოველგვარი ურთიერთობის დამაბრკოლებელი, დღემდე მოუგვარებელი აფხაზეთის პრობლემაა. სელეზნიოვი დაეთანხმა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი ჩიხში მოექცა, თქვა, რომ უკმაყოფილოა პროცესის მსვლელობით, რომ ყოფილ სამხრეთ ოსეთში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს.

გარწმუნებთ, საქართველო ის ქვეყანაა, რომელთანაც თანამშრომლობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ. ისე, როგორც მთლიანად რუსეთში, ასევე სახელმწიფო სათათბიროში რაიმე ანტიქართული განწყობილება არ არსებობს — დასძინა ბოლოს. პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა: რუსეთ-საქართველოს ფართომასშტაბიანი ხელშეკრულების რატიფიცირებით საქართველოს პარლამენტმა გამოხატა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების კეთილი ნება და, სამწუხაროა, რომ სახელმწიფო სათათბიროს მიერ იგი დღემდე არ არის რატიფიცირებული. სელეზნიოვმა, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს და ახლა უფრო ღრმად გაერკვა ვითარებაში, აღნიშნა, რომ მათი პლატფორმისათვის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი ხელშეუხებელი პრინციპია.

ეგორ სტროევის სიტყვით, არაფერია სანერვიულო, ურთიერთობების დიდი ხნის ტრადიციების მქონე ჩვენი ქვეყნები მაინც ერთად იქნებიან. რაზეც პასუხად მიიღო, ტყუილია, ხალხი ძნელად, მაგრამ ნელ-ნელა შეეჩვია ურუსეთოდ არსებობას, ეს კი უნდა გააცნობიეროთ. არვის ეგონოს, რომ დრო ყველაფერს კურნავს. დრო საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს. იგი ყალიბდება როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფო.

ეგორ სტროევმა, გენადი სელეზნიოვმა და ზურაბ ჟვანიამ ხელი მოაწერეს „რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრებისა და საქართველოს პარლამენტის თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო კომისიის რეგლამენტს".

დაიგეგმა, რომ დეკემბერში გენადი სელეზნიოვი პარლამენტთა დიდ ჯგუფთან ერთად ჩამოვა თბილისში. დეკემბრის ბოლოს უსაფრთხოების საკითხებზე გაიმართება სემინარი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე ქვეყნის პარლამენტარები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. იანვარში ეგორ სტროევი ეწვევა საქართველოს.

როგორც დელეგაციის წევრებმა თქვეს, მოძრაობა — „რუსეთი ჩვენი სახლია" ლიდერთან სერგეი ბელიაევთან შეხვედრა სრულ თანამოაზრესთან საუბარი იყო. მან საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარესთან მიხეილ მაჭავარიანთან ერთად ხელი მოაწერა მოქალაქეთა კავშირისა და „რუსეთი ჩვენი სახლია" შორის თანამშრომლობის შეთანხმებას.

სერგეი ბაბურინთან ქართველმა პარლამენტარებმა სულ 20 წუთი დაჰყვეს, როგორც შევიტყვეთ, რაიმე კონკრეტულზე საუბარი არ ყოფილა, უბრალოდ, შეთანხმდნენ: ჩამოიდეს იგი თბილისში და უკეთ გაეცნოს ვითარებას.

საინტერესო იყო შეხვედრა კომუნისტების ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგთან ვალენტინ კუპცოვთან. ტერიტორიული მთლიანობის საუბრისას იგი ქართველი პარლამენტარების თანამოაზრე იყო.

— ეს ის კუპცოვია, — თქვა ბატონმა ვაჟა ლორთქიფანიძემ, — საგანგებოდ რომ მიიწვია მოსკოვში „აფხაზეთის კომპარტიის" ლიდერი და დაავალა რუსეთის კომუნისტების ოფიციალური პოზიცია გადაეცა თანაპარტიელებისათვის: რუსეთის კომუნისტები სეპარატიზმს მხარს არ დაუჭერენ, რომ მათთვის ტერიტორიული მთლიანობა უდავო ფაქტია.

არძინბასა და მის მომხრეებს რუსეთის კომუნისტებმა კოვზი ნაცარში ჩაუგდეს.

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანთან ივან რიბკინთან შეხვედრისას ხაზი გაესვა იმას, რომ აფხაზეთისა და ჩეჩნეთის პრობლემები ურთიერთდაკავშირებულია, რომ შეუძლებელია ამ კონფლიქტების ცალ-ცალკე მოწესრიგება, კონფლიქტები კავკასიაში ერთიანად უნდა მოგვარდეს. ეს კი საქართველოსთან მჭიდრო, აქტიური თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია. ითქვა, რომ სეპარატისტების მიერ დაგეგმილი არჩევნები აფხაზეთში, არანაირად არ უწყობს ხელს სამშვიდობო პროცესის გაგრძელებას.

თუმცა, როგორც ბატონმა კახა ჩიტაიამ თქვა, საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ბატონმა რიბკინმა იმის თაობაზე, რომ 27 იანვარს დანიშნულია საერთო-სახალხო არჩევნები ჩეჩნეთში და იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაარწმუნოს რუსეთის გავლენიანი პოლიტიკოსები მისი გამართვის აუცილებლობაში. ჩეჩნეთის მხარე დათანხმდა, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ყველა ლტოლვილმა და კონფლიქტის გამო იძულებით გადაადგილებულმა, რომლებმაც ჩეჩნეთის ტერიტორია დატოვეს. იქმნება ყოველგვარი პირობა, რათა, სურვილისამებრ, ყველას მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობს. აფხაზეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული სიტუაციაა. აფხაზეთის არჩევნების მიზანი ეთნიკური წმენდის დაკანონებაა. ბატონ ივან რიბკინს, აუხსნეს, თუ რატომ არის ამ არჩევნების წინააღმდეგი საქართველო. რაც შეეხება იმას, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის მხარე დათანხმდა ჩეჩნეთის არჩევნების ანალოგიურ მოდელს, ბევრი პრობლემები შეგვექმნება. ლტოლვილები არ არიან კომპაქტურად დასახლებული, და არჩევნების ჩატარება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, სამართლიანი და მისაღები, როცა ყველა ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირი დაუბრუნდება თავის საცხოვრებელს. რიბკინმა გაიზიარა ეს მოსაზრება და განაცხადა, რომ რუსეთმა ყველა ღონე უნდა იხმაროს ამ საკითხების მოსაგვარებლად.

ჩემთვის სრულიად მიუღებელია აფხაზი სეპარატისტების მიერ დაგეგმილი არჩევნები, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა, — რომელსაც სწორედ კონფლიქტების მოგვარება ავალია.

— არჩევნების ჩატარების შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად განაცხადებს, რომ ამ არჩევნების არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ ექნება. ბატონი ზურაბის შეკითხვაზე, — თუ რატომ არ აცხადებთ ამას დღეს, პასტუხოვმა საინტერესო პასუხი გასცა — არის იმედი, რომ არ ჩატარდება. მართალია, ეს იმედი თანდათან იცლება, მაგრამ როგორც ბატონმა კახა ჩიტაიამ თქვა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს უთქვამს, — არ შეიძლება ისეთი საკითხის, როგორიც არჩევნებია ასე მოუმზადებლად და დაინტერესებული მხარეების გაუთვითცნობიერებლად დაინიშნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს, უბრალოდ არაკეთილსინდისიერია.

ერთი სიტყვით, ბატონი ბორის პასტუხოვის თქმით, აფხაზმა სეპარატისტებმა არჩევნები რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს არ შეუთანხმეს, რამაც ისინი გაალიზიანა, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

* * *

**გულუბრყვილობა** იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ამ ვიზიტმა რუსეთის ზოგიერთ პოლიტიკოსსა თუ საზოგადო მოღვაწეს დიამეტრულად შეუცვალა პოზიცია და ხვალიდანვე დიდი გულმოდგინებით დაიწყებენ საქართველოს სასიკეთოდ მუშაობას. მით უფრო, როცა ვიცით ჩრდილოელი მეზობლის მრავალი პირუმტკიცობა. მაგრამ ის კი არის, რომ საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტმა გახსნა და გაალღო ურთიერთობანი.

— საქართველოს ხელისუფლება, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მისი გუნდი დაინტერესებული არიან დაიძლიოს ყველა წინააღმდეგობა და რუსეთ-საქართველოს შორის მოგვარდეს ურთიერთობები, — თქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და დასძინა, — ჩვენ თითქმის, ამოვწურეთ შესაძლებლობათა არსენალი. საქართველომ ყველაფერი გააკეთა რისი გაკეთებაც შეეძლო. დღეს დადგა დრო, ქვეყნის მოსახლეობამ დაინახოს, რომ ხელისუფლების ღონისძიებებს რეალური შედეგები მოაქვს. უპირველესად აფხაზეთის საკითხში. ვფიქრობ, ჩვენი დელეგაციის გულახდილი და გამჭვირვალე, პრინციპული პოზიცია გაუგებარი არ დარჩენილა რუსი კოლეგებისთვის, რომლებსაც არაერთხელ ვუმეორებდით: ტაიმერი ჩართულია, თითოეულ წუთს შეუქცევადი ცვლილებები მოაქვს. მოდით, ჩვენ ერთად ვიმოქმედოთ.

ვერ ვიტყვი, რომ ურთიერთობების ყველა პრობლემა გადაწყდა, მაგრამ თბილისში იმ რწმენით დავბრუნდით, რომ რუსეთში საქართველოს მიმართ დღეს ბევრად უფრო მეტი კეთილგანწყობაა, ბევრად მეტი ურთიერთგაგება და მხარდაჭერა, ვიდრე აქამდე.

* * *

**მოსკოვში სამდღიან ვიზიტს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ნაყოფიერად აფასებს.**

**იმედი დამავლენა ქართულ ეკლესიაში მაცხოვრის ხატის წინ ჩემი ქვეყნის კეთილი მომავლისთვის დანთებულმა სანთელმა.**

რუსუდან ლორთქიფანიძე.
მოსკოვი-თბილისი.

# ჩუბაისი ომის გზას დაადგა

მე მგონია, რომ ჩემი მცირე ავტორიტეტი და მცირე ყურადღება, რომელსაც ჩემს აზრებს უთმობენ, მაძლევს სრულ თავისუფლებას ვთქვა ყველაფერი, რაც მე მინდა.

ფონტენელი

...ალბათ, ახლა, სსრ კავშირის დაშლის მეხუთე წელს, ჩვენ შევედით რუსეთის განვითარების ...ობისულ ფაზაში, როდესაც წყდება საკითხი — ვინ-ვის. ჯერ ...დევ 1995 წელს „ნგ"-ის ფურცლებზე ორ პუბლიკაციაში იანვარსა და აპრილში ვთქვი, რომ 1995 შეიძლება დიადი ...ტეხის წელი გახდეს-მეთქი და რომ ხელისუფლების თა... კონსოლიდაცია მოი... ხელისუფლებისაგან მისი ...ერთი ფრთის შეკვეცას. სა... გათიშვას პრეზი...ის ადმინისტრაციაში, მთა...ობაში, ძალოვან სტრუქტურებში, პირობითად რომ ...ქვათ, ერთი მხრივ, კორჟაკოვ-ბარსუკოვის, სოსკოვეცის და ა. შ. ჯგუფებსა ...მეორე მხრივ, ჩერნომირდინ-ჩუბაისის, ფილატოვის და ა. შ. ჯგუფებს შორის. ფაქტობრივად, „კორჟაკოვის ჯგუფის" ...დან მოცილებისა და მთავრობისა და ადმინისტრაციის ...ანძო პოსტებზე ჩუბაისის ...უკანასკნელი დანიშვნების, სა... კომისიისა და სახელმწიფო სამხედრო ინსპექციის ...ქმნის შემდეგ აღებულ იქნა ხელისუფლების როგორც თა...რაზული, ისე შევეული კონსოლიდაციის კურსი (მოსკოვი — რეგიონები), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ერთობ ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ დიად გა...რდატეხაში პრეზიდენტმა ელცინმა მხარი დაუჭირა იმ ჯგუფს, ...ელსაც შექმნილ პირობებში, პრინციპულად, არ ძალუძს განახორციელოს ეს კონსოლიდაცია. ადამიანებს, რომლებმაც ...ლოდენ საბედისწერო როლი შეასრულეს პრეზიდენტის 19-20 ...ენისის გადაწყვეტილებაში, კიდევ მოუწევთ სრულად გაიცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა ამისათვის.

...მე არ შემიძლია აღტაცება არ გამოვთქვა იმ ზეადამიანური ძალისხმევისა და მოქმედებისათვის, რომელსაც ჩუბაისი მიმართავს ხელისუფლების კონსოლიდაციის მიზნით. ჩერნომირდინის უაღრესად ფრთხილი ფიგურის ფონზე იგი რუსეთის რევოლუციის რობესპიერივით წამომართულა. მინდა აგრეთვე აღვნიშნო, რომ „კორჟაკოვის ჯგუფს" დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც, სავსებით ხელეწიფებოდა ეს კონსოლიდაცია სამპყრობელოს და პატრიოტიზმის იდეოლოგიური დეპულებების საფუძველზე, ჩუბაისი განწირულია დაიწყოს ლაუსრული ომი ყოფნა-არყოფნისათვის, სადაც მას და მის ჯგუფს გაძლება-გადარჩენის არავითარი შანსი არ გააჩნიათ.

ვერც ჩუბაისი, ვერც მისი იდეები, ვერც მისი გარემოცვა ვერ შეძლებენ უზრუნველყონ ეროვნული ელიტური ჯგუფებისა და ძალოვანი სტრუქტურების კონსოლიდირება, ვერ წამოაყენებენ რამდენადმე შთამაგონებელ იდეებს ხალხის დასარაზმავად. ისინი განწირული არიან იმოქმედონ ისე, როგორც 1917 წლის შემდეგ მოქმედებდნენ ბოლშევიკები, რომლებსაც უპირისპირდებოდა მტრული ქვეყანა და ისინი იდგნენ არჩევანის წინაშე: ან მოეშთოთ ყოველგვარი წინააღმდეგობა, ანდა დაღუპულიყვნენ. ბოლშევიკებმა უსასტიკესი რეპრესიების ფასად შეძლეს დარჩენილიყვნენ ხელისუფლების სათავეში. რა მოგვიტანა ამან, საყოველთაოდ არის ცნობილი. შექმნილ სიტუაციაში ჩუბაისის ჯგუფი, მოჭადრაკეთა ენაზე რომ ვთქვათ, ცუგცვანგის მდგომარეობაში იმყოფება. ყოველი მორიგი სვლა აუარესებს მის პოზიციებს. ამასთან, როგორც გორბაჩოვს გამოუვიდა 1990-1991 წლებში, მან შეიძლება ტაქტიკურად მოიგოს კიდეც მთელი რიგი ბრძოლები, ჩამოაცილოს ხელისუფლებას, გაანადგუროს მორალურად ან ფიზიკურად (ორტ-სა და ნტვ-ს, მთელი რიგი გაზეთებისა და ძალოვანი სტრუქტურების მეშვეობით, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან მის კონტროლქვეშ) თავისი ოპონენტები, როგორც მოსკოვში, ისე რეგიონებში, როგორც ახლანდელი ხელისუფლებრივი სტრუქტურებიდან, ისე ოპოზიციის გარემოდან. მაგრამ ჩუბაისის ჯგუფი განწირულია სტრატეგიული დამარცხებისათვის, ვინაიდან ძალზე დიდია სხვაობა ქვეყანასა და ამ ჯგუფს შორის, ძალზე დიდია იმ სისტემური და ანტისისტემური ძალების ძლიერება, რომლებიც მან შეიძლება აიმხედროს ამ ავანტიურულ და უთანასწორო ბრძოლაში. გვრჩება მხოლოდ იმედი, რომ ან მოხდება სასწაული, ანდა (რაც ერთი და იგივეა), მოიკეთებს წარმატებული ოპერაციის შემდეგ პრეზიდენტი, რომელიც დაანიავებს ამ ჯგუფს თავისი მფარველებიანა, მის უახლოეს გარემოცვაში რომ იმყოფებიან, და გადაარჩენს როგორც თვით ამ, ისე მრავალ სხვა ჯგუფს ტოტალური განადგურებისაგან, ხოლო ქვეყანას — სერიოზული შეზანზარებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ უბედურებას დაიტეხს თავს.

**ანდრანიკ მიგრანიანი**

### უზბეკეთი კვლავ გააფრთხილეს

სამართალდამცველი ორგანიზაცია HRW-ის პრესრელიზის თანახმად, უზბეკი დისიდენტის შუქრულო მირსაიდოვის ვაჟს ჰასანს ტავს დაესხნენ. სამმა შეიარაღებულმა პირმა ხელბორკილი გაუყარა, თვალები აუკრა, სცემა და 12 საათს ჰყავდათ გატაცებული. ორგანიზაციის წარმომადგენლის ერიკ დეილის თქმით, ეს სულ ბოლო მოვლენაა მირსაიდოვის ოჯახზე ზეწოლის კამპანიაში. უზბეკეთის მთავრობამ განაახლა ცდები, კანონიერად გაასახლოს უზბეკეთიდან ეს ოჯახი, რომლის საქმე „თაროზე შემოდეს" წელიწად-ნახევრის წინათ და ახლა კვლავ გაქექეს მოტაცებამდე ცოტა ხნით ადრე. ორგანიზაცია მოუწოდებს უზბეკეთის ხელისუფალთ, ყურადღებით გამოიძიონ ეს ინციდენტი და ამასთანავე აღიარებს, რომ ძალიან ცოტაა იმედი მიუკერძოებელი გამოძიებისა, ვინაიდან ეს ინციდენტი მთავრობის მიერ არის ინსპირირებული.

### მოუწოდებენ იმპიჩმენტისაკენ

ბელორუსიის სახალხო ფრონტმა ბრალად დასდო ქვეყნის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს კონსტიტუციის უხეში დარღვევა და ბელორუსიის უზენაესი საბჭოს არჩევნების საბოტაჟი. მთავრობის პარტიულმა ლობიმ მოუწოდა უზენაეს საბჭოს, დაიწყოს მზადება იმპიჩმენტისათვის საჭირო პროცედურების მოსამზადებლად.

### ლუკაშენკო ბირთვული იარაღით იმუქრება

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას ბელორუსიის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს „აგრესიულმა სიტყვამ ცივი ომის სულისკვეთება გამოიწვია", წერს ბრიტანეთის გაზეთი „ტაიმსი".

მან რუსეთს მოუწოდა დაუყოვნებლივ შეიერთოს ბელორუსია და დაიმუქრა, რომ რესპუბლიკაში დარჩენილ ბირთვულ იარაღს ნატოს წინააღმდეგ გამოიყენებს. როგორც ჩანს, ვერ შესრულდება ბელორუსიის, ყაზახეთისა და უკრაინის დაპირება, რომ მიმდინარე წლის ბოლოს მთლიანად განიარაღდებიან და მთელ ბირთვულ იარაღს გადაგზავნიან რუსეთში. ალექსანდრე ლუკაშენკოს თქმით, მარტო ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ათზე მეტი სს-25 რაკეტაა, და მათი ბედი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება ნატოს პოლიტიკა აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით. სტატიის ავტორის აზრით, ლუკაშენკო ფრიად პერსპექტიული პოლიტიკოსია, და თუკი იგი მიაღწევს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების დამტკიცებას, ამით, უდავოდ კიდევ უფრო მეტ ძალაუფლებას მოიხვეჭს.

### ბერეზოვსკის განცხადება

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბორის ბერეზოვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ორმაგი მოქალაქეობის ამბავი ჭორია და სხვა არაფერი. „მე ვიყავი ისრაელის მოქალაქე, მაგრამ ახლა მხოლოდ რუსეთის მოქალაქე ვარო", — განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ. ბერეზოვსკის თქმით, მისი არზა ისრაელის მოქალაქეობის გაუქმების შესახებ სულ ახლახან დააკმაყოფილებიათ.



### საშიში სიტუაცია ოს-ინგუშთა კონფლიქტის გამო

რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის ზონაში წარმოიშვა აფეთქებასაშიში სიტუაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს „გაუთვალისწინებელი შედეგები". საბჭოს დადგენილებით, ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფალთ სთავაზობენ „შექმნან სრულფასოვანი პირობები მუდმივი ბინადრობის ადგილებიდან იძულებით გასახლებულთა ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და მოქალაქეთა პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის".

### ბრძოლა ფაშიზმთან ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ გამართა თათბირი თემაზე „ფაშიზმისა და სხვა ფორმის პოლიტიკური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება". თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთის ეროვნული ერთობის მოძრაობის საქმიანობას, რომელსაც სათავეში უდგას ალექსანდრე ბარკაშოვი.

### ვინ დგას აფეთქების უკან

ირლანდიის გაზეთი „აირიშ ტაიმსი" აქვეყნებს სტატიას მოსკოვის კოტლიაკოვსკის სასაფლაოზე მომხდარი ბომბის აფეთქების შესახებ. სტატიის ავტორის აზრით, ეს ტერორისტული აქტი კრემლის ინტრიგების წყებას განეკუთვნება და გაგრძელებაა ბრძოლისა, რომელიც პრეზიდენტ ელცინის არყოფნის პირობებში დაიწყო ხელისუფლების მოსაპოვებლად. ტერაქტი მიმართულია უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრის კულიკოვის წინააღმდეგ. მინისტრი გამოიყენეს, რათა კრემლიდან მოეცილებინათ „უმართავი" გენერალი ლებედი, ხოლო გახსნილი გახმაურებული დანაშაული კარგი საბაბია ლებედისათვის თვით კულიკოვის მისაყოლებლად. გარდა ამისა, წერს ავტორი, ტერაქტი გაელენას მოახდენს კულიკოვის უშუალო ხელმძღვანელის პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინის ბედზეც, რომელსაც შვედი ანალიტიკოსი ანდერს ასლუნდი უწოდებს „სუსტ ლიდერს, რომლის პოლიტიკასაც კრახი მოსდევს".

### ბილ კლინტონი აზერბაიჯანთან თანამშრომლობის მომხრეა

ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს გაუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავს წინადადებებს ამერიკა-აზერბაიჯანის თანამშრომლობის გაფართოების შესახებ. წერილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს გადასცეს დსთ საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯეიმს კოლინზის მეთაურობით წარმოდგენილმა აშშ მთავრობის დელეგაციამ. „ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ რეგიონში აქვს თავისი მნიშვნელოვანი ინტერესები, ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა უშიშროებასა და სრულ თავისუფლებას", — განაცხადა ალიევთან საუბრის დროს ჯეიმს კოლინზმა, რომელმაც ამავე დროს აღნიშნა, რომ ბაქოში ვიზიტის მთავარი მიზანი სწორედ რეგიონული უშიშროების საკითხების განხილვაა.

გამოჩენილი კარდიოქირურგი მაიკლ დებეიკი ამტკიცებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი რამდენიმე თვის შემდეგ ჩვეულ ფორმაში ჩადგება და ჩოგბურთის თამაშიც კი შეეძლება. ამ ფოტოზე თქვენ ხედავთ რუსეთის პრეზიდენტს წინასაარჩევნო კამპანიის დროს.



ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ტოტალიტარული ყაიდის საკულტო ახალწარმონაქმნების საქმიანობის გავლენის საკითხი ისევე რთულია, როგორც სოციალურად პასუხსაგები. ამ უკანასკნელს განსაზღვრავს ის გარემოება, რომ სექტაში ჩათრევის შედეგად ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ფაქტის კონსტატაცია შეიძლება გახდეს იურიდიული საფუძველი სექტის სისხლისსამართლებრივი დევნის და როგორც რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციიდან მოხსნისა. არანაკლებ რთულია ის საკითხი, თუ რაოდენ საჭირო და შესაძლებელია ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული დახმარება იმ პირთა სოციალურ რეადაპტაციასა და რესოციალიზაციაში, ვინც დატოვა ან ცდილობს დატოვოს სექტა.

ამასთანავე, შემოდის სულ უფრო მეტი ინფორმაცია, რომ ტოტალიტარული ტიპის საკულტო ახალწარმონაქმნებში ჩათრეულ პირებს უვითარდებათ ფსიქიკური ცვლილებები, ზოგიერთ შემთხვევაში, — უდავოდ ავადმყოფური ხასიათისა. არ შეიძლება არც იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ სექტაში წაყვანილთა ნათესავებს (მშობლებს, შვილებს, მეუღლეებს) არცთუ იშვიათად გამოუმუშავდებათ სტრესული რეაქცია ოჯახის დანგრევაზე, და ამ ადამიანთა ჯანმრთელობაც სოციალურ პრობლემად იქცა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სექტებში ჩამთრევთა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ყველაზე იოლად ჰყვებიან უკიდურესი ასაკობრივი ჯგუფების პირნი (ყმაწვილები, ჭაბუკები და ხანდაზმულნი), აგრეთვე ის პირნი, ვისაც უკვე აქვთ ფსიქიკური პათოლოგიის განვითარების რისკის ესა თუ ის ფაქტორები, ანდა ასეთი პათოლოგია.

რუსეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ტოტალიტარულ სექტებს ახასიათებთ მთელი რიგი ზოგადი ნიშნები. ჯერ ერთი, უკანასკნელ ინსტანციაში უცილობელი ჭეშმარიტების პრეტენზია, ტრადიციული რელიგიებისა და ეროვნულ-სულიერი ღირებულებების მიმართ სრული შეუწყნარებლობა, ანდა ამპარტავნულ-აღებული დამოკიდებულება. ისეთი რესპექტაბელური „რელიგიის" მოძღვრებაც კი, როგორიც არის მუნას ერთიანობის ეკლესია, თავის ადეპტებს უნერგავს საკუთარი ერის ისტორიის ფოლად დამამცირებელ გაგებას, მოწიწებულ დამოკიდებულებას კორეის — ღმერთ მუნას სამშობლოსადმი და მოითხოვს, რომ მოწაფეები (რა ეთნიკურ ჯგუფსაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი) თავიანთ შვილებს ტრადიციულ სახელამდე არქმევდნენ კორეულ სახელს. მეორე, გარეგნული წესიერება: ყველა საკულტო ახალწარმონაქმნი აცხადებს მხოლოდ ყველაზე კეთილ მიზნებს. მესამე, ეზოთერულობა — საქმიანობის ჭეშმარიტი მიზნებისა და შედეგების დამალვა, მეოთხე — წმინდა ტექსტების მიზანმიმართული დამახინჯება და მათი „მორგება" საკუთარი დოგმებისათვის. მეხუთე, „ფსიქოტექნოლოგიის" მეთოდების გამოყენება და თავისი ადეპტების მკაცრი იზოლაცია სხვა ინფორმაციის მიღებისაგან. შემდეგ, აქტიური პროზელიტიზმი, როგორც მოწაფეთა უცილობელი მოვალეობა — მოიზიდონ სექტაში ახალი წევრები. და, ბოლოს, სექტის ელიტის მერკანტილური და თვით პოლიტიკური ინტერესი, მისწრაფება იყოლიოს თავისი აგენტები ხელისუფლების სტრუქტურებში. ყოველივე ამასთან ერთად, არც ერთ სექტას არ გააჩნია არავითარი ზნეობრივი ღირებულებანი, რომლებიც წინათ არ ყოფილიყო ცნობილი; განსხვავება სექტებს შორის ძირითადად გამოიხატება საკუთარი ღმერთებისადმი თაყვანისცემის კულტივირებით, რიტუალისტიკით (რისი ჭამა შეიძლება და რისი არა, ვისთან და როგორ უნდა დაქორწინდე), აგრეთვე „ქვეყნიერების აღსასრულის" დღის, „უზენაეს გონებასთან" კავშირის, „სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის" შესაძლებლობების აღნიშვნით და ა. შ.

უნდა აღინიშნოს ასეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი: საკულტო ახალწარმონაქმნების გადამბირებლები როდი ახერხებენ ყველას ჩათრევას, ხოლო სექტაში მისულთაგან შემდგომში ყველას [illegible] სა, რომ სულაც არ სჯერა სექტის იდეოლოგიისა, მაინც ხდება მისი აქტიური ქომაგი, აშკარად, არა ახალი რელიგიური მრწამსისა გამო.

საფრთხე მოელით იმ პირთ, რომლებსაც აქვთ სექტაში ჩათრევის რისკის ფაქტორები, როდესაც გადამბირებლები მოხვდებიან მათს სულიერ ნიშაში სწორედ იმ წინადადებით, რომელიც სასურველია კონკრეტული პიროვნებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ადამიანს უნდა ჰქონდეს წინასწარ განპირობებული მოტივაცია ახალი მსოფლმხედველობის მიღებისა.

სექტებში მიდიან ძირითადად ორი ტიპის პიროვნებანი, რომლებსაც ნაირგვარი მოტივაცია აქვთ: ამბიციური პირები, რომლებიც დაეძებენ აღიარებას, ავტორიტეტს, ძალაუფლებას და ფსიქოასტენიკური წყობის პიროვნებანი, რომლებსაც აქვთ საოჯახო-ყოფითი პრობლემები, ნევროზული აშლილობანი, არიან მარტოხელები, სოციალურად დეზადაპტირებულნი.

პირველ ტიპს ფსიქიკური დარღვევები არ შეემჩნევა. მეორე ტიპის პირებს ტოტალიტარულ სექტებში ფსიქოლოგიური დამუშავების შედეგად იოლად უვითარ[illegible]ების შედეგად იოლად უვითარდებათ ისეთი ახალი ფსიქიკური თვისებები, რომლებიც მეათე გადასინჯვის **სნეულებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში** (სსკ-10) დაკვალიფიცირებულია, როგორც „მოწიფული პიროვნების აშლილობანი" და მოყვანილია რუბრიკაში „პიროვნების დამოკიდებული აშლილობა".

ამ რუბრიკის ყველა პუნქტი პირდაპირ შეესაბამება სექტანტების ფსიქიკურ მდგომარეობას მათი ფსიქიკური დამუშავების შემდეგ, სახელდობრ:

— „თავისი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მეტი ნაწილის აქტიური ან პასიური გადაკისრება სხვებზე" — ადეპტებში იმით გამოიხატება, რომ ყველა სასიცოცხლო გადაწყვეტილებას ისინი იღებენ მხოლოდ სექტაში ზემდგომის რჩევითა და ნებართვით.

— „თავისი საკუთარი მოთხოვნილებების დამორჩილება სხვა იმ ადამიანთა მოთხოვნილებებისადმი, რომლებზეც არის დამოკიდებული პაციენტი და მათი სურვილებისადმი არაადეკვატური აყოლა" — პირდაპირ ახასიათებს ადეპტების ფსიქიკურ მდგომარეობას სექტაში;

— „როდესაც პირს არ სურს წაუყენოს გონივრული მოთხოვნებიც კი ადამიანებს, რომლებზეც ინდივიდუმი დამოკიდებულია", — ეს მოწმობს სექტანტებისათვის დამახასიათებელ ნებისყოფის დაკარგვასა და სექტის მოძღვრებისადმი ინტელექტუალური კრიტიკულობის გრძნობის გაქრობას;

— „როდესაც ინდივიდუმი თავს უხერხულად ან უმწეოდ გრძნობს მარტოობაში იმის გამო, რომ უაღრესად აშინებს დამოუკიდებელი ცხოვრების უუნარობა" — ეს არის სექტის „მასწავლებელთა" მიზანმიმართული ზემოქმედების შედეგი, რომლის მიზანია ამყოფონ ადეპტები მხოლოდ თავის მიკროსოციალურ გარემოში.

— „შიში, რომ მიატოვებს პი[illegible]რი, რომელთანაც მჭიდრო კავშირი აქვს, და საკუთარი თავის ამარა დარჩება", — ახასიათებს მორჩილება „მასწავლებლის" მიერ უშუალო ხელმძღვანელობისადმი;

— „სხვა პირთა მხრივ გამხნევებისა და გაძლიერებული რჩევების გარეშე ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების შეზღუდული უნარი" — ავსებს მოყვანილ მახასიათებლებს, კერძოდ, ეს ვლინდება სექტაში კულტივირებული ფსიქოლოგიური დამუშავების ხერხებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობით და სულ უფრო მეტად მოწმობს საკუთარი მეობის დაკარგვას და ნებისყოფის დამორჩილებას სექტის ხელმძღვანელის ნებისადმი. გასაგებია, რომ ასეთი ცვლილებები პიროვნებას ბოჭავს, ღრმად ითრევს სექტაში და საბოლოოდ იგი ველარ აღიქვამს რესოციალიზაციის ცდებს.

რაც შეეხებათ პირებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ფსიქოპათოლოგიური გამოვლინებანი სექტაში შესვლის მომენტისათვის, მათ ძალზე ხშირად უვითარდებათ საწყისი პათოლოგია (უწინარეს ყოვლისა, შიზოფრენია).

# სექტომაფია

„სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების" კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციის სიიოლის წყალობით უკასასკხელი ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიაზე რელიგიური ორგანიზაციების სახით გაჩნდა უამრავი საზღვარგარეთული ტოტალიტარული ტიპის შინნაჩეკი სექტები. „ახალგაზრდობის ხსნის კომიტეტის" მონაცემებით, სხვადასხვა საკულტო ახალწარმონაქმნებში უკვე ჩათრეულია 3-დან 5 მილიონამდე კაცი, მათგან 18 წლამდე ასაკისა — 500 ათასი, 18-25 წლისა — 1 მილიონი. დაინგრა 250 ათასამდე ოჯახი, გაჩნდა ათასობით უპატრონო ბავშვი, რომლებიც მიატოვეს სექტაში წასულმა მშობლებმა, რაც თავის მხრივ, დამოუკიდებელ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

ტოტალიტარული სექტების საქმიანობის კვლევა საშუალებას გვაძლევს მოვიყვანოთ გარკვეული ანალოგია ნარკომანიასთან. ორივე სტრუქტურა თავდაპირველად ვითომდა უანგაროდ ითრევს ახალ წევრებს იმ კეთილისმყოფლური საბაბით, რომ მიანიჭონ ნანატრი შვება, გადააჭრევინონ ყველა პიროვნული პრობლემა. ამის შემდეგ სექტაში ჩათრეულ პირს უვითარებენ მორჩილების სინდრომს, მერე კი მერკანტილურ ექსპლუატაციას უწევენ განვითარებულ მორჩილებას, უმალავენ შორეული შედეგების სიმართლეს. როგორც ახალბედა ნარკომანი არ მოელის ნაადრევ სიკვდილს აბსტინენტური სინდრომის უმწვავესი განცდების დროს, ასევე არც ნეოფიტმა იცის, რომ სექტაში შესვლის შემდეგ იგი გახდება, ვთქვათ, რობოტი მუნას ქარხნებში, ან გააფრქვევინებენ შხამიან გაზებს მეტროპოლიტენში, ანდა, გადაიქცევა „სხვის მორჩილ პიროვნებად", მიატოვებს ოჯახს, გაყიდის მთელ ქონებას „სულიერ" ავტორიტეტთა საჭიროებებისათვის, რომლებსაც სულიერი სულ არ ეთქმით. გლობალური სოციალური პრობლემების თვალსაზრისით ძნელი სათქმელია, რა უფრო საშიშია კაცობრიობისათვის, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ნარკომანია აწყდება მკაცრ უკუქმედებას სახელმწიფო დონეზე, ხოლო არანაკლებ მავნე და საზიანო სექტომანია ჯერჯერობით უყურადღებოდ არის დატოვებული.

**თევდორე კონდრატიევი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

[illegible] OMRI [illegible]

# საგამოცდო ბილეთებს აფრიკაშიც იპარავენ?

[illegible] სიურპრიზი მოელოდათ სამხრეთ აფრიკის ჰაუტენგის პროვინციის უფროსკლასელებს, როდესაც ისინი ოქტომბრის ცხელ დღეს (სასწავლო წელი სამხრეთ აფრიკაში მთავრდება ნოემბრის დამლევს, ხოლო იწყება იანვარში) დილაადრიან გამოცხადდნენ მათემატიკის გამოსაშვებ გამოცდაზე. სკოლების დირექტორები მათ სასწავლებლის კართან შეხვდნენ და შინ გააბრუნეს. თურმე ვიღაცას მოუპარავს და წინასწარ გავრცელებია საგამოცდო ბილეთები.

ცოტა ხნის შემდეგ ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ განათლების დეპარტამენტში დამნაშავეთა სინდიკატი ყოფილა მოკალათებული. განგსტერები წინასწარ მოულობენ ბილეთებს და თავიანთი აგენტების ქსელის მეშვეობით მიყიდიან მოსწავლეებს. ერთ საგანში სწორპასუხიანი კითხვები ღირს 100-დან 500-მდე აშშ დოლარი, ხოლო ყველა დისციპლინის საგამოცდო ბილეთების სრული კომპლექტი უფროსკლასელთა მშობლებს 1000 დოლარი დაუჯდებათ. მოგებიანი საქმეა: ცუდი აკადემიური მოსწრების გამო ყოველწლიურად სკოლების კურსდამთავრებულთა 30-40 პროცენტი ვერ იღებს სიმწიფის ატესტატს.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „სიტიზენი" აღნიშნავს, რომ წინათ მსგავს რამეს ვერც კი წარმოიდგენდა ვერავინ და დღეს ქვეყნის განათლების მესვეურებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა სამინისტროს წიაღში გამეფებული ფართო მასშტაბის კორუფციისათვის.

# ოდესაში მოკლეს ჩეჩენი მომღერალი

ცნობილი ჩეჩენი ბარდი იმამ ალიმსულთანოვი ოდესაში მოკლეს, ბინაზე. თავდასხმის დროს იმამთან ერთად იყვნენ მისი შემოქმედებითი ჯგუფის წევრები. ავტომატებით შეიარაღებულმა ორმა მკვლელმა კარის ზღურბლიდანვე ატეხა სროლა და ტყვიით დაცხრილა ალიმსულთანოვი და მისი ორი მეგობარი. იმამი მარტო ჩეჩენთა შორის როდი იყო პოპულარული. ომის დროს იგი უშიშრად დადიოდა მოქიშპე მხარეების სანგრებში და ბრძოლებსშუა შესვენებებისას უმღეროდა ჯარისკაცებს, ჩუქნიდა კონცერტების ჩანაწერების კასეტებს.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელმა უკრაინაში უარყო ვერსია მაფიოზური გარჩევების შესახებ — იმამი არ ყოფილა მდიდარი კაცი, იგი უბრალოდ წერდა სიმღერებს და მღეროდა მათ.

# ნადირობა მიამიტებზე

## როგორ ატყუებენ მოქალაქეებს კლასიკური დემოკრატიის ქვეყანაში

კვლავ ციხეში აღმოჩნდა აფერისტი იურგენ ციხონი, მსჯავრდებამდე კი მოასწრო „გაეფცქვნა" გულუბრყვილო ბუნდესბიურგერები, რომლებსაც 10 მილიონი მარკა დასცინცლა. „ფირმის" გახსნის დღეს მან საზეიმოდ გადასცა ჰესენის ბურგომისტრს ხუთი ათასი მარკის ჩეკი ნიჟნი ნოვგოროდის ბავშვთა საავადმყოფოსათვის, ცოტა ხნის შემდეგ კი დააპატიმრეს.

ციხეში ზის დაგმარა ბერტგესიც, ფრანკფურტის „ევროპის სამეფო კლუბის" ყოფილი პრეზიდენტი. ეს ქალბატონი რეკლამისა და მიამიტების მიზიდვისათვის გახსნაზე ეპატიჟებოდა ცნობილ პოლიტიკოსებს, კულტურის მოღვაწეებს, მათ შორის — მიხეილ გორბაჩოვს, მუსიკოს უდო იურგენსს, ჰპირდებოდა მაღალ პროცენტებს დაბანდებული სახსრებისათვის. საბოლოო ანგარიშით, „პირამიდული კლუბის" 32 ათასმა კლიენტმა 851 მილიონი მარკა დაჰკარგა. ჰანოვერის „პლუს კონცეპტმა" ორი ათას მეანაბრეს სამასი მილიონი მარკა „აჭამა".

რაც ყველაზე საინტერესოა — სანიმუშო სამართლებრივ ქვეყანაში — გერმანიაში არ არის მოტყუებულ ადამიანთა საკანონმდებლო დაცვა. ბუნდესტაგში შარშანდლიდან მაუდქვეშ აქვთ ამოდებული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს კონტროლს „გარკვეულ ვადიან ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულის, საქონლის გარიგებებისადმი", მაგრამ პროექტში არაფერია ნათქვამი „ნაირნაირი პირამიდების" საქმიანობის კონტროლზე.



11 ნოემბერს დაიწყო ყავის მსოფლიო კვირეული, რომელიც დაემთხვა ამ კულტურის მოსავლის აღების დაწყების დღეს. ამავე დროს კოსტა-რიკის ქალაქ სან-ხოსეში მუშაობას შეუდგება ყავის მწარმოებელთა კონფერენცია, რომელზეც უკვე ჩამოვიდა 500 დელეგატი.

# ყველაზე სუფთა ავტობუსი

ხვალინდელი დღის ავტომობილი უწოდეს შვედმა კონსტრუქტორებმა ახალი თაობის ავტობუსს, რომელიც მათ შექმნეს. ავტობუსი აღჭურვილია ერთდროულად აკუმულატორითა და შიდაწვის ძრავით, თანაც ეს უკანასკნელი მოძრაობის დროს მუხტავს ბატარეებს. ძრავი უპირატესად მუშაობს ბიოლოგიური საწვავით, როგორიც არის, მაგალითად, ეთანოლი. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და ეკოლოგიურად სუფთა რაიონებში ავტობუსს შეუძლია მხოლოდ ელექტროენერგიით იმუშაოს.



# გინესის მეორმსტის მტომმბა

გინესის რეკორდების წიგნი [illegible] გინესისავე რეკორდების წიგნში — ამ გამოცემამ ტირაჟმა წელს 100 მილიონ [illegible] გადააჭარბა. 1996 წლის წიგნის მთელი მსოფლიო [illegible] ერთ დასტად რომ [illegible] ზოგადლოებრიობასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის თქმით, რეკორდების წიგნის გამოცემის იდეა პირველად მოსვლია თავში სერ ჰიუ ბივერს, ნადირობის მოტრფიალეს, როდესაც 1951 წლის გვიან შემოდგომაზე უექსფორდის საგრაფოში მოტლანდიელი მეწარმის როს მაკუირტერის ფულით. მას შემდეგ 42 წლის განმავლობაში რეკორდების წიგნი 262-ჯერ გამოიცა და დღემდე გამოსულია 32 ენაზე. 1996 წელს დაფიქსირებულ ახალ რეკორდებს შორის ჩაწერილია: ერთდროულად მოკოცნავე ადა[illegible]

საქართველოს რესპუბლიკა
№232. სამშაბათი, 19 ნოემბერი, 1996 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლებისციტი

## ხელშემშლელი გარემოებები არ არსებობს

**ეს ინფორმაცია შაბათს, 16 ნოემბერს ჩავიწერე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში — ინფორმატორი კვლავ კომისიის მდივანი ნუგზარ სხირტლაძე გახლდათ.**

— ახალი ამბები ასეთია: გუშინ, 15 ნოემბერს, ქუთაისის მერიაში შედგა დასავლეთ საქართველოს საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და წარმომადგენლების თათბირი. შეკრებას უძღვებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის — ცესაკოს თავმჯდომარის მოადგილე გია ზესაშვილი, რომელსაც თან ახლდნენ იურიდიული, საფინანსო, საორგანიზაციო, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებათა პასუხისმგებელი თანამშრომლები. ადგილზე შექმნილი ვითარებისა და საერთოდ, რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით, განიხილეს საყოველთაო გამოკითხვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა პაკეტი. პასუხი გაეცა კონკრეტულ შეკითხვებს პლებისციტის მომზადებისა და გამართვის თაობაზე, ასე რომ, თათბირს ფაქტობრივად სემინარის ხასიათი ჰქონდა.

საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს იქვე დაურიგდათ ბიულეტენები ქართულ, რუსულ და აფხაზურ ენებზე. აღინიშნა, რომ კომისიები აღჭურვილი არის ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით და ამჟამად შემაფერხებელი გარემოებები არ არსებობს.

16 ნოემბერს უკვე თბილისში, ცესაკოში, სრულიად ანალოგიური თათბირი აღმოსავლეთ საქართველოსათვის მოეწყო. ამ შეკრებამ დაადასტურა პლებისციტისათვის ყოველმხრივი მზადყოფნა.

**თამაზ იგანოიძე.**

---

## შიდა ქართლში დაიწყო წინასწარი ხმის მიცემა

(დასასრული)

— ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა ატარებენ სტრატეგიულ პოლიტიკურ კურსს აფხაზეთის კონფლიქტის ცივილიზებული, მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად, მაგრამ სეპარატისტები უგულებელყოფენ სამართლებრივი მოგვარების ყველა ცდას, — **თქვა შემდეგ ირაკლი ბოჭორიძემ,** — ამიტომ პლებისციტის ჩატარება აუცილებელი იყო და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, პრეზიდენტის ამ ნაბიჯით ქართველი ხალხი და, უპირველესად, ლტოლვილები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი კეთდება იძულებით ადგილნაცვალ პირთა მშობლიურ კუთხეში მშვიდობიანი გზით დასაბრუნებლად. ჩვენს რეგიონს ხშირად სტუმრობენ გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათთან საუბარში ყოველთვის იკვეთება ქართული მხარის პოზიცია. მათი მხრიდანაც სრული მხარდაჭერა გვაქვს. ვიმედოვნებ, რომ პლებისციტის შედეგები უდავოდ მნიშვნელოვანი იქნება გაეროსთვის, ეუთოსთვის და, შესაბამისად — ჩვენთვისაც.

ჩვენ ყველამ უნდა ვიკისროთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც ქვეყანაში ხდება, ყველა მიღებული გადაწყვეტილებისათვის, აფხაზეთის დაბრუნების რეალური წანამძღვარი იქმნება და ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება დაუშვებელია.

**დავუკავშირდით ქ. გორისა და გორის რაიონის მერს დავით ქობლიანიძესაც. აქ გახსნილია 3 საარჩევნო უბანი — ქ. გორში, ხიდისთავსა და ტყვიავში. პლებისციტში მონაწილეობას 700-ზე მეტი ლტოლვილი მიიღებს.**

— აფხაზეთში არჩევნების ჩატარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შემდეგ და მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დევნილმა და ლტოლვილმა, — **გვითხრა დავით ქობლიანიძემ.** — პლებისციტი არ არის მოვლენის იურიდიული შეფასების კრიტერიუმი, მაგრამ ამ ფორმით გამოიხატება ხალხის აზრი და ამ აზრს უდიდესი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთში დანიშნული არჩევნების არალეგიტიმურად ცნობისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრივ. პლებისციტი, ფაქტობრივად, სეპარატისტული არჩევნების გაბათილებაა. ქ. გორი და გორის რაიონი მზად არის პლებისციტის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად.

---

## ქ. თბილისში შექმნილი საარჩევნო უბნების დისლოკაცია

| | | | |
|---|---|---|---|
| № 1 მთაწმინდის საარჩევნო ოლქი | | | 93-64-83 |
| | № 1 უბანი | რესპუბლიკის მოედანი სასტუმრო „ივერია“ | 93-04-44 |
| | №-2 უბანი | ოქროყანა, ე. თაყაიშვილის სახლ. 28-ე საშ. სკოლა. | 99-95-63 |
| № 2 ვაკის საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | ი. ჭავჭავაძის პრ. 50. ტრესტი „საქჰიდროენერგომშენი“ | 22-30-40 |
| | № 2 უბანი | ნუცუბიძის ქ. 181. 8. ფალიაშვილის სახ. მე-2 სამუსიკო სასწავლებელი | 31-47-10 |
| | № 3 უბანი | ზემო წყნეთი, აგარაკების სამმართველო | 22-82-58 |
| | № 4 უბანი | ზემო წყნეთი. ზონა „ბ“ | 22-82-49 |
| № 3 საბურთალოს საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | კ. გამსახურდიას გამზ. 44. სასტუმრო „ხიდი“ | 38-02-02 |
| | № 2 უბანი | ვ. ფშაველას გამზ. 44. ცეკავშირის ინსტიტუტი | 39-54-89 |
| | № 3 უბანი | დიდი დიღომი, მესამე მიკრორაიონი, 35-ე კორპუსი, სსუ | |
| № 4 კრწანისის საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | გ. გულუას ქ. 4. გამგეობის შენობა | 72-41-72 |
| | № 2 უბანი | ბეზიროვის ქ. 6. სასტუმრო „კავკასია“ | 72-24-64 |
| № 5 ისნის საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | ქ. წამებულის ქ. 90. 87-ე საშ. სკოლა | 74-51-33 |
| | № 2 უბანი | წინანდლის ქ. 9. № 1 კლინიკური საავადმყოფოს ადმინისტრაციული კორპუსი | 74-58-25 |
| | № 3 უბანი | ბ. ხმელნიცკის ქ. 61. 85-ე საშუალო სკოლა | 74-15-92 |
| № 6 სამგორის საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | კალოუბნის ქ. 61. სოცუზრუნველყოფის განყოფილება | 73-31-71 |
| | № 2 უბანი | აეროპორტის დასახლება. № 104 საბინაო-საექსპლუატაციო უბანი | 41-15-15 |
| | № 3 უბანი | მარელისის ქ. 2. ავეჯის ფაბრიკა „განთიადის“ კულტურის სახლი | 71-96-50 |
| № 7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | ხეთაგუროვის ქ. 2. გამგეობის შენობა | 95-73-15 |
| | № 2 უბანი | ნინოშვილის ქ. 69. სამხხმელო მოწყობილობის ქარხანა | 95-25-85 |
| № 8 დიდუბის საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | დ. აღმაშენებლის პრ. 127 ა. საქართველოს რკინიგზელთა კულტურის სასახლე | 95-89-76 |
| | № 2 უბანი | წერეთლის პრ. 118. სამეცნიერო ტექნიკური და კომერციული გამოფენების ცენტრი | 34-66-64 34-70-80 |
| | № 3 უბანი | დიღმის მასივი, მეექვსე კვარტალი, 21-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა | 51-09-22 |
| № 9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | ც. დადიანის ქ. 26. კინოთეატრი „განთიადი“ | 66-05-43 |
| | № 2 უბანი | დ. გურამიშვილის ქ. 64. ს. გაერთიანება „თბილაბრეშუმის“ კულტურის სახლი | 61-84-26 |
| | № 3 უბანი | თბილისის ზღვა. სანატორიუმი „ქართლი“ | |
| № 10 გლდანის საარჩევნო ოლქი | № 1 უბანი | გლდანის მასივი „ა“ მიკრორაიონი. სასტუმრო „მეგობრობა“ | 62-22-30 |
| | № 2 უბანი | წყალსადენის ქ. 14. სასტუმრო „ბახტრიონი“ | 62-62-62 |
| | № 3 უბანი | ქერჩის ქ. 22. უმიშროების აკადემიის საერთო საცხოვრებელი. | 67-54-63 |

ცენტრალური საარჩევნო კომისია

---

წიგნი

## კეთილსინდისიერებით დაღდასმული

დაინტერესებულ მკითხველს ხელთა აქვს პროფესორ ვალერი ასათიანის წიგნი „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში“.

ვინც წიგნის ავტორს იცნობს, არ გაუკვირდება თუ რატომ არის ეს სოლიდური ნაშრომი ასეთი მეცნიერული და მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერებით შექმნილი. ვალერი ასათიანი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან შეეჭიდა ანტიკური და ბიზანტიური კულტურების ურთულეს საკითხებს და უძველეს ქართულ სინამდვილესთან, ქართულ მწერლობასთან მათ ორგანულ კავშირს ეძიებდა. ეს ნათლად იკითხება ჯერ კიდევ 1987 წელს გამოცემულ მის მონოგრაფიაში „ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში“.

აბა, რომელ ქართველს (განსაკუთრებით სტუდენტ-ფილოლოგებს) არ უნდა აინტერესებდეს ბერძნულ-ქართულ სამყაროთა უძველესი ურთიერთობის ისტორია; ქრისტიანობის ელინიზაცია, „ელინოფილური მიმართულება“ XI-XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში, ანტიკურობა XIII-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში... ყველაფერი ეს დამაჯერებლადაა მოთხრობილი ამ წიგნში.

ვალერი ასათიანი შესანიშნავად აგრძელებს ქართველ ბიზანტიოლოგთა მეცნიერულ ტრადიციებს და მიუხედავად საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო მოუცლელობისა, ახალი ნაშრომებით ახარებს მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

**სპარტაკ ძოგულია.**

ვალერი ასათიანი
ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში

---

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:**

**ინგლისური ენის კათედრის (დღის განყოფილება)**
უფროსი მასწავლებელი — 4,0 საშტ. ერთ.
უფროსი მასწავლებელი — სამი 0,5 საშტ. ერთ.
მასწავლებელი — 0,5 საშტ. ერთ.
**გერმანული ენის კათედრის (დღის განყოფილება)**
დოცენტი — 0,5 საშტ. ერთ. — ფილოლ. მეცნ. კანდ.
უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტ. ერთ. — ფილ. მეცნ. კანდ.
უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტ. ერთ.
უფროსი მასწავლებელი — ორი 0,5 საშტ. ერთ.
**ფრანგული ენის კათედრის (დღის განყოფილება)**
უფროსი მასწავლებელი — 3,0 საშტ. ერთ.
უფროსი მასწავლებელი — 0,5 საშტ. ერთ.
მასწავლებელი — 0,5 საშტ. ერთ.
**ინგლისური ენის კათედრის (საღამოს განყოფილება)**
დოცენტი — 0,5 საშტ. ერთ. — ფილ. მეცნ. კანდ.
უფროსი მასწავლებელი — ექვსი 0,5 საშტ. ერთ.
მასწავლებელი — 0,5 საშტ. ერთ.
**ფრანგული ენის კათედრის (საღამოს განყოფილება)**
უფროსი მასწავლებელი — 0,5 საშტ. ერთ.
**რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრა**
დოცენტი — 0,5 საშტ. ერთ. — ფილოლოგ. მეცნ. კანდ. (ინგლისური)
დოცენტი — 0,5 საშტ. ერთ. — ფილოლოგ. მეცნ. კანდ. (ფრანგული)
უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტ. ერთ. (ინგლისური)
უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტ. ერთ. (ლათინური)
უფროსი მასწავლებელი — 0,5 საშტ. ერთ. (ინგლისური)
უფროსი მასწავლებელი — ორი 0,5 საშტ. ერთ. (ლათინური)
საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.
მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. №45.

---

სააქციო უნივერსალური ბანკი „მონეტა“-ს ხელმძღვანელობა გაცნობებთ, რომ ამა წლის 1 დეკემბრიდან მოხდება ბანკი „მონეტა“-ს გაერთიანება შპს კომერციული ბანკ „გამა-ბანკთან“ მისი ფილიალის სტატუსით.

---

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

გრძელდება ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერის მიღება საქართველოსა და დსთ ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებზე.

დსთ ქვეყნების გამოცემებზე ხელმოწერა მიიღება 20 ნოემბრამდე, ხოლო საქართველოს გამოცემებზე 5 დეკემბრამდე.

ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ შპს „საქპრესის“ ტერიტორიულ და რაიონულ ფილიალებში, აგრეთვე უშუალოდ შპს „საქპრესაში“ (მხოლოდ ორგანიზაციებისათვის).

მისამართი: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. №2

საკონტაქტო ტელეფონები:
99-08-78
93-45-96
93-30-54
93-26-80

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო შპს „საქპრესა“

---

ბატონ გიორგი ამირანაშვილს ვულოცავთ ქალიშვილის — თეას გაბედნიერებას. ვუსურვებთ გამრავლებას და ყოველივე კარგს მისი ძვირფასი ოჯახის წევრებით.

პატივისცემით რომან, ეთერ და ელისო დავაძეები.

---

გთავაზობთ
1. კომპიუტერის პერფორირებულ ქაღალდს ... ფასდაკლებით ... ზომის ...
2. კომპიუტერის და ტელექსის ქაღალდს ... რულონებში. სიგ. 216, სიგრძე 100 მ. ...
3. უდის და საბარათე მარტ. ქაღალდს ... ზომა 70×100 სმ. სიმკ. 210, 250 გრ/მ². ...
უნაღდო ანგარიშსწორებით ადგილზე მიწოდებით.
ტელ.: 38-91-64 39-84-05

---

### ბინები, აგარაკები

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ ნახევრადსარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 94-09-48, საღამოს საათებში.

იყიდება სამოთახიანი, გარემონტებული ბინა, 30 კვ. მ. მიშენებით, სარდაფით; საერთო ფართი—77 კვ. მ. მისამართი: თემქის დასახლება, მე-9 კვარტალი, მე-18 კორპუსი, III სად. მე-4 სართული, ბინა 40. ტ: 60-85-27, ნუნუ. ფასი შეთანხმებით. ან იცვლება ორ თითო-თითო ოთახიანზე.

ვყიდი ოროთახიან, არასტანდარტულ ბინას დოლიძის ქუჩის მე-20 კორპუსში. ბინა გადაკეთებულია 3 ოთახად. ფართი 24X18X10, სამზარეულო 10, ჰოლი 8 კვ. მ. აბაზანა, ტუალეტი მოპირკეთებულია კაფელით. აქვს სარდაფი, გარაჟის ადგილი, მიშენების პერსპექტივა. აქვს ორი აივანი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-29-27.

იყიდება ფიქრის გორაზე ოროთახიანი, იზოლირებული, სუფთა ბინა ტელეფონით, სამზარეულოთი, სარდაფით, მაღალ ბელეტაჟზე. ფართი 31X15.ჭერი 3.40. ფასი 30 ათასი დოლარი. ტელ.: 22-73-78, საღამოს, მანანა.

სასწრაფოდ იყიდება ორსართულიანი სახლი ლანჩხუთის რაიონის სოფ. სუფსაში. სახლის ზემო სართული ხისაა. საჭიროებს მცირე რემონტს, ეზოს ფართი საყანე (იგულისხმება სიმინდის ყანა) ფართობთან ერთად ერთი ჰექტარია. ეზოში გაშენებულია სხვადასხვა სახის ხეხილი, მათ შორის დიდი რაოდენობით თხილი. სახლი მდებარეობს სოფლის ცენტრში, რკინიგზის სადგურთან და საავტომობილო გზასთან ახლოს. იგი 5 კილომეტრითაა დაშორებული კურორტ ურეკისა და გრიგოლეთის სამკურნალო პლაჟებს. ფასი შეთანხმებით. მიაკითხეთ სუფსის საავადმყოფოში მთავარ ექიმს ან დარეკეთ თბილისში 29-26-77 ან 22-72-34 ან 23-09-63, იკითხეთ ვენერა ან მაყვალა.

იყიდება საკუთარი, სამოთახიანი, იზოლირებული ბინა სოლოლაკში, კოჯრის ქუჩაზე, საერთო ფართია 100 კვ.მ. საკუთარი გათბობით, სარდაფით, ტელეფონით. ბინა სარემონტოა. საწყისი ფასი 19 200 ლარი. ტელ: 39-16-29.

იყიდება სამოთახიანი, იზოლირებული, კუთხის სუფთა ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-6 კვარტალი 1ა კორპუსში, აგურით ნაშენი 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე, ბინა № 53. ბინას აქვს რკინის კარები და ტელეფონი, შემინული ლოჯია და სხვადასხვა მხარეს ორი ღია აივანი. სამზარეულო, აბაზანა და ტუალეტი მოპირკეთებულია კაფელით. მოწყობილია წყლის ელექტროგამაცხელებელი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-46-33. დავითი.

იყიდება სასწრაფოდ სამოთახიანი, გარემონტებული ბინა, გლდანში მე-3 მ/რ. ბინა არის ცხრასართულიანი სახლის მე-4 სართულზე, აქვს სარდაფი, ტელეფონი, საგარაჟე ადგილი, ფასი შეთანხმებით. ტელ.:62-03-64, ალექსი, დარეკეთ 8 საათის შემდეგ.

იყიდება საბურთალოზე, ტაშკენტის ქუჩაზე ოროთახიანი, პრივატიზებული ბინა. ბინა არის 8 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე. ტელ.: 38-62-73. საწყისი ფასი 18500 დოლარი.

იყიდება ოთხოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე ორმხრივი ლოჯიით. ბინა არის მეტრო მარჯანიშვილთან ახლოს, დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე. ფართი 120 კვ. მ. ფასი 75.000ლარი. ტელ.: 95-41-94.

იყიდება სამოთახიანი, არასტანდარტული ბინა მეტრო „დელისთან“. ბინას აქვს ორი ლოჯია, აივნები, დიდი სამზარეულო, ჩაკუჭნაოები, სარდაფი, ტელეფონი, მაღალი ჭერი. საერთო ფართი 120 მ.კვ. ძველი გარემონტებულია, ბინა 10 სართულიანის მე-8



სართულზეა. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-38-96, ნოდარი, საღამოს.

იყიდება ოროთახიანი ბინა ნაძალადევის რაიონში. აქვს მიშენებული ლოჯია. ბინა არის ხუთსართულიანი სახლის მე-3 სართულზე. საერთო ფართი 86 კვ.მ. ფასი 14 ათასი დოლარი. ტელ: 66-20-88, ლევანი, 23-33-62, მამუკა.

ძველ თბილისში, (აბანოთუბანში) სასწრაფოდ და იაფად იყიდება არაჩვეულებრივი პროექტის ასაშენებელი, ორსართულიანი, კერძო სახლი, პატარა ეზოთი. აშენებულია საძირკველი და სარდაფი, გაყვანილია წყალი და კანალიზაცია. სარდაფი 120 კვ.მ. თითოეული სართულის საცხოვრებელი ფართი 130 კვ.მ. იგივე ფართისაა მანსარდი. ყველა სართულზეა სანიტარული წერტილი, ბუხარი. საწყისი ფასი 15 ათასი ლარი. გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილ, გადაფორმებისას ნახევარი, რამოდენიმე თვის შემდეგ მეორე ნახევარი. ტელ: 29-22-01, გენრი, ნინო, ნებისმიერ დროს.

იყიდება სასწრაფოდ ნუცუბიძის II პლატოზე 1,5 ოთახიანი, გარემონტებული ბინა მე-16 სართულზე. მის ზემოთ მე-17 სართულზე საბანკეტო დარბაზია. ბინა 84 კვ.მ. 6 ფანჯრითა და რკინის კარებით. კეთდება დუპლექსი, კაპიტალური გარაჟი. ლიფტი მუშაობს. ყველაფერი ეს ძალიან იაფად. ტელ: 31-59-44 ან 31-49-74, მარინა.

იყიდება ქ. ფოთში, ცენტრალურ მოედანზე საოფისედ, სავაჭროდ გამოსადეგი შენობის ფართი 240 კვ.მ. (170-70). შეიძლება გაიყიდოს ნაწილ-ნაწილ. ტელ: 74-52-78 ან 95-15-57.

სასწრაფოდ იყიდება ან იცვლება საბურთალოზე, საუკეთესო ადგილას (ყაზბეგის ქუჩისა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტის დასაწყისში) არასტანდარტული, კუთხის სამოთახიანი ბინა (საცხოვრებელი ფართი — 100 კვ.მ.) ჭერის სიმაღლე — 3 მ და 20 სმ, დამთავრებულია ორივე მხარეს კაპიტალური მიშენება (70 კვ.მ.). ბინა არის მეოთხე სართულზე (ლიფტით), აქვს სარდაფი, ახალი გამოცვლილია სანტექნიკა, კაფელ-მეტლახი, ელექტროგაყვანილობა, კარ-ფანჯრები. ბინას აქვს რკინის კარები, საკაბელო ტელევიზია და ტელეფონი საწყისი ფასი 55 000 დოლარი. დაინტერესებულ პირთ, ვთხოვთ დარეკონ 16 საათის შემდეგ: 37-10-83 (იკითხეთ ლია ან გიორგი).

ვყიდი ან ვცვლი ოროთახიან იზოლირებულ ბინას 14 სართულიანი სახლის მე-9 სართულზე მეტრო სარაჯიშვილთან კინო „სიხარულის“ გვერდით. ბინა არის კუთხის გადაკეთებული 3 ოთახად, ნახევარადგარემონტებული, ტელეფონით, ორმხრივი აივნით. ოთახებში იზოლირებული შესასვლელებით, კარგი პარკეტით. ფასი 10500 დოლარი. ტელ: 51-84-66. ნუნუ.

ვყიდი სამოთახიან ბინას დოლიძის ქუჩაზე 16 სართულიან სახლში, საერთო ფართი 90 კვ.მ. ბინა გარემონტებულია. ჩაშენებული კარადები, რკინის კარები, სარდაფი, ტელეფონი. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 36-37-06 საღამოს საათებში.

### სხვადასხვა

იყიდება დიდი ზომის იტალიური წარმოების 2-სართულიანი მასიური ბრინჯაოს ჭაღი ბროლის მოსართავებით — ერმიტაჟის ერთ-ერთი ჭაღის ასლი. საწყისი ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ: 37-68-61, 37-06-96.

ფირმა იღებს შეკვეთებს დიდი რაოდენობით (200-300 ფურცელზე მეტი) ქსეროასლების გადაღებაზე, შეღავათიან ფასებში როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე გადარიცხვით. მაღალხარისხიანი და სწრაფი მომსახურება გარანტირებულია. მსხვილი შეკვეთის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილზე მისვლით მომსახურება. მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას 14, გამომცემლობა „სამშობლოს“ პირველ სართულზე მდებარე წიგნის მაღაზია. ტელ: 99-93-03; 34-35-96.

იყიდება გერმანული, ცხრაფოთლიანი „გორკა“, იყიდება აგრეთვე, კაკლის ხის რბილი ფინური ავეჯი და ბრინჯაოს ჭაღები „კარონა“. ტელ. 37-77-50.იყიდება რუმინული სამზარეულო 14 ნაჭრით. ფასი 100 ლარი. ტელ.: 62-3-08.

იყიდება რუმინული საწერი მაგიდა ორი სავარძლით. ტელ.: 62-33-08.

იყიდება ხელით საკერავი მანქანა ზინგერი, ფასი 160 ლარი. წიგნების კარადა-სერვანდი, ფასი 350 ლარი. ტელ.: 36-10-52, 98-39-46.

იყიდება ადგილობრივი წარმოების თეთრი საძინებელი, იუგოსლავიური რბილი სამეული — ორი სავარძელი და ერთი დივანი. იყიდება აგრეთვე შავი ფერის როიალი „ბეკერი“. ტელ.: 36-02-41. 99-90-66.

იყიდება ანტიკვარული ტანსაცმლის კაკლის კარადა. ფასი 1000 დოლარი. პიანინო „საქართველო“ გერმანული კლავიატურით, ფასი 150 დოლარი. 71-08-76.

იყიდება ახალი საქსოვი მანქანა „ტოიოტა“. 36-23-24.

იყიდება კლავიშებიანი ინსტრუმენტი **„Воланд Д-20“**, 800 დოლარი. დარეკეთ საღამოს 19 სთ-ის შემდეგ — 73-97-48.

ვიღებთ შეკვეთებს სიმინდის დაფქვა-დაღერღვაზე. საფქვავი, რომელიც მოწყობილია წყლის წისქვილის პრინციპზე, მუშაობს ყოველდღე 10 სთ-დან 19 სთ-მდე. მისამართი: თბილისი, კორ. კეკელიძის ქ. № 7. (ვარაზისხევი). პირველი სართული. ტელ.: 23-35-23.

იყიდება ყველანაირად გაფორმებული და ლიცენზირებული ფირმა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ლიმონათისა და გაზიანი წყლების ჩამოსასხმელი საამქრო (ხელის ტირაჟებით). საამქრო აღჭურვილია ყველანაირი ინვენტარითა და ნედლეულით. აგრეთვე მცირე ზომის ელექტრო პურის საცხობი (თონე). შენობები მდებარეობს ბაგებში, ცენტრალური გზის პირას და აღებულია არენდით. ორივეს ფასი ერთად 8500 ლარი. ტელ. 34-35-96, დათო.

იყიდება იაფად საწოლები, ორადგილიანი რეზინის ნავი, გერმანული ბინოკლი, კუზნეცოვის ჭურჭელი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-09-53 ან 23-58-69.

იყიდება მუხის კარ-ფანჯარა ჩარჩოებით (12 კარი და 12 ფანჯარა) ერთი კვადრატული მეტრის ფასია — 100 დოლარი. ტელ: 22-65-33.

იყიდება გერმანული კედლის ხალიჩა და ჭურჭლის კარადა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-51-54, საღამოს საათებში, ციცო.

იყიდება ავტომანქანა „ვოლგის“ სათადარიგო ნაწილები შეღავათიან ფასებში. ტელ.: 98-40-29, საღამოს საათებში, შალვა.

იყიდება გერმანული როიალი „როინიში“. ფასი 1500 დოლარი. ტელ: 30-40-46 ან 30-11-85.

იყიდება მუხის პარკეტი (მაიკოპის) 52 კვ.მ. შიფერი — რუსეთის 45 ცალი, რკინის კარი ( იღება მარცხნივ). ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-29-85, ავთანდილი.

### ავტომანქანები



ვყიდი ქარხნულ მდგომარეობაში მყოფ მსუბუქ ავტომანქანა „ზიმს“. მანქანა მუშაობს. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 22-22-46.

იყიდება „ნივა“ 1990 წლის გამოშვება, თეთრი. გავლილი აქვს 90 000 კმ. იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 3800 ლარი. ტელ: 23-38-34

იყიდება 09 მარკის ავტომობილი ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-10-9...

იყიდება გაზ „69“, ძალიან კარგ მდგომარეობაში, ახლად გაკეთებული ხიდითა და ძრავით, ფასი 3000 დოლარი, დარეკეთ: 95-19-53. ...თო.

შევიძენ „ოაზის“ ტიპის ბორბ... ბიან ავტომობილს და ოთხთვლ... მინი ტრაქტორს. 29-22-28.

იყიდება „გაზ 31“ მარკის ავტო... მანქანის ოთხი ახალი საბურავი ერთი ცალის ფასია 100 ლარი. 96-71-16, ბექანი.

იყიდება ავტომანქანა „ნივა“ 198... წლის გამოშვება. კარგ მდგომარეო... ბაშია. ტელ: 95-97-50 ან 95-49-84 ლევანი.

ვყიდი იაფად ლიმონისფერ „მერ... სედესი-23“ მარკის ავტომანქანა... ძრავი — 230-ე (ინჟექტორული), გ... ნახლებული 1990 წელს გერმანია... ში. ფასი 3000 დოლარი. 31-21-9... 95-78-57, 30-00-25, ზაური.

იყიდება „გაზ 244-10“ მარკის ა... ტომანქანა, 1988 წლის გამოშვება... თეთრი ფერის, ფასი 5000 ლარი... დარეკეთ 37-79-89, 37-84-35, ვა...

იყიდება იაფად ავტომანქანა „მე... რსედესი“, 1985 წლის გამოშვება, ძ... რა არის „123“ მოდელის, ძრავი... „230“-ე. ფასი 3000 დოლარის ე... ვალენტური ლარი. ტელ.: 31-21-9... ნებისმიერ დროს, 30-00-25 სამუშ... საათებში. ზაური.

იყიდება ავტომანქანა „ჟიგულ... 21-06, 011-ის ძრავით. მანქანა ... წლისაა, კარგ მდგომარეობაში... ტელ. 29-04-60, ზურაბი.

იყიდება ტრაქტორი „ბელორუს... მტზ-80“ მისაბმელით, სიმინდის... მზესუმზირას სათესით, ახალი საბ... რავებით და დამატებითი სათადარი... გო ნაწილებით. ფასი შეთანხმებ... ტელ.: 66-03-12.

იყიდება სასწრაფოდ ინგლისუ... ავტომანქანა „როვერი“. გარბენი... ვს 54 ათასი კილომეტრი. მანქანა ... ქი-მწვანე ფერისაა. ტელ.: 99-79-3...

იყიდება თეთრი ფერის „გაზ 2... 10 “მარკის ავტომანქანა, რომელ... გამოშვებულია 1988 წელს. ფ... 5000 ლარი. 37-79-89; 37-84-5.

ვაქირავებ „ბუდკა-მოსკვიჩს“ ... ლურ ფასში. ტელ: 35-32-63.

სასწრაფოდ ვყიდი BMW-320 ... რკის ავტომანქანას, რომელიც ... მდგომარეობაშია. ფასი შეთანხმე... ბით. დარეკეთ საღამოს საათებ... 37-37-34. გივი.

ყიდვა-გაყიდვის, გა... ცვლის, გაქირავების შეს... ხებ უფასო განცხადებებ... გამოქვეყნების მსურველ... ბმა დაგვირეკეთ:
ტელ: 99-73-24.

საქართველოს რესპუბლიკა
№232. სამშაბათი, 19 ნოემბერი, 1996 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## დღეს გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეა

# მეფის მზერა

შევაღებ კარს და წამსვე გალაკტიონის მზერას შევეფეთები. ფიქრიანი ეს მზერა, გამჭოლი, თითქოს შენს სულში იხედება მეფე-პოეტი, თითქოს, რაღაცნაირად, დამთმობიც არის, შემნდობიც, მოალერსეც...

კარგა ხნის წინათ გავაკარი კედელზე, სამსახურში ეს ფოტო-პლაკატი, რომელიც მხატვარ ა. სარჩიმელიძის მიერ არის შესრულებული და პოეტის ასი წლისთავის საიუბილეო დღეებში გამოსცა გამომცემლობა „სამშობლომ".

გემოვნებითაა შესრულებული: ერთ მხარეზე – „ოცნებაო ჩემო ძველო" – გალაკტიონის ხელნაწერი ჩამოუგრძელებიათ, ლურჯ ფონზე თეთრად ამოუტვიფრავთ პოეტის უმშვენიერესი კალიგრაფია. და იქვე, გვერდიდან – გალაკტიონის სახე – ჯერ კიდევ ახალგაზრდული, ენერგიული, ოდნავ დაღლილი...

მთელი დღე შემოქმედის იგი, მშობლიურით მიმომაცილებს...

ერთ დღესაც ლექსში კორექტურა აღმოვაჩინე! ჩვეულებრივად თვალს ვადევნებდი სტრიქონებს და... დახეთ, კორექტურა: „ავდგეთ ფეხზე... ჩვენ ტფილისი ვადღეგრძელოთ ჭალარა!"... ცხადია, ვადღეგრძელოთ უნდა იყოს!... ძ გამორჩენია შემთხვევით პოეტს. იქნებ, იმ დროს ოდნავ აწეულ გუნებაზე იყო? იქნებ, ძალიან რომ მოინდომა ლამაზად გამოსულიყო ასო-ნიშანი, სწორედ მაშინ გაეპარა კორექტურა? ფაქტია – ძ გამორჩენილია.

სხვათაშორის, ვინც კი შემოდის, შეხედავს ფოტო-პლაკატს და, ძალაუნებურად, ერთხელ კიდევ ამ ცნობილ ლექსს ჩაიკითხავს, ვერავინ ამჩნევს კორექტურას. რამდენჯერმე მეგობრებს ნიძლავიც კი მოვუგე – აბა, კორექტურას თუ იპოვით-მეთქი. იკითხეს, იკითხეს ვერ აღმოაჩინეს...

რა გასაკვირია: ეს ლექსიც ხომ (როგორც გალაკტიონის ბევრი სხვა ლექსი) შესისხლხორცებულ-შეთვისებული გვაქვს, ზეპირად ვიცით, და, ხელახალა წაკითხვისას, მხოლოდ ზერელედ თუ გადავავლებთ თვალს.

... მეფის მზერა კი არ გვცილდება მოკვდავთ, გვამოწმებს, გვმოძღვრავს, ხან შეგვიქებს საქმეს, ხანაც შენიშვნას გვაძლევს: „... რადა სომთ, ამდენ არაყს და ღვინოსა"... ირონიულად იღიმება, მამაშვილურად გვეალერსება და ყოველ წამს შეგვახსენებს: „რომ მეფე ვარ და პოეტი"...

დღეს მისი დაბადების დღეა, უკვდავ მეფეს გაუმარჯოს!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

## ხიდები

**საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციისა და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის მოწვევით თბილისში იმყოფებოდა ცნობილი სირიელი მწერალი და მთარგმნელი ნიზარ ხალილი.**

**ნიზარ ხალილი სირიის ქალაქ ალეპოს მკვიდრია. ქართული საზოგადოებრიობისთვის ცნობილია როგორც „ვეფხისტყაოსნის" და ქართული კლასიკური ლიტერატურის არაბულ ენაზე მთარგმნელი. ამავე დროს იგი ახლავთ სირიის არაბთა რესპუბლიკის არაბულ-ქართული მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე. აღსანიშნავია, რომ ეს საზოგადოება თვით ბატონ ნიზარის დაარსებულია. ჩვენ ბატონ ნიზარ ხალილის შევხვდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტისა და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის რექტორის, გურამ ჩიქოვანის კაბინეტში და რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას. საუბარში ბატონი გურამ ჩიქოვანიც მონაწილეობდა.**

***– ბატონო ნიზარ, თქვენ ქართული საზოგადოებრიობა გიცნობთ, როგორც ქართული კულტურის პროპაგანდისტს არაბულ აღმოსავლეთში. რას გაიხსენებდით წარსულიდან და რა არის თქვენი საქართველოში ახლანდელი ვიზიტის მიზანი?***

– დავიწყებ იმით, რომ საქართველოში პირველად 1966 წელს ჩამოვედი, რუსთაველის საიუბილეო დღეებში მონაწილეობის მისაღებად. მაშინ პირველად გავიცანი ქართველი მწერლობის, მეცნიერების და კულტურის აღიარებული წარმომადგენლები, დავათვალიერე საქართველო, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მრავალი წლის მეგობრობა მაკავშირებდა გამოჩენილ პოეტებთან ირაკლი აბაშიძესთან, ... ნონეშვილთან და გრიგოლ აბაშიძესთან. სწორედ მათ მირჩიეს, თავის დროზე, მეთარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". არ შემიძლია არ გავიხსენო გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, მასთან შეხვედრამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩემი ინტერესი ქართული კულტურისადმი.

როცა წარსულს ვეხებით, უნდა გავიხსენო დამასკოში მცხოვრები ქართველი, ბატონი ლევან სალარაძე, რომელიც გურამ ჩიქოვანმა გამაცნო 1983 წელს. იგი გახლდათ სირიაში ჩემს მიერ თარგმნილი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამომცემელი. მე, ბატონი ლევან სალარაძე და ბატონი გურამ ჩიქოვანი, როგორც არაბული თარგმანების თანაავტორი და რედაქტორი, წლების განმავლობაში ნაყოფიერად ვმუშაობდით, რის შედეგად 1984 წელს დამასკოში გამოვეცით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და 1985 წელს, ალექსანდრე ბარათაშვილის „ბედი ქართლისა". ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ „განდეგილი" და პოეტის რჩეული ლირიკული ლექსები გამოვაქვეყნეთ (დამასკო, 1987), ხოლო 1989 წელს აკაკი წერეთლის „გამზრდელი" და რჩეული ლირიკული ლექსები. სირიაში დაიბეჭდა აგრეთვე ქართველ მწერალთა მოთხრობების კრებული, რომელშიც შევიდა ნიკო ლორთქიფანიძის, ... ქიაჩელის, ნოდარ დუმბაძის და სხვათა მოთხრობები.

აღნიშნული თარგმანების საშუალებით არაბი საზოგადოება გაეცნო ქართულ მწერლობას, გაითავისა ქართული კულტურა. ჩვენ არაბ მკითხველს ქართული ლიტერატურის სახით მივაწოდეთ მაღალი დონის მხატვრული შემოქმედება, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე არაბული სამყაროსათვის. ასე გაიდგა ნაბიჯები უახლეს ისტორიაში ქართული და არაბული კულტურების დასაახლოვებლად, რამაც შექმნა საწინდარი მომავალში უფრო ფართო და მრავალმხრივი ურთიერთობებისათვის.

მინდა კვლავ გავიმეორო, რომ ქართული და არაბული კულტურების დიალოგი წარმოადგენს ერთ საფუძველს არაბულ ქვეყნებსა და საქართველოს შორის შემდგომი ურთიერთობების გასაღრმავებლად.

საქართველოში ჩემი ამჟამინდელი ვიზიტი დაკავშირებულია ქართული პოეზიის ანთოლოგიის არაბულ ენაზე მომზადებასთან. გადაწყვეტილი მაქვს ბატონ გურამ ჩიქოვანთან ერთად გამოვცე დავით გურამიშვილის „გალობანი სინანულისანი" ვრცელი შესავალი წერილით, ასევე დაგეგმილი გვაქვს საქართველოს ისტორიის არაბულ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ამჟამინდელი ვიზიტის დროს პატივი მქონდა შევხვედროდი საქართველოს კულტურის მინისტრს პროფესორ ვალერი ასათიანს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ცნობილ ქართველ მწერალს ბატონ გურამ ფანჯიკიძეს, ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან. ინსტიტუტის დირექტორთან, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთან, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან შეხვედრის დროს განვიხილეთ საქართველოსა და არაბულ სამყაროს შორის ურთიერთობის პერსპექტივები.

***– ბატონო ნიზარ, როგორც ცნობილია, საქართველოსა და არაბულ ქვეყნებს ისტორიული ურთიერთობა აკავშირებს. რას გვეტყოდით თანამედროვე ურთიერთობების მესახებ?***

– საჭიროა აქტიურობა ორივე მხრიდან, თანაც სასურველია, რომ არაბულ-ქართული ურთიერთობები, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, დაამყარონ სპეციალისტებმა. ურთიერთობის დონე სათანადო იქნება, თუ მას საქართველოსა და არაბული ქვეყნების ენის, ისტორიისა და კულტურის, რელიგიის, ტრადიციების მცოდნენი, განსაკუთრებით სამართლებრივი ბაზის, სახელმწიფო წყობის, ეკონომიკის ექსპერტები წარმართავენ. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამდე პრიორიტეტი, ბუნებრივია, მეგობრობის საზოგადოებებს გააჩნიათ, სადაც, ძირითადად, გაერთიანებული არიან ქვეყნების სპეციალისტები და საზოგადოების წარმომადგენლები. ისინი თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული არიან ამათუ იმ ქვეყანასთან.

გავითვალისწინეთ რა აღნიშნული, ჩვენ სირიაში დავაარსეთ საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებული არიან სირიელი მწერლები, ხელოვნების და კულტურის, საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენლები. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: არაბი ქართველოლოგი ქალი ლადა ჯავიში (იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტია), რომელიც რამდენადაც ვიცი, ერთადერთი ქართველოლოგია არაბულ სამყაროში, სირიელი მწერლები ნაჯმ სამანი და ვალიდ იხლასი, ალეპოს უნივერსიტეტთან არსებული არაბული მეცნიერების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ხალიდ მალუტი, ცნობილი დამასკოელი მთარგმნელი, სირიის კულტურის სამინისტროს მთარგმნელობითი სამმართველოს ხელმძღვანელი შავქატ იუსუფი, აწ გარდაცვლილი ბატონ ლევან სალარაძის ოჯახის წევრები. საზოგადოების წევრები არიან აგრეთვე საქართველოს მეგობრები არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკიდან და სხვა არაბული ქვეყნებიდან. საზოგადოება წარმართავს საქმიანობას საქართველოსთან არაბული ქვეყნების ურთიერთობის გასაღრმავებლად და განსამტკიცებლად. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სირიაში კვლავ გრძელდება ქართული ლიტერატურის ძეგლების თარგმნა და პუბლიკაცია. დამასკოში სირიის კულტურის სამინისტრომ გამოაქვეყნა შავქატ იუსუფის მიერ არაბულად თარგმნილი მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე". გამოცემა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, რედაქტორი გახლავთ ბატონი გურამ ჩიქოვანი.

***– ბატონო გურამ, თქვენ, როგორც საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციის ხელმძღვანელი, რას გვეტყვით საქართველოს არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ თანამედროვე ეტაპზე, ასოციაციის საქმიანობაზე.***

## არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის პერსპექტივა



– არაბული სამყარო დღევანდელ მსოფლიოში წარმოდგენილია 22 ქვეყნის სახით (იგულისხმება არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრი ქვეყნები). არაბული ქვეყნების საერთო ტერიტორია შეადგენს 13. 7 მლნ. კვ. კმ-ს, ხოლო მოსახლეობა – 200 მილიონზე მეტ კაცს. ასეთი ვრცელი რეგიონი, ბუნებრივია, დიდ როლს ასრულებს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში და არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იმყოფება. დღევანდელ ეტაპზე საქართველოს ურთიერთობები გარე სამყაროსთან თანდათან ფართოვდება და მასშტაბურობას იძენს. ამ კონტექსტში ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის პერსპექტივა არაბულ ქვეყნებთან. გასათვალისწინებელია, რომ ეს ქვეყნები წარმოადგენენ ისლამურ სამყაროს და მათთან ურთიერთობის წარმართვა ღრმა ცოდნასა და კომპეტენტურობას მოითხოვს.

საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციას ურთიერთობა აქვს ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, ქუვეითის და სხვა არაბული ქვეყნების კულტურულ, სამეცნიერო, სასწავლო ცენტრებთან, ტექნიკურ და ეკონომიკურ დაწესებულებებთან, როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მაგალითად შეიძლება დავასახელო ასოციაციისა და მასთან არსებული თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის ურთიერთობა არაბულ სახელმწიფოთა ლიგასთან, რომლის შტაბ-ბინა კაიროში მდებარეობს, ალექსანდრიის უნივერსიტეტთან, კაიროს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კაიროს აზიური კვლევის ცენტრთან და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ცენტრთან. სირიის დამასკოსა და ალეპოს უნივერსიტეტებთან, არაბული მეცნიერების ისტორიის ინსტიტუტთან, ლიბანის, ბეირუთისა და ბალამანის არაბულ უნივერსიტეტებთან, არაბთა გაერთიანებული საამიროების ხელნაწერების და დოკუმენტების ინსტიტუტთან, ჯუმა ალ-მაჯიდის სამეცნიერო ცენტრთან და სხვა მრავალ არაბულ ორგანიზაციასთან. ასოციაციის საპატიო უცხოელი წევრები არიან საამიროების ფედერალური საბჭოს წევრი, ცნობილი არაბი მოღვაწე მუჰამად აბდულა ალ-უტეიბა, არაბულ აღმოსავლეთში ცნობილი სამეცნიერო ცენტრის დამაარსებელი, ცნობილი მეცენატი, საამიროების ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ჯუმა ალ-მაჯიდი, რას ალ-ხაიმას საამიროს ამირას მთავარი მრჩეველი, ხელნაწერთა და დოკუმენტების ინსტიტუტის დირექტორი აჰმად თამიმი, სირიელი პროფესორი ხალიდ მალუტი, თქვენთვის ცნობილი ბატონი ნიზარ ხალილი და სხვები.

ასოციაციის საქმიანობა მიმართულია ქართული კულტურის, საქართველოს პროპაგანდისათვის არაბულ აღმოსავლეთში. ასოციაციის ბირთვს წარმოადგენს ცნობილ ქართველ არაბისტთა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია არაბულ ქვეყნებში ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი გამოცდილება. ისინი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტები არიან. ასოციაციის პრეზიდენტია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

ინსტიტუტის უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გოჩა ჯაფარიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის კულტურის ცენტრს დამასკოში, ცნობილი არაბისტი, არაბული სახელმძღვანელოების ავტორი დიტო გოჩოლეიშვილი მრავალი წელი მოღვაწეობდა ეგვიპტეში, ერაყსა და სირიაში და სხვ.

ქართველ არაბისტთა მაღალი ავტორიტეტი არაბულ სამყაროში განაპირობებს არაბული ქვეყნების, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ნდობასა და კეთილგანწყობას საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციის მიმართ. გამომდინარე აქედან, ასოციაციამ რეკომენდაცია გაუწია ზოგიერთ ქართულ ორგანიზაციას არაბულ ქვეყნებში, კერძოდ ეგვიპტეში, საამიროებსა და სირიაში საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად.

აღსანიშნავია, რომ თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის არაბული განყოფილების სტუდენტები ასოციაციის რეკომენდაციით ამჟამად სტაჟირებაზე იმყოფებიან კაიროს, დამასკოსა და ალეპოს უნივერსიტეტებში, ხოლო ზოგიერთი დოქტორანტი სტუდენტი საამიროებიდან და სირიიდან დისერტაციას აბარებს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დასაცავად.

საქართველოს ურთიერთობა გარე სამყაროსთან იყო და მომავალში კვლავ წარიმართება დასავლეთთან და აღმოსავლეთთან, მეზობელ ქვეყნებთან ბალანსირებული ურთიერთობის პრინციპიდან გამომდინარე, რაც შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.

ესაუბრა
**გიორგი ლალიაშვილი.**

**სურათზე: ნიზარ ხალილი და გურამ ჩიქოვანი.**

**ანდრია კონსტანტინოვი**

# ბანდ-პეტერბურგი

„მილიცია იჭერს – სასამართლო უშვებს!" – საინტერესოა, რატომ გახდა ამ ბოლო დროს ეს გამოთქმა ასეთი საყვარელი ბანდიტთა წრეებში?[1]

როგორ მოხდა, რომ იმ დროს, როდესაც მაღალი ტრიბუნებიდან ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გაუთავებელი დაპირებები გვესმის, პეტერბურგის ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგობის ბრძოლის რეგიონულ სამმართველოში ერთ 16-მეტრიან ოთახში მუშაობს ოცდაშვიდი (!) ოპერატიული მუშაკი – სამ ოპერზე ერთი მაგიდით, და როდესაც სამუშაო თათბირის გამართვას აპირებენ, სადღაც კიბის ქვეშ მეძებიან და ფეხზე დგომელა ბჭობენ?[2]

იქნებ, ხელისუფალნი ვერ ხედავენ, ანდა არ ესმით რეალური საფრთხე, რომელიც ქვეყანას შეექმნა, ანდა იქნებ დღემდე იმშვიდებენ თავს იმ ილუზიებით, რომ ეს „ბანდიტიზმი კი არა, მხოლოდ მისი აჩრდილია"?

პეტერბურგის ბანდიტიზმის ისტორიის აქ შემოთავაზებული ნარკვევებით ჩვენ დავისახეთ ერთი უბრალო მიზანი – გვეჩვენებინა, როგორ შეიძლება სულ რამდენიმე წელიწადში ბანდიტიზმი მოჩვენებიდან გადაიქცეს რეალურ, ცოცხალ მონსტრად. ჩვენ შემთხვევით არ აგვირჩევია პეტერბურგი საბაზო მაგალითად. პიტერი, მოსკოვისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად კანონიერ ქურდებზეა ორიენტირებული, უკვე კარგა ხანია, გადაიქცა ბანდიტურ ქალაქად, სანქტ-პეტერბურგიდან ბანდ-პეტერბურგად იქცა. ეს მოხდა მთელი რიგი მიზეზების გამო. კავშირის დაშლის შემდეგ პიტერმა ანდამატივით მიიზიდა ბანდიტები სხვა რეგიონებიდან, მათ შორის, იმის გამოც, რომ გამკაცრდა სამართალდაცვითი პრაქტიკა სწორედ ამ „სხვა რეგიონებში" – ისეთებში, როგორიც არის, მაგალითად, მოსკოვი თუ თათრეთი. ჩამოსული ბანდიტების თქმით, „მოსკოვი სარკესავით გახდა, იქ აღარაფერი გვესაქმებაო..." მოხდა კბილის პასტის ეფექტი – ტუბს რომ უჭერ, პასტა თავისუფალ სივრცეში გადის. სამწუხაროა, რომ ამ „თავისუფალ სივრცედ" გადაიქცა სანქტ-პეტერბურგი.

### რუსული რეკეტის პაპა

...ეს ის დრო იყო, როდესაც ორგანიზებულ დამნაშავეობაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ და, ალბათ, არც ისე ბევრი საფუძველი იყო სალაპარაკოდ. იყვნენ, რა თქმა უნდა, კანონიერი ქურდები. იყვნენ ცალკეული ბანდიტებიც (ვეტერანებს, ალბათ, ახსოვთ, მაგალითად, სერიოჟა სელსკი, რომელმაც 70-იან წლებში იმით გაითქვა სახელი, რომ თავის კონკურენტს თავი მოაჭრა). მაგრამ... ტოტალიტარულ სახელმწიფოში საერთოდ რთულია ილაპარაკო ორგანიზებული დამნაშავეობის სისტემაზე, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მოქალაქეთა მიმართ ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის ფუნქციებს უმთავრესად თვით სახელმწიფო ასრულებს. რაც შეეხება კერძო დანაშაულებრივ სისტემას, იგი თავიდანვე მარცხისთვის არის განწირული სახელმწიფო დანაშაულებრივ სისტემასთან კონკურენტულ ბრძოლაში. მაგრამ 70-იანი წლების შუახანებისათვის სახელმწიფო სისტემას დაძაბუნება დაეტყო. სწორედ მაშინ ამობრწყინდა ლენინგრადის ცის კაბადონზე ვლადიმერ ფეოქტისტოვის – რუსული რეკეტის პაპის ვარსკვლავი, როგორც მას უწოდეს შემდეგ.

იგი დაიბადა ვორონეჟში, სამხედრო მოსამსახურისა და ექიმის ოჯახში. სკოლის დამთავრებისთანავე შევიდა ლენინგრადის ლისი-ს ინსტიტუტში, მაგრამ იქ დიდხანს არ უსწავლია. ერთხანს შოფრად იმუშავა. 60-იანი წლების შუახანებში ფეოქტისტოვი შეუდგა წვრილმან „ფარცოვკას" და სავალუტო ოპერაციებს, რისთვისაც აიკიდა პირველი ვადა. სასჯელის მოხდის შემდეგ ფეოქტისტოვი განაგრძობდა მოძრაობას, ამასთან, ეწეოდა საკმაოდ აურზაურიან და სკანდალურ ცხოვრებას – საამისოდ ფული ჩეჩქივით ჰქონდა. 70-იანი წლების დამდეგს მას რვა თვე მიესაჯა სასტუმრო „როსიას" რესტორანში ხულიგნობისათვის.

თანდათან ფეოქტისტოვის ირგვლივ შეიკრა იმ პირთა მყარი წრე, რომლებიც ერთნაირ ცხოვრებას ეწეოდნენ. ჯგუფმა სწრაფად გაიგდო სახელი ლენინგრადში, ძირითადად, იმით, რომ დებოშებსა და სკანდალებს ტეხდა ქალაქის რესტორნებსა და ბარებში. ჯგუფის ბირთვს, ფეოქტისტოვის გარდა შეადგენდნენ ცვეტკოვი (ბიკი), ვანია ყაფლანიანი (ნახალიონოკი) და პოლიაკი.[3]) ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ფეოქტისტოვს ხშირად უმშვენებდა მხარს იური რეი (1947 წელს დაბადებული), რომელიც ახალგაზრდობას იზიდავდა, როდესაც ფეკა ჩაჯდა, რეი ცოტა ხნის შემდეგ წავიდა კანადაში, სადაც იტაცებდა ავტომობილებსა და აუდიოტექნიკას. ბოლოსდაბოლოს, ციხეში მოხვდა. მოგვიანებით, რუსეთში რომ დაბრუნდა, იგი გამოდიოდა „მომრიგებელ მოსამართლედ" ბანდიტთა დავაში. რეი ყოველთვის ნეიტრალურად იყო განწყობილი ეთნიკური დაჯგუფებების მიმართ, და ამიტომ ძალიან არ უყვარდათ დაღესტნელ დაქირავებულებს, რომლებიც ზოგჯერ აჰყავდა ხოლმე ფეოქტისტოვს ცალკეული საკითხების ძალისმიერი გზით გადასაწყვეტად. დაქირავებულთა ამ ბრიგადის ლიდერმა, მაგამ რამდენჯერმე ისიც კი სცადა, რომ რეი მოეკვლევინებინა.

ჯგუფში არ იყო მკაცრი დისციპლინა და ზუსტად გამიჯნული იერარქია. იქ, სადაც უხვად არის არაყი და ქალები, დისციპლინაზე ლაპარაკი სასაცილოა, და საერთოდ, ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, როდესაც „უფალი ბანდიტები" ჯერ ისვრიან და მხოლოდ შემდეგ იწყებენ ფიქრს; იმათ, ვინც ფეოქტისტოვს ემხრობოდა, ასეთ ფონზე შეიძლება „წყნარი და ღვთისმოსავი" ხალხიც კი უწოდო. იმ დროს პიტერის დამნაშავეთა სამყაროს „რუხ კარდინალად" ზოგიერთებს მიაჩნდათ იური სალიკოვი, რომელიც ამჟამად ბიზნესს მისდევს შვეციაში. სალიკოვს გამოჩენა არ უყვარდა, მაგრამ ბევრს „მუშაობდა" – ვაჭრობდა ანტიკვარიატით, რომელსაც იდუმალი გზებით გზავნიდა საზღვარგარეთ, „კურირებდა" იატაკქვეშა ჯინსის ფაბრიკებს. იურის ჰყავდა ღვიძლი ძმა იგორი. სალიკოვი სულ უჩიჩინებდა ახალგაზრდა ბანდიტებს, „ყოფილიყვნენ რეალისტები", გამუდმებით შეახსენებდა, რომ „ბევრი უნდა იმუშაონ". ისინი არ სჩადიოდნენ მხეცობებს, მუშაობდნენ ძირითადად იმათ წინააღმდეგ, ვინც მილიციაში საჩივლელად არ წავიდოდა, – ამინებდნენ ბარმენებს, რომლებიც ლუდის დაკლების გზით შოულობდნენ პურის ფულს, სასტუმროების ბაცაცა ადმინისტრატორებსა და ოფიციანტებს, მეძავებს და მეპავშირე ტაქსისტებს. ხშირად ჯგუფი კლიენტისათვის ფულის წასართმევად არც ჩვეულებრივ მულერულ ბანქოს თამაშს ერიდებოდა. მათ სისხლიანი კვალი არ მიჰყვებოდათ. უპირატესად სჯერდებოდნენ აყალ-მაყალსა და ჩხუბებს სიმთვრალეში. ჯგუფის ტექნიკური აღჭურვილობის მწვერვალი გახდა „ანტირადარიანი" ავტომობილი „ჟიგული". მაგრამ 1980 წელს ჟურნალ „შპიგელში" გამოქვეყნდა სტატია „რუსი მაფიოზის" – ვლადიმერ ფეოქტისტოვის შესახებ. მთელი ლენინგრადი ფეხზე დადგა. ვილაცამ ხმა დაარხია, ფეოქტისტოვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თავისი საკუთარი ფაბრიკაც კი აქვსო. ამბობენ, მაღალმა პარტიულმა უფროსობამ გრიგოლ რომანოვის სახით ამის გამო ერთი ამბავი დააწია ლენინგრადის მაშინდელ მილიციასა და უშკომის უმაღლეს მოხელეებს. ფეოქტისტოვი დააპატიმრეს და მიუსაჯეს 10 წლის მკაცრი რეჟიმი – მაქსიმუმი, რასაც ითვალისწინებდა თაღლითობის მუხლი – ყველაზე სერიოზული იმათგან, რაც მას ბრალდებოდა. უკვე მაშინ შეინიშნებოდა ფეოქტისტოვის ჯგუფის მყარი კავშირი ზოგიერთ საკმაოდ დიდი თანამდებობის მილიციის ოფიცერთან, რომლებიც იმ დროს უბრალოდ, ორგანოებიდან დათხოვნით გადარჩნენ. ფეოქტისტოვმა ზონაში ამოჰყო თავი და ამით დასრულდა „პეტერბურგის ბანდიტიზმის უვერტიურა". ზონაში ფეკა მეგანრიგე იყო, რის გამოც მას ზურგი შეაქციეს პროფესიონალმა დამნაშავეებმა და ქურდებმა.



„ტამბოველები": „ანჯეი" და „ოვიკა" თავიანთ ბანოვნებთან ერთად.

იგი ლენინგრადში დაბრუნდა 1989 წელს და ნახა, რომ არ ყოფილა მზად ცვლილებებისათვის, ქალაქში რომ მომხდარიყო მისი არყოფნის დროს. წამოჩიტულიყო ახალი, ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც უკვე სხვა, უფრო სასტიკი და სისხლიანი კანონებით ცხოვრობდა, ვიდრე თვითონ ფეკა სიყმაწვილეში. დრო თანდათან აჩქარებდა თავის ულმობელ რბოლას, ის კი უკან-უკან რჩებოდა. მართალია, მას იცნობდნენ ძველი სახელით და ამას რაღაც დივიდენდები მოჰქონდა. ძველი დროიდან რაღაც კიდევ ჰქონდა შემორჩენილი შავი დღისათვის და მდიდარ კაცად ითვლებოდა. ფეკა „პულკოვსკაიაში" ჩაჯდა და ქალიშვილი მიათხოვა დიდი ნეიროქირურგის ბეხტერევის შვილს...

მაგრამ დრომ არ მიილო იგი. ერთხელ „ტამბოველებმა" სასტიკად სცემეს. წიხლებით შესდგნენ. ასე გაიმეტეს ძმებმა რიბკინებმა და სერგი ვასილევმა, გაიმეტეს იმისათვის, რომ ფეკამ გაარშიყება შეჰბედა სერგი ვასილიევის მეგობარ ქალს. ფეოქტისტოვს ყოველთვის ძალიან უყვარდა ქალები, ხშირად შემოიკრებდა ხოლმე საუნაში ახალგაზრდა გოგოებს, უფასოდ სარგებლობდა მეძავების მომსახურებით, რაც მიღებული ცნებებით აშვებად ითვლებოდა, იმიტომ, რომ ქალი ტყუილად ცდებოდა და მოგება არ მოჰქონდა. ძველი სახელისაგან აღარაფერი რჩებოდა, ცოტა ხნის შემდეგ ციხეში ამოჰყო თავი თითქმის ყველა მისმა მეგობარმა და კოლეგამ. ფეოქტისტოვმა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს შეაფარა თავი, მაგრამ ვერც იქ გაძლო დიდხანს – ვერ შეძლო. იგი მეტისმეტად „საბჭოური" იყო ამერიკისათვის. როდესაც დაბრუნდა – დააპატიმრეს. სხვათა შორის, ფეოქტისტოვის დაპატიმრების შემდეგ [illegible] „პულკოვსკაიაში" [illegible] ფეოქტისტოვს ექედლებოდნენ, მისი დაჭერის შემდეგ „ტამბოველებზე" გადაერთნენ. ფეკას დიდი ვადა არ მიუღია და უკვე 1995 წლის დამდეგს გარეთ აღმოჩნდა. მას დიდის ამბით შეხვდნენ, მაგრამ ეს უკვე მოჩვენებითი ზარ-ზეიმი იყო. ვერ ვიტყვით, რომ დღეს ფეკა გადამწყვეტ, ან თუნდაც რაიმე შესამჩნევ როლს ასრულებდეს ბანდიტურ პეტერბურგში, მაგრამ ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის თანამშრომლები ზოგჯერ ყოველი შემთხვევისთვის მასაც დააელებენ ხოლმე ხელს რეიდებისა და ჩხრეკა-დაპატიმრების დროს. ასეთი დაკავებისას ფეკა უბრალოდ თავისი ძველი ჩვეულებების გამო მოჰყვება ხოლმე საერთო ბადეში, ვინაიდან კვლავინდებურად უყვარს ქეიფი მდიდრულ რესტორნებში ქალების თანხლებით...

### „კოლია-კარატეს" სიცოცხლე და სიკვდილი

„პირველი გაწვევის რეკეტირების" ტალღამ ლენინგრადს გადაუარა 80-იანი წლების შუახანებში, გარდაქმნისა და კოოპერაციული მოძრაობის დაწყების ერთდროულად. ქალაქში გაჩნდა ბევრი მდიდარი (საბჭოური საზომით) ადამიანი, და, როგორც მედეგი, გაჩნდნენ ისინიც, ვისაც სურდა ეიძულებინა მდიდრები მოეწველათ. მაშინდელ რეკეტში მიდიოდა ცხოვრებაზე განაწყენებული ხალხი – სპორტსმენები, რომლებმაც ვერ გამოიყენეს თავიანთი პოტენციალი, ომით ზნეობრივად დასახიჩრებული „ავღანელები", ადამიანები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ის, რაც სახელმწიფომ „დააკლო", თვითონ უნდა აიღონ მეთოდებისა და საშუალებების განურჩევლად. ისინი მუშაობდნენ უბრალოდ და „შინაურულად", მიმართავდნენ ელემენტარულ გამოძალვას ყოფითი ელექტროსახურებელი ხელსაწყოებით – უთოების, სარჩილავებისა და მადუღარების მეშვეობით. მათი მსხვერპლნი ხდებოდნენ კოოპერატორები და მეძავები, სპეკულანტები და მევალუტენი, მომსახურების სფეროს მუშაკები და უბრალოდ ხელმრუდი მუშა-მოსამსახურენი. სისტემა ის-ის იყო იბადებოდა, დაზვერვა ხშირად ცდებოდა, ამიტომ არცთუ იშვიათად იმ დროს შეცდომით გადაუვლიათ ისეთი ადამიანებისათვის, რომლებსაც მდიდრებს ჭკუათმყოფელი კაცი არ უწოდებდა. ახალი ტალღა უარს არ ამბობდა არც ბინების გატეხვასა და ავტობაზების ძარცვაზე. იარაღს უალრესად იშვიათად ხმარობდნენ, და ეს მართლაც გამონაკლისი მოვლენა იყო, როგორც თვით ახალგამოჩეკილი ბანდიტების, ისე სამართალდამცველი ორგანოებისთვის. იმ დროს ყველაზე მეტად ფასობდა ფიზიკური ღონე და უნარი – ერთი დარტყმით გაეგთიშა მოწინააღმდეგე. რეკეტის მსხვერპლნი ხშირად არაფერს არ ილებდნენ სანაცვლოდ – მათ საწარმოებს პირველ ხანებში არავინ იცავდა სხვა გუნდებისაგან. მაშინდელი მილიციის ხელმძღვანელობა არაერთგვაროვნად ეკიდებოდა რეკეტირთა ბანდიტური დაჯგუფების არსებობას. უმაღლეს მოხელეთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ეს სტრუქტურები არ წარმოადგენდნენ სერიოზულ საფრთხეს საზოგადოებისათვის, ვინაიდან ხელყოფდნენ ძირითადად იმ პირებს, ვინც კომუნისტური იდეოლოგიისათვის მიუღებელი მეთოდებით შოულობდა შემოსავალს. გარდა ამისა, ამ ხელმძღვანელებს აფიქრებდა უწინარეს ყოვლისა, აღრიცხულ დანაშაულობათა გახსნა, ხოლო ლატენტური (ანუ ფარული) დამნაშავეობა მათ პრაქტიკულად არ ანაღვლებდათ.

(გაგრძელება იქნება.)

[1] სხვათა მორის, განთავისუფლება ყოველთვის როდი რგებთ თვით ბანდიტებს. მაგალითად, 1993 წლის 18 ოქტომბერს საკუთარ მანქანაში მოკლეს აიდარ გაიფულინი, „ყაზანის" დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი. ეს მოხდა სასამართლოს მიერ მისი განთავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ. ცოტა უფრო ადრე, მოკლეს „მალიშევის" დაჯგუფების წარმომადგენელი გრიცკელი და ისიც, ერთი თვის შერე, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლეს (მას მოუნდომეს დაკავება იარაღის შენახვისათვის, მაგრამ გრიცკულმა თქვა, რომ იარაღი ქუჩაში ვიპოვეო).

[2] 1995 წლის მაისში იგივე ოთახში, იგივე სეიფებისა და ტელეფონების ამარა უკვე 30 ოფიცერი მუშაობდა.

[3] ევგენი ცვეტკოვს ბობოქარი ბიოგრაფია ჰქონდა, იგი მუშაობდა სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორად, ტაქსისტად, იყო სპორტის ოსტატი კრივში, შეიარაღებული ძალების ოფიცერი და აბანოს გამგე. ახლა ფეოქტისტოვის შორეულ ნათესავთან ვანია ყაფლანიანთან ერთად სასტუმრო „პულკოვსკაიაში" განაგრძობს „შრომას" ცვეტკოვის გერი შვილი-დუბროვსკი. ვლადიმერ პოლიაკოვი (პოლიაკი) – ამჟამად გერმანიის მოქალაქეა. სულ მთლიანად „ფეოქტისტოვის ჯგუფის" რიცხოვნობა ას კაცს არ აღემატებოდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 227 - 231.

# გამოიწერეთ ყოველდღიური გაზეთი




## ძვირფასო მკითხველო!

ახალი, 1997 წლიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ამჟამინდელი ხუთის ნაცვლად კვირაში ექვსჯერ (თვეში 25 ნომერი) რვა სრულფორმატიან გვერდზე დაბეჭდილი გამოვა. გაზეთის პერიოდულობისა და ფორმატის გადიდების მიუხედავად რედაქციის კოლექტივმა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ამჟამინდელ მატერიალურ მდგომარეობას და, რაც მთავარია, სწორ, მართალ და ოპერატიულ ინფორმაციაზე მის მოთხოვნილებას, გადაწყვიტა არ გაზარდოს „საქართველოს რესპუბლიკის“ ფასი. თბილისში მისი ერთი ეგზემპლარი ეღირება 30, ხოლო დედაქალაქის ფარგლებს გარეთ – 35 თეთრი. შესაბამისად, გაზეთის ერთი თვით გამოწერა თბილისში დაჯდება 7,5 ლარი, სამი თვით – 22,5 ლარი, ექვსი თვით – 45 ლარი.

დედაქალაქის გარეთ გაზეთის ერთი თვით გამოწერა 8 ლარი და 12 თეთრი ეღირება, სამი თვით – 24 ლარი და 36 თეთრი, ექვსი თვით – 48 ლარი და 72 თეთრი.

ძვირფასო მკითხველებო, იჩქარეთ, გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, რადგან საცალო ვაჭრობაში მისი შეძენა გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ. აქვე გაცნობებთ, რომ გაზეთის გამოწერის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემთხვევაში თითოეულ ხელმომწერს უფასოდ მიეცემა ბროშურები – საქართველოს კონსტიტუცია და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ მხოლოდ თქვენით და თქვენთვის არსებობს, ძვირფასო მკითხველებო! ამიტომაც მისი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს იმისთვის, რომ იგი კვლავაც თქვენი ერთგული თანამდგომი, მრჩეველი და თქვენი ინტერესების ყოველმხრივ შემცველ-გამომხატველი იყოს.

**გამოიწერეთ ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**


## ჩოგანი

### „შევარდენს“ სერიოზული მიზნები აქვს

**კალათბურთელ** ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობაა წინა სეზონების აუტსაიდერის „შევარდენის“ საგრძნობი პროგრესი.

— რას მივაწეროთ თქვენი გუნდის ასეთი მეტამორფოზა? — ვეკითხებით მთავარ მწვრთნელს გივი კოშკელოვს. — უპირველეს ყოვლისა, საავიაციო საწარმოო გაერთიანების დირექციის დიდ ყურადღებას. გენერალური დირექტორი ბატონი ავთანდილ ხოფერია ამავე დროს ჩვენი პროფესიული საკალათბურთო კლუბის პრეზიდენტი გახლავთ. მან მოთამაშეებს ხელფასიც დაუნიშნა — 50 ლარი. მართალია, ეს თანხა ჩვენი პირობებისათვის სიმბოლურიც კია, მაგრამ 4 წლის მანძილზე მხოლოდ ენთუზიაზმით ასპარეზობის შემდეგ რალაცას ნიშნავს.

31-ე ქარხნის თავკაცთა ზრუნვამ რამდენიმე გამოცდილი კალათბურთელის მოწვევის საშუალებაც მოგვცა. ჩხეიძემ, წოწელიამ, ქევხიშვილმა, გიგაურმა და ორჯონიკიძემ შესამჩნევად გააძლიერეს ჩვენი გუნდი. კალათბურთთან ხანმოკლე განშორების შემდეგ მაჭავარიანიც დაგვიბრუნდა. ასე რომ, მეორე ეტაპზე გასასვლელად ვიბრძვით.

— ასეთი შემადგენლობით მხოლოდ ექვსეულზე ფიქრს მეტისმეტად მოკრძალებულ მიზნად ხომ არ თვლით?

— რა თქმა უნდა. უფრო რეალურად ოთხეულში მოხვედრა მიმაჩნია, თუმცა გადამწყვეტი მატჩები ჯერ წინ გვაქვს.

— ჩემპიონატის ფავორიტად რომელ გუნდს ასახელებთ?

—უძლიერესს ამჯერადაც „ვიტა“-„დინამოს“ დუელი გაარკვევს.

გთავაზობთ შაბათს, კვირასა და გუშინ გამართული შეხვედრების შედეგებს.

„შევარდენი“-„დინამო-2“ 97:68, „დინამო-1“-„კაქტუსი“ 104:82, „ქიმიკოსი“-„მაკაბი“ 94:72, ასკ-„იმერეთი“ 81:78, „მაკაბი“-„მერანი“ 70:63, სდასუ-„იმერეთი“ 99:52, „კაქტუსი“-„კოლხა“ 95:76, „იმერეთი“-„დინამო-2“ 87-79, „შევარდენი“-ასკ 89:74, „ქიმიკოსი“-„კაქტუსი“ 70:60, „დინამო-1“-„მაკაბი“ 94-65.

**გია პლატონიშვილი.**

### „დინამომ“ გაისეირნა

**ფეხბურთელთა** ეროვნულ ჩემპიონატში გამოტოვებული მატჩები გაიმართა.

ღიდერმა — თბილისის „დინამომ“ შინ ზესტაფონის „მარგვეთი“ შეარცხვინა — 8:0, მისმა უახლოესმა მდევარმა — „ბათუმმა“ კი დედაქალაქში ძვირფასი ქულები დაკარგა „შევარდენთან“ — 1:1.

ხვალ ბორის პაიჭაძის სტადიონზე 15 საათზე დაიწყება ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა — „დინამო“-„ბათუმი“.

### მინიმალური ანგარიშით

**შაბათს,** 16 ნოემბერს ბორის პაიჭაძის სტადიონზე გაიმართა გერმანიის საელჩოს მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ტურნირის ფინალური მატჩი საქართველოს პარლამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

პარლამენტის ფეხბურთელთა გუნდის შეუპოვარი თამაშის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა მატჩის ბოლოს შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა და გამარჯვების მოპოვება — 1:0.

## ბურუსით მოცული ბურე

**ბევრს** ალბათ გაუგონია მთელ რუსეთის იმპერიაში ცნობილი საათების ფირმა „პაველ ბურე“, რომლის ნაწარმი — ლამაზად და მკვიდრად ნაკეთი ზუსტი საათები დღესაც შემორჩენილია მუზეუმებსა თუ ძველ ოჯახებში. ფირმის მესვეური, წარმოშობით გერმანელი პაულ (ჩვენებურად — პაველ) ბურე მთელი დინასტიის, აწ უკვე რუსი ბურეს მამამთავარიც გახდა.

დიდი პაპის სახელს გარკვეული სიკაშკაშე შემატა ასევე პაველ ბურემ — ჰოკეისტმა, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალი უმაღლესი სპორტული ჯილდოს მფლობელი გახდა. მოგვიანებით იგი ამერიკის პროფესიულ ლიგაში გადავიდა (ჰოკეის ნაციონალური ლიგა), შესანიშნავად ასპარეზობს და ერთობ პოპულარული (და მაღალშემოსავლიანი) სპორტსმენია.

„რუსული რაკეტა“ შეარქვეს ერთობ სხარტსა და მაღალტექნიკურ ჰოკეისტს თაყვანისმცემლებმა. მისი პორტრეტები, ინტერვიუ იბეჭდება არაერთ უმსხვილეს ამერიკულ ჟურნალსა და გაზეთში... ამჯერად სპორტული მიმომხილველების ყურადღება მიიპყრო ჰოკეისტის მობრუნებამ თავისი მესაათე პაპის ტრადიციებისაკენ. პაველ ბურემ „ასოციაცია XXI საუკუნის“ მესვეურებთან ერთად დაიწყო... საათების გამოშვება. შვეიცარიაში უკვე დაუმზადებიათ 18-კარატიანი ოქროს შესანიშნავი საათები „პაველ ბურე“, რომლებითაც დაასაჩუქრეს კიდევაც ამერიკის რამდენიმე პოლიტიკური და სპორტული მოღვაწე.

ეს ამბავი არც დიდად გახმაურდებოდა, რომ არა ერთი გარემოება: „ასოციაცია XXI საუკუნე“, რომელსაც სათავეში უდგას ვინმე ანზორ კიკალიშვილი, კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს. ბევრი თვლის, რომ კიკალიშვილი და მისი ასოციაცია დაკავშირებულია ე. წ. „ახალ რუსებთან“ და მაფიასთან. მიაჩნიათ, რომ კიკალიშვილის ოფისი ამერიკაში წარმოადგენს „შავი ფულის“ ლეგალიზაციის, სხვა საჩოთირო საქმეების გაჩარხვის ცენტრს. თავად პაველ ბურე აინუნშიც არ აგდებს ამ მითქმა-მოთქმას და კვლავინდებურად აგრძელებს პროფესიულ სპორტში წარმატებით გამოსვლებს, თან „საქმესაც“ არ ივიწყებს.

, ჯერჯერობით ბურეს საქმე გვარიანი ბურუსით არის მოცული.

**ანდრო ბარქაია.**

## სპორტული მოზაიკა

### მშიერი არ დარჩება

**ახლა** არავის ეპარება ეჭვი, რომ დეკემბერში, როცა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება, არიგო საკის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობას დაატოვებინებენ. პრეზიდენტის პოსტი კი, წინასწარი მონაცემებით, გარანტირებული აქვს იტალიის პროფესიული ლიგის ახლანდელ ხელმძღვანელს ლუჩანო ნიკოლას, საკის ძველ ოპონენტს.

უკანასკნელი საბუთი საკის გასამტყუნებლად კი იყო 6 ნოემბერს იტალიელების დამარცხება. ამხანაგურ მატჩში სარაევოში ბოსნიის ნაკრებთან (1:2). მატჩის შემდეგ ნიკოლამ განაცხადა: „თქვენ ყველანი ადევნებდით თვალს მატჩს სარაევოში. ეს იყო შთამბეჭდავი სანახაობა, რომელიც კომენტარს არ საჭიროებს“.

ნიკოლას არც ის ალელვებს, რომ საკისთან კონტრაქტი 1998 წლის ზაფხულამდე (მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე) არის დადებული. „პირის გატეხისათვის“ კი ფედერაცია ვალდებული იქნება საკის სწორედ ამ ვადამდე უხადოს ხელფასი, რომელიც წლიურად ერთი მილიონი დოლარია.

ამასობაში საკის ეპატიჟება „მილანი“, რომლის საქმეები იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში ცუდად წარიმართა. ამ გუნდის მწვრთნელის გასამრჯელო ტრადიციულად უფრო დიდია, ვიდრე ნაკრების ხელმძღვანელისა.

### ევროპის ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში

**საფრანგეთის** ქალაქ კაპდაგდში დამთავრდა ევროპის პირველი ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში.

სწრაფი ჭადრაკი, რომელმაც ბოლო ხანებში დიდი პოპულარობა მოიპოვა, სრულიად განსხვავდება ჩვენთვის ჩვეულებრივი, ანუ, როგორც ახლა მას უწოდებენ, კლასიკური ჭადრაკისაგან, სწრაფ ჭადრაკში მთელი პარტიისათვის მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად აქვს 25 ან 30 წუთი.

ევროპის პირველ ჩემპიონატში 20 უძლიერესი დიდოსტატი ჩაება, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი.

მეოთხედფინალში კარპოვმა (რუსეთი) დაამარცხა ილია სმირინი (ისრაელი), ზბინეკ ჰრაჩეკმა (ჩეხეთი) — ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი), ვლადიმერ აკოფიანმა (სომხეთი) — ბორის გელფანდი (ბელორუსია), ხოლო — ლუკ ვან ველიმ (ჰოლანდია) — კურტ ჰანსენი (დანია).

დიდი ინტერესი გამოიწვია ორმა ნახევარფინალმა, სადაც კარპოვმა დაამარცხა ჰრაჩეკი, ხოლო ვან ველიმ — აკოფიანი.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კარპოვი და ვან ველი.

საინტერესოა, რომ სულ ახლახან ტილბურგის (ჰოლანდია) სუპერტურნირში ახალგაზრდა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა დაამარცხა კარპოვი და კიდევაც გაასწრო მას. ახლა სწრაფ ჭადრაკში კარპოვი უფრო იღბლიანი აღმოჩნდა, მოუგო ვან ველის და ევროპის პირველი ჩემპიონი გახდა სწრაფ ჭადრაკში.


ხელმოწერა შეიძლება [illegible] სააქციო საზოგადოება „მაცნე“-ს ([illegible] „სოიუზპეჩატი“) ხელმოწერის რაიონულ ფილიალებში შემდეგ მისამართებზე:

— დავით გურამიშვილის გამზ, №30, ტ.60-80-22
— ივანე ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის), №14, ტ.95-67-98
— ქეთევან წამებულის (ყოფილი შაუმიანის) გამზ, №61, ტ.74-14-47
— აკაკი წერეთლის გამზ, №73, ტ.34-75-51
— რევაზ თაბუკაშვილის, №12
— ცენტრალური ოფისი — კონსტანტინე გამსახურდიას გამზ, №42, ტ.37-47-49, 93-43-97

გამოიწერეთ! გაზეთი „მაცნე“ 1997 წლის პირველი ნახევრისთვის



ორგანიზაციებს შეუძლიათ ხელმოწერის გასაფორმებლად „მაცნეს“ წარმომადგენელი მიიწვიონ.
ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა: სახლში, სამსახურში, უახლოეს საფოსტო განყოფილებაში, „მაცნეს“ ცენტრალურ ოფისში.
ხელმომწერისთვის „მაცნე“ ჟურნალ-გაზეთების უდანაკარგო და დროული ჩაბარების გარანტია!
ენდეთ ხელმოწერაში „მაცნეს“ ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას!


## ხსოვნა

### ნოდარ გვახარია



ყველასათვის მოულოდნელად წავიდა ჩვენგან საქართველოს დამსახურებული სპორტსმენი და მწვრთნელი, პოლიციის პოლკოვნიკი ნოდარ ვალერიანის ძე გვახარია.

ნ. გვახარია დაიბადა ქ. თბილისში 1932 წელს. ბავშვობიდანვე აქტიურად ჩაება სპორტში — წყალბურთის აღორძინების საქმეში. 1946 წლიდან თავისი სპორტული გზა მან დაიწყო „ნორჩი დინამოელის“ კოლექტივში, თამაშობდა თბილისის და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებში, იყო საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. მიღწეული წარმატებებისათვის მას მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებები, იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ევროპის და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი.

ნ. გვახარია არის ორი წიგნის ავტორი — „ბურთი წყალზე“ და „ცისფერ მოედანზე“.

ნ. გვახარიამ შინაგან საქმეთა ორგანოებში 25 წელზე მეტი იმსახურა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მრავალი ღირსეული წყალბურთელი და პოლიციელი აღიზარდა, რომლებიც დღესაც აგრძელებენ მის მიერ დაწყებულ საშვილიშვილო საქმეს.

ერთგული და უმწიკვლო სამსახურისათვის ის მრავალჯერ იყო დაჯილდოებული სახელმწიფო ჯილდოებით და წახალისებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენს შორის აღარ იქნება კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი, რომელიც ყველას უყვარდა, რადგან იგი იყო ნაცნობ-მეგობრების, კოლეგების საძმოდ შემაკავშირებელი, თითოეულზე სათუთი მზრუნველი, თითოეულის ტკივილის გულთან ახლოს მომტანი, საქმეზე, ოჯახზე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, სიკეთითა და სითბოთი აღსავსე ადამიანი.

სწორედ ამიტომ მარად დაუვიწყარი იქნება მეგობრებისა და კოლეგების გულებში მისი ხსოვნა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ნოდარ, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

**შინაგან საქმეთა სამინისტრო;**
**შინაგან საქმეთა სამინისტროს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“.**

### ოთარ კუხალეიშვილი



რომ გვეგონა გადაურჩა ყაჩაღური თავდასხმით მიყენებულ ჭრილობებს და თერთმეტ დღეს გაუძლო ტკივილებს, სიკვდილმა მაინც თავისი ქნა და უდროოდ გამოგვაკლო ოჯახის მამა და თავკაცი.

წავიდა ოთარ კუხალეიშვილი და დაგვიტოვა დიდი სევდა...

იგი გალის რაიონის სოფელ აჩიგვარადან იყო. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „ორიონში“, იყო გენერალური დირექტორის მოადგილე ტექნიკური კონტროლის დარგში.

იმ საბედისწერო დღეს, როდესაც ოთარს მანქანა გამოჰყავდა ავტოფარეხიდან, მუხანათურად ესროლეს დღემდე დაუდგენელმა პირებმა. თავისი ტყუპი ვაჟიშვილების თვალწინ ებრძოდა იგი სიკვდილს და რამდენიმე დღის შემდეგ მაინც დანებდა...

იმედად ისლა გვრჩება, რომ ოთარის ვაჟიშვილები დაიზრდებიან ისეთ ქართველებად, როგორისაც იგი უბედურ მეუღლესთან ერთად ხშირად ნატრობდა.

ოთარი ყველას დაგვაკლდა — სიცოცხლეგამწარებულ დედას, და-ძმებს, ახლობლებს, მეგობრებსა და მეზობლებს. მისი სიკეთე მის შვილებს გაუნათებს გზას.

ნათელი დაგადგეს, ჩვენო ძვირფასო ოთარ!

**შენი ოჯახი.**

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თადარიგის პოლკოვნიკი, წარსულში ცნობილი წყალბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

**ნოდარ გვახარია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა ლიანა, მეუღლე მაია ჩაფიძე, შვილები ოთარ, ირაკლი კუხალეიშვილები, დები ნანული, ლუარა, დალი, ძმა თამაზ კუხალეიშვილები, რძალი მაია გელენავა, სიძეები ელვარდ კუპრაშვილი, ზებლონ მაკია, ოთარ ჭკადუა, ბიძა გულიკო კუხალეიშვილი, სიმამრი ჯემალ, სიდედრი ციალა, ცოლისდები ნინო, ნატო, ცოლისძმა მერაბ ჩაფიძეები, რძალი მანანა მაჭარაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ შოთას ძე კუხალეიშვილი**

პანაშვიდი 21, 22, 23 XI 4 ს. გამოსვენება 24 XI 2 ს. მუხიანი, II მიკრორაიონი, II კორპუსი, ბინა 18.

მუხიანის II მიკრორაიონის II კორპუსის მცხოვრებნი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ შოთას ძე კუხალეიშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი სამძიმარს უცხადებს ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილეს თემურ დათუნაშვილს დედის

**ანისია ბიძინას ასულ ქლენტი-დათუნაშვილის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე თამარი, შვილები ედგარი, თამილა, ცისანა, შვილიშვილები გიგი, დათო, გიორგი, თაკო, შვილთაშვილი სალომე, ძმა ლევანი, ბიძა პაპუნა ყუბანეიშვილი, რძლები ლალი [illegible], ქეთო [illegible], [illegible] ტყეშელაშვილი, დისწულები ლევან, ჯამბაკურ [illegible], ძმისწულები ლევან, ნანი, თემური, ია[illegible], ბადრი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი იასონის ძე ბოლქვაძე**

პანაშვიდი 19, 20 XI 4 ს. გამოსვენება 21 XI 2 ს., ვაჟა-ფშაველას გამზ. 10, VII სადარბაზო.

## ეხო



### შსახელო ნაგაზის თხოვნა

**ბიჭოს,** რა ყოფილა პრესის, კერძოდ „საქართველოს რესპუბლიკის“ სიტყვა! გახსოვთ, ალბათ, ამ გაზეთმა 9 ნოემბრის (რა დაგვავიწყებს ამ თარიღს!) ნომერში გამოაქვეყნა ჩემი მონოლოგი, რომელიც ადამიანურ ენაზე თარგმნა ჩემი „ანკობით“ შეპირებულმა ერთმა ჟურნალისტმა. იმ პუბლიკაციიდან სამი დღეც არ გასულა, რომ ვილაც კაცები მოვიდნენ კომისარიატის ეზოში. იჩურჩულეს, ითათბირეს, მერე მოტყუებით ჩამსვეს მანქანის საბარგულში, გამაქანეს და სადღაც, ჩემი „პოსტიდან“ შორს, გამიშვეს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერა და ვერ ვიყნოსე, სადა ვარ, არც ჩემი კეთილისმყოფელი ფარაჯიანი ადამიანების — კომისარიატის მუშაკების გეში მომდის, არც ჩემს ახლო-მახლო ადრე გამველელი ბავშვებისა, ვისი ყეფა-გამოღევნებითაც ვირთობდი ხოლმე თავს.

არ დაგიმალავთ, კინაღამ ფარხმალი დავყარე...

ისლა დამრჩენია, ახალი ობიექტი ავითვისო: მივდგე-მოვდგე, სასუსნავი და საბინლო შევათვალიერო. ისიც მადარდებს, უჩემოდ როგორ არიან ძმაკაცი ნაგაზები — ერთად რომ ვაყრუებდით ყმუილ-გნიასით დილმის მასივის მე-3 კვარტლის კარგა მოზრდილ უბანს.

ერთი თხოვნა მაქვს იმ ადამიანებთან, მარტო მე რომ გამარიდეს ადრე ამორჩეულ თბილ ადგილს: იქნებ მეგობარი ძაღლებიც ჩემთან ამოიყვანონ — ცხოვრება აქაც შეიძლება, თანაც ერთად რომ ვიქნებით, მეტი რიდი და ხათრი ექნებათ ადამიანებს.

ხომ გაგიგონიათ — ძალა ერთობაშია!

*უსახელო ძაღლის თხოვნა რედაქციაში მოიტანა* **ანზორ ბასილაიამ.**


**ამერიკის საელჩოს** ესაჭიროება დამლაგებელთა პერსონალის ჯგუფი. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: 98-99-67 ან 98-99-68, დამატებითი 113, ა. წ. 25 ნოემბრამდე. არჩევა მოხდება დახურული კონკურსის წესით.


## გახსენება

### საგამომცემლო საქმის დიდოსტატი

**ხალხით** სავსე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში აღინიშნა უნივერსიტეტის გამომცემლობის ყოფილი დირექტორის, საგამომცემლო საქმის გამოჩენილი სპეციალისტის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის ვალერიან გამყრელიძის ხსოვნის დღე. შეკრების გახსნამდე უნივერსიტეტისავე ეზოში, დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში ერთი წლის წინათ გარდაცვლილის სულის მოსა[illegible]ენიებელი პანაშვიდი შედგა.

რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის შესავალ სიტყვაში, გამომცემლობის დირექტორის ნიკო ბერძენიშვილისა და სტამბის დირექტორის ვახტანგ ხორბალაძის მოხსენებებში, აკადემიკოსების ევგენი ხარაძის, ბენედიქტე ბალავაძის, სხვათა მოგონებებში გაცოცხლდა ბატონი ვალერიანი — შესანიშნავი ადამიანი, მოქალაქე, მოღვაწე, პატრიოტი.

ბუნებამ ხანგრძლივი — 91 წლის სიცოცხლე უბოძა, რომ იგი ნაყოფიერ შრომაში, ხალხისა და ქვეყნის სამსახურში გაეტარებინა.

განსვენებულის ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი ამ პროფილის უდიდესი დაწესებულება გახდა: გამორეულა პერიოდი, როცა ჩვენ უფრო მეტ პროდუქციას ვუშვებდით, ვიდრე აზერბაიჯანის, ბელორუსიის, მოლდავეთისა და შუა აზიის უნივერსიტეტები ერთად!

საგანგებო ყურადღებას უთმობდა დირექტორი ჩვენი ეროვნული თვითმყოფობის განმამტკიცებელი შრომების გამოქვეყნებას, ქართული წყაროების გამომზეურებას, ყველაფერს, რაც მსოფლიო კულტურაში ძვირფას წვლილად წარმოჩნდებოდა.

პოლიგრაფიული საქმეც ემარჯვებოდა თურმე, აქაც დიდოსტატი გახლდათ ქართული შრიფტების, გამხმარე შრიფტების, ტრანსკრიფციული ნიშნების შემქმნელი.

კარგად უწყოდა სხვისი შრომის ფასი და კოლექტივს, მომეტებულად სტამბის მუშებს, მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა.

მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებთან გამორჩეული ჯენტლმენი და კავალერი ბრძანებულა.

სულითა და პარტიულობით ეროვნულ-დემოკრატი ყოფილა, სპირიდონ კედიას „დროინდელი“.

ღირსეულ მემკვიდრედ ალუზრდია გამომცემლობის აწინდელი დირექტორი ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც წარმატებით უძღვება საქმეს: რეალობის გათვალისწინებით მოკლე ხანში 150 დასახელებისა და ასეულობით თაბახის მოცულობის წიგნების გამოცემა გმირობის ტოლფასიაო, ითქვა.

...გადაწყდა, რომ ვალერიან გამყრელიძის შექმნილ ერთ-ერთ შრიფტს მისი სახელი ეწოდება. გამოვა ბატონ ვალერიანზე მოგონებათა კრებული.

მოღვაწეობის ნიჭი დაჰყვა და ილვაწა, მოღვაწეობის ძალი შესწევდა და ილვაწა, უბრალოდ, ილვაწებოდა და ილვაწა; თორემ სახელისა თუ ხსოვნის უკვდავებისათვის მსოფლიო ავტორიტეტის მქონე ორი მშვენიერი შვილის, ორი აკადემიკოსის — მათემატიკოს რევაზ გამყრელიძისა და ლინგვისტ თამაზ გამყრელიძის გამოზრდაც ეყოფოდა...

**თამაზ ებანოიძე.**

## ამინდი

### 19 ნოემბერს

**დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია მშრალი ამინდი, იქროლებს წამში 10-15, ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე 20-25 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით +6+11, დღისით +19+23, მთაში — ღამით +1+6, დღისით +11+16.

**აღმოსავლეთ საქართველოში** იქნება უნალექო ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0-5, დღისით +10+15, მთაში — ღამით −2−7, დღისით +8+13.

**თბილისში** მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ღამით 0-2, დღისით +13±15 გრადუსი.

### თოდრიების საყურადღებოდ!

**გვარისათვის,** (ქვეყნისათვის, ყოველი ჩვენგანისათვის!) მეტად მნიშვნელოვან საკითხზე ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გიწვევთ თბილისში, რუსთაველის 52-ში განთავსებულ კაფე „სინათლეში“ ყოველდღიურად, დღის 12 სთ-დან 18 სთ-მდე. ბოლო ვადა — 1 დეკემბერი.

თოდრიების შეკრების საინიციატივო ჯგუფის სახელით — რევაზ ივანეს ძე თოდრია.

საკონტაქტო ტელეფონები: 96-35-40 რეზო, 34-52-89 ვანო.

სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენი“ მწუხარებით იუწყება გაერთიანების მთავარი იურისტის

**გივი ირემაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

შვილი დოდო, სიძე მურთაზ ზანკალიანი, რძალი თამუნა ქემოკლიძე, შვილიშვილი დათო, შვილთაშვილები ნინიკო, სოფო, მძახლები ნანა ქემოკლიძე, ემელინა ხაზარაძე, და ეთერი, სიძე გიგლა ნადარეიშვილი, დისშვილები ირინა, მარინა ნადარეიშვილები, ნატო ხელაია, მული გუგული ფირცხალავა, მულიშვილები გივი, გურამ ასათიანები, ბიძაშვილები გივი, ედიტი კაბოსნიძეები, მამიდაშვილები გუგა, თინა ჩანტლაძეები, მარო ბურჯულაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერი ნესტორის ასული კაზოსნიძე-ზრუიძე**

პანაშვიდი 19, 20 XI 4 ს. გამოსვენება 21 XI 2 ს. დილმის მასივი, მეორე კვარტალი, მე-17 კორპუსი, მეორე სადარბაზო.

სახელმწიფო საწარმო „თბილმეტრომშენის“ № 2 მიწისქვეშა მშენებლობის სამმართველოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა № 32-ე საგვირაბო რაზმის ყოფილი უფროსი

**გივი ევგენის ძე ზარაზაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


## გთავაზობთ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ქსეროქსის ქაღალდს; | A4x500 (2,5 კგ.) | 8/8,75 ლ. |
| 2. | ქსეროქსის ქაღალდს; | A3x500 (5 კგ.) | 16,5/17,5 ლ. |
| 3. | კომპ. პერფ. ქაღალდს; | სიგ. 24,38,42სმ; (1კგ) | 4/4,2 ლ. |
| 4. | კომპ. ქაღალდს რულონებით; | სიგანე 21 სმ | 4/4,2 ლ. |
| 5. | ფაქსის ქაღალდს; | 21სმ x 30მ | 3,8/4 ლ. |
| 6. | ხაოფიხე ხაქაღალდეს ხწრაფზამკერით | | 4,5/4,8 ლ. |

[illegible] 38-91-64 [illegible] 39-64-05 [illegible]



საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში ხოშარაულის 29.